ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

თამთა გობოზაშვილი

ახალგაზრდობის როლი შერიგების პროცესში და მათი აქტივობები

(აფხაზეთის მაგალითზე)

კონფლიქტების ანალიზი და მართვა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია კონფლიქტოლოგიის მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი: რევაზ ჯორბენაძე,

პროფესორი.

თბილისი 2018

სარჩევი

ანოტაცია 4
შესავალი
პრობლემის აქტუალობა 6
თავი 1. კონფლიქტის არსი.....8
§1.1 კონფლიქტის ტიპები.....10
§ 1.2 კონფლიქტის დინამიკა.....11
§1.3 კონფლიქტში ქცევითი ტაქტიკები.....12
§ 1.4 კონფლიქტის ტრანსფორმაცია.....14
თავი 2. მშვიდობის მშენებლობა.....15
§ 2.1 მშვიდობა და ძალადობა 16
§ 2.2 პოზიტიურ და ნეგატიურ მშვიდობას შორის არსებული განსხვავებები 17
§ 2.3 ძალაუფლების პირამიდა 18
§ 2.4 მრავალარხიანი დიპლომატია 19
თავი 3. შერიგება 22
§ 3.1. ეროვნული შერიგების პირობები და ხელისშემწყობი ფაქტორები..... 26
თავი 4. აფხაზეთის კონფლიქტი (1992-1993 წ.) 30
§ 4.1. ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის „მძიმე დაღი“ 32
თავი 5. ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივობები, შერიგების პროცესში 35
თავი 6. სამთავრობო უწყებების აქტივობები, შერიგების პოლიტიკის პროცესში.....46
თავი 7. კვლევის მიზანი 49
§ 7.1. კვლევის მეთოდოლოგია 50
თავი 8. კვლევის შედეგები 51
დასკვნა 58
რეკომენდაციები 60

ბიბლიოგრაფია 62

დანართი 64

ანოტაცია

„ახალგაზრდობის როლი შერიგების პროცესში და მათი აქტივობები“

(აფხაზეთის მაგალითზე)

მსოფლიო დღის წესრიგში, მნიშვნელოვანი მოვლენაა ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები და მათი პრობლემური მნიშვნელობა, შერიგებისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესში.

მიუხედავად, უამრავი მცდელობისა, დღემდე რთულად გადასაჭრელ საკითხად რჩება იგი და ყალიბდება როგორც „გაყინული“ კონფლიქტი. ამიტომ, სწორედ შერიგება არის ურთიერთობის განვითარების ორმხრივი პროცესი, პოსტ-კონფლიქტურ საზოგადოებებში, ანტაგონისტურად განწყობილ ჯგუფებს შორის. ამ მხრივ კი, აფხაზეთის კონფლიქტი და კონფლიქტის შედეგად არსებული გაყინული ურთიერთობების აღმოფხვრა, ქართული საზოგადოებისთვის მეტად აქტუალურია.

კვლევის მიზანი, იყო ქართულ-აფხაზურ გაყინულ ურთიერთობებში, საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის - ახალგაზრდობის როლის დადგენა და მათი აქტივობების მნიშვნელობა შერიგების პროცესში. ამ საკითხის მიმართ თავად ახალგაზრდობის დამოკიდებულების კვლევა და ახალგაზრდული აქტივობების სისტემატიზაციის შედეგების პროგნოზირება.

კვლევის პროცესში, ნამდვილად გამოვლინდა ახალგაზრდობის განსაკუთრებული როლი , შერიგების პოლიტიკაში და ამ როლის მზარდი ტენდენციის აუცილებლობა. ახალგაზრდული პოლიტიკის ხელშეწყობის ვალდებულება, როგორც სახელმწიფო ინსტიტუტების, ისე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების მხრიდან.

საძიებო სიტყვები: ახალგაზრდობა, შერიგება, კონფლიქტი, აქტივობები, საზოგადოება.

Annotation

"The role of youth in the reconciliation process and their activities"

(On the example of Abkhazia)

In the world agenda, an important event is the ethnopolitical conflicts and their problematic importance in the process of reconciliation and peace building.

Despite many attempts, it is still a difficult issue to be resolved and is forming a "frozen" conflict. That's why reconciliation is a bilateral process of development, between post-conflict societies, and antagonistic groups. In this regard, conflict of Abkhaia and the elimination of frozen relations as a result of the conflict are more relevant to the Georgian society.

The purpose of the study was to find out the role of youth in the Georgian-Abkhazian frozen relationships, the role of youth and the importance of their activities in the reconciliation process. Study and predict the youth attitude towards this issue and the results of systematization of youth activities.

In the course of the research, was really revealed a special role of youth in the policy of reconciliation and the necessity of growing trend of this role. The commitment to promote youth policy, as well as from state institutions and non-governmental organizations.

Key words: Youth, reconciliation, conflict, activities, society .

შესავალი

პრობლემის აქტუალობა

შერიგების პროცესი და ზოგადად მშვიდობის მშენებლობა გახლეჩილ საზოგადოებებს შორის , ხანგრძლივი და მეტად რთული პროცესია. მშვიდობის მშენებლობა, როგორც პროცესების მართვის საშუალება, გვთავაზობს კონფლიქტის მოგვარების ძირითად პრინციპს, რომელიც გულისხმობს იმას, რომ ორ დაპირისპირებულ მხარეს ყოველთვის შესწევს უნარი, კონფლიქტის დეესკალაციისა და მოლაპარაკების შედეგად, ურთიერთობების, ახალ ეტაპზე გადაყვანისა. მშვიდობის მშენებლობის პროცესში, უმნიშვნელოვანესი ფაქტორია , კონფლიქტის შედეგად , ჩამოყალიბებული გახლეჩილი საზოგადოებები. ამ დროს, გაცილებით რთულ და დინამიურ მოვლენასთან გვაქვს საქმე, რაც მოითხოვს შესაბამის სამუშაოს. საერთო ენის გამონახვა, ინტერესების შეჯერება და ნდობის აღდგენა, ეს ის მთავარი საკითხებია, რასაც გაყოფილ საზოგადოებებს შორის, მშვიდობის მშენებლობის სამუშაოები მოიაზრებს. კონკრეტული კონფლიქტის გასაგებად და ანალიზის გასაკეთებლად მნიშვნელოვანია, სხვადასხვა ქვეყნის კონფლიქტების პრეცედენტებზე, დასკვნების გაკეთება. ასე უკეთ გავიგებთ, კონფლიქტში მონაწილე ხალხის როლს.

კონფლიქტის პროცესში, მთავარ აქტორებს წარმოადგენენ, ხელისუფლება, სამოქალაქო საზოგადოება და ზოგადად მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენელი . მნიშვნელოვანია მათი აქტიური მონაწილეობის გათვალისწინება. ომის შემდგომ საზოგადოებებში, მშვიდობის მშენებლობის, შერიგების პროცესის გააზრებას, ნათლად გვთავაზობს პოლ ლედერახის ძალაუფლების პირამიდა, ასე უკეთ გავიგებთ, თუ რომელი ფენა რას აკეთებს შერიგების პროცესში. ძალაუფლების პირამიდაში გამოიყოფა სამი დონე: 1. უმაღლესი დონის - ლიდერი, მასში განიხილება ხელისუფლება და მოლაპარაკება უმაღლეს დონეზე. 2. საშუალო დონის - ლიდერი, არასამთავრობო ორგანიზაციები, რელიგიური ლიდერები და სხვადასხვა ინსტიტუტების წარმომადგენლები. 3. საწყისი დონის - ლიდერი, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, არაფორმალური ჯგუფების ლიდერები.

ახალგაზრდობა საზოგადოების ის აქტიური ნაწილია, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს შერიგების პროცესში საშუალო, თუ საწყის დონეზე; აქვს პოტენციალი, რესურსი, ნდობის აღდგენის და ურთიერთობების დამყარების, პოსტკონფლიქტურ საზოგადოებაში. ამას ადასტურებს გაეროს უშიშროების საბჭოს 2250-ე რეზოლუციაც, რომლის მიხედვითაც ახალგაზრდობას განსაკუთრებული როლი აქვს შერიგებისა და მშვიდობის მშენებლობის საქმეში. ამის ნათელი მაგალითია , აფხაზეთის კონფლიქტი და კონფლიქტის შემდგომი, გაყინული ურთიერთობები , დაპირისპირება ქართველებსა და აფხაზებს შორის, რამაც მოიტანა აფხაზ ახალგაზრდებში, ქართველებში მტრის ხატის დანახვა. ამიტომ , საჭიროება იმისა რომ ქართველებსა და აფხაზებს შორის გაყინული ურთიერთობები, გადავიდეს ახალ ეტაპზე , მნიშვნელოვანია როგორც ქართველებისთვის, ისე აფხაზებისთვის. ამ პროცესში კი, ლომის წილის შეტანა შეუძლია ახალგაზრდობას და მათ აქტივობებს, რომელიც აქტუალურ საკითხად უნდა იქცეს მთლიანად საზოგადოებისთვის.

თავი 1.

კონფლიქტის არსი.

კონფლიქტი, სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურაში, მრავალმნიშვნელოვნად განიხილება.

ზოგადი განმარტებით, კონფლიქტი ნიშნავს - (ლათ.) შეჯახებას, ბრძოლას. (Fisher. R. Ury.W.) ყოველდღიურ რეალობაშიც, ტერმინი კონფლიქტი - ნეგატიური მნიშვნელობით აღიქმება. იგი დაკავშირებულია დაპირისპირებასთან, წინააღმდეგობასთან, ძალადობასთან და ა. შ. ამიტომაც თვლიან ადამიანები საჭიროდ, გადაჭრან კონფლიქტი, ან გაექცნენ მას. თუმცა, კონფლიქტი არ განიხილება მხოლოდ, როგორც დესტრუქციული ძალა, არამედ მას მეცნიერები განიხილავენ, როგორც კონსტრუქციულ ძალად.

დესტრუქციული კონფლიქტი - დაკავშირებულია ძალადობრივ მეთოდებთან. ამ დროს ყოველთვის უფრო დიდია მსხვერპლის და ზიანის რაოდენობა. საზოგადოებაში თავს იჩენს დესტაბილიზაცია და განხეთქილება.

კონსტრუქციული კონფლიქტი - ასეთი კონფლიქტის დროს, დაპირისპირებული მხარეები აცნობიერებენ პრობლემას, შემდეგ კი, ცდილობენ ერთობლივი გზებით, ამ პრობლემის მოგვარებას. კონსტრუქციული კონფლიქტის დროს, სოციალური დაძაბულობა მოხსნილია. მატულობს მხარეებს შორის შეჭიდულობა, რისთვისაც ისინი საკუთარ რესურსებს იყენებენ.

კონფლიქტს გააჩნია თავისი ატრიბუტები: კონფლიქტის ობიექტი, კონფლიქტში მონაწილე მხარეები და კონფლიქტის გარემო. (Fisher. R. Ury. W)

კონფლიქტის **ობიექტი** - არის ის ძირითადი ფასეულობა, რაზეც ხდება ინტერესთა შეჯახება. ობიექტი ამ შემთხვევაში, შეიძლება იყოს, სულიერი ან მატერიალური ღირებულება.

კონფლიქტის **მხარეები** - მხარეებში იგულისხმებიან, ის მონაწილეები, რომლებიც, ზემოთ ნახსენები, მატერიალური თუ სულიერი ღირებულებებისთვის, თავიანთი ინტერესებით მოქმედებენ.

კონფლიქტის **გარემო** - გარემო არის ის ლოკალური თუ გლობალური, ტერიტორიული სივრცე, სადაც იმყოფებიან კონფლიქტის მხარეები და მოქმედებენ საკუთარი ინტერესებისთვის.

კონფლიქტის თეორიული მიმოხილვისას, მნიშვნელოვანია გამოვყოთ, მისი სტრატეგიები: *მეტოქეობა, დათმობა და პრობლემის გადაჭრა.* (Rubin, J. Pruitt, D.)
მეტოქეობა - სტრატეგია, რომლითაც მოწინააღმდეგე მხარე ცდილობს, თავს მოახვიოს მეორე მხარეს, მისთვის სასურველი გადაწყვეტილება და გაიტანოს თავისი.
დათმობა - ამ დროს, ხდება მოთხოვნის შემცირება, იმაზე ნაკლებით დაკმაყოფილება, ვიდრე სასურველი იყო. გადაწყვეტილება მიიღება, მოწინააღმდეგე მხარის სასიკეთოდ.
პრობლემის გადაჭრა - სტრატეგია, რომლის დროსაც ორივე მხარისთვის ოპტიმალური გადაწყვეტილება მიიღება. კონფლიქტში მონაწილე ყველა მხარე, ერთობლივი გზებით, შეიმუშავებს პრობლემის მოგვარების გზას და მიიღება შეჯერებული გადაწყვეტილება.

§ 1.1. კონფლიქტის ტიპები.

კონფლიქტის თეორიის მიმოხილვისას, ბევრი ავტორი გამოყოფს კონფლიქტის ტიპებს, რომელიც ხუთ კატეგორიად იყოფა: ინსტიტუციური, ინფორმაციული, ურთიერთდამოკიდებულებითი, ინტერესთა და ღირებულებითი კონფლიქტი.

ინსტიტუციური კონფლიქტი - დაკავშირებულია წესებთან, კანონებთან, ნორმებთან. გულისხმობს მართვის სისტემასთან, ხელისუფლებასთან, მართლმსაჯულებასთან, პოლიტიკურ პარტიებთან და ა. შ. დაკავშირებულ კონფლიქტს.

ინფორმაციული კონფლიქტი - ინფორმაციის სიმცირესთან, დამახინჯებასთან კავშირში არსებული კონფლიქტი. მისი დამახინჯება იწვევს გაუგებრობას, დავას, კონფლიქტის ზრდას.

ურთიერთდამოკიდებულებითი კონფლიქტი - როდესაც დაპირისპირებილ მხარეებს შორის, ურთიერთობა არის დაძაბული და ისინი უკმაყოფილო არიან ამ ურთიერთობით. ასეთი კონფლიქტი ატარებს ემოციურ ხასიათს , რადგან ურთიერთობის საფუძველი დამოკიდებულებებია.

ღირებულებითი კონფლიქტი - ამოსავალია ღირებულება, ყოველი მხარე ცდილობს, მისთვის მნიშვნელოვანი ღირებულებების შესაბამისად იმოქმედოს, ამიტომაც იჩენს თავს კონფლიქტი, რადგანაც ღირებულება შეფასებითი ინსტრუმენტია.

ინტერესთა კონფლიქტი - კონფლიქტი მოთხოვნილებებს შორის, როცა მხარეებს სხვადასხვა , ერთმანეთისგან საპირისპირო ინტერესები აქვთ და ყალიბდება კონკურენცია.

§ 1.2. კონფლიქტის დინამიკა.

კონფლიქტის დინამიკას აქვს ორი მიმართულება - ესკალაცია და დეესკალაცია. ესკალაცია ინგლისური წარმოშობის ტერმინია და იგი გაძლიერებას, აგრესიას, მტრობას ნიშნავს. (Fisher.R). ესკალაცია ინტენსივობის სხვადასხვა ხარისხით ხასიათდება. არსებობს გარკვეული საწყისი ქმედება, რომელიც გვირგვინდება შეჯახებით. შესაბამისად გვაქვს, ესკალაციის მოდელი, რომელსაც ქარბობალა ეწოდება. შედეგად ვიღებთ ესკალაციის ზრდად დინამიკას : საწყისი ქმედება ან შენიშვნა, პრობლემის განვრცობა, მტრული ალიანსები, კომუნიკაციის დამახინჯება, უხეში, უკიდურესი პოზიციები და შეჯახება.

1. *საწყისი ქმედება ან შენიშვნა* - ორივე მხარე ან ერთი იწყებს შენიშვნის მიცემას ან შესაბამის ქმედებას , რომელიც მეორე მხარეში დისკომფორტს, შიშს იწვევს.
2. *პრობლემის განვრცობა* - საკითხის საერთო განხილვის შემდეგ, წარმოჩინდება ახალ-ახალი პრობლემები ,რომესაც ავრცობენ მხარეები.
3. *მტრული ალიანსების ჩამოყალიბება* - მოწინააღმდეგე მხარეები, მხარდაჭერის მისაღებად, კონფლიქტში ჩართავენ სხვებს.
4. *კომუნიკაციის დამახინჯება* - ამ დროს, საკუთარი პოზიციების დადებითად წარმოსაჩენად, ორივე მხარე ცდილობს ურთიერთობა წარმართოს, მისთვის სასურველი მიმართულებით . მსჯელობენ განზოგადებულად და არ უსმენენ ერთმანეთს.
5. *უხეში და უკიდურესი პოზიციები* - მხარეები არ გადადიან საკუთარ პოზიაციას და ახდენენ ერთმანეთის პოზიციების იგნორირებას.
6. *შეჯახება* - ამოსავალი წერტილია შეტევა და ერთმანეთისთვის, საკუთარი ძლიერების დამტკიცება.

§ 1.3. კონფლიქტში ქცევითი ტაქტიკები.

კონფლიქტურ სიტუაციაში, ქმედების აღსაწერად, კ. ტომასმა გამოყო ხუთი სახის ქცევითი ტაქტიკა, რომელსაც ადამიანები ინდივიდუალურად იყენებენ, ესენია: კონკურენცია, თანამშრომლობა , განრიდება, შეგუება და კომპრომისი. კონკრეტული სტრატეგია , გამოიყენება ინდივიდის მიერ საკუთარი და სხვისი ინტერესების დაკმაყოფილება თუ დაუკმაყოფილებლობის მიხედვით. (Rubin, J.).

კონკურენცია - აღნიშნული ტაქტიკა, გულისხმობს ერთი მხარის დომინირებას, კონფლიქტურ ურთიერთობაში. უმეტესად, ყურადღება ექცევა საკუთარი მიზნების განხორციელებას, იგნორირებულია მეორე მხარის ფაქტორი და მასთან ურთიერთობა. გამარჯვებისთვის, ხშირ შემთხვევაში გამოიყენება ძალისმიერი მეთოდები და შესაძლოა ძლიერი მხარეც დაზარალდეს. ასეთი მოქმედება არარაციონალურია და მოითხოვს დიდ რესურსებს.

თანამშრომლობა - ამ ტაქტიკაში მნიშვნელოვანია, მიზნები და კოოპერაცია. ამ დროს მხარეები მოლაპარაკების საფუძველზე, საერთო გადაწყვეტილებამდე მიდიან. მთავარი ორიენტირი მიმართულია, ორმხრივი ინტერესების დაკამაყოფილებასა და პრობლემის გადაჭრაზე. ყველაზე მთავარი ის არის, რომ თანამშრომლობის დროს, ყველა მხარე თავისი სურვილით არის ჩართული, კონფლიქტის მოგვარებისთვის.

განრიდება - ეს არის პრობლემისგან გაქცევის სტრატეგია. არც ერთი მხარე, ორიენტირებული არ არის მიზნის მიღწევაზე და ასევე თანამშრომლობაზე. ასეთი ტაქტიკით მოქმედებისას, მნიშვნელოვანია კონფლიქტური სიტუაციიდან , რაც შეიძლება მალე გამოსვლა, მისგან გაქცევის ხარჯზე. ხსენებული ტაქტიკა გამოიყენება, მაშინ როდესაც ესკალაცია არის მაღალ დონეზე და ორივე მხარე თვლის, რომ კონფლიქტი არის დაუძლეველი და გაუჭირდებათ გადაწყვეტილების მიღება, ამიტომაც ხდება უკუსვლა.

შეგუება - ნაკლებია მიზანზე ორიენტაცია, ამოსავალი წერტილი, ურთიერთობაზე ორიენტაციაა. ერთი მხარე ყოველთვის თმობს, თავის ინტერესებს, მეორე მხარის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად.

კომპრომისი - ამ ტაქტიკაში, შესაძლებლობები გადანაწილდება თანაბრად. ამ დროს ხორციელდება ურთიერთდათმობა. კონფლიქტში ჩართული, ორივე მხარე თანხმდება საშუალო პოზიციაზე , რომელიც მოლაპარაკებით მიიღწევა. ამ ტაქტიკის ფორმულა ასეთია: „რაიმე რომ მივიღოთ, ყოველმა ჩვენგანმა რაღაც უნდა დავთმოთ“.

მნიშვნელოვანია განვიხილოთ კონფლიქტის სტრატეგიების პრინციპები:

1.“მოგება-წაგება“ - ასეთ პრინციპის დროს, კონფლიქტი ჰგავს ბრძოლის ველს, სადაც ერთი მხარე აუცილებლად თვლის, რომ მისი მოგება შესაძლებელია, მხოლოდ და მხოლოდ მეორე მხარის წაგების ხარჯზე. ასეთი დონის წარმომადგენელი მხარეები, მიმართავენ ზეწოლას და ძალადობას ხშირად.

2. „წაგება-მოგება“ - კონფლიქტში ჩართული ერთი მხარე , საწყის ეტაპზევე მიმართულია წაგებისკენ. იგი, მოწინააღმდეგე მხარეში, ხედავს ძლიერ ძალას და დარწმუნებულია, რომ მასთან ბრძოლა დასრულდება წარუმატებლად.

3. „წაგება-წაგება“ - ამ პრინციპის მიხედვით, ორივე მხარეს ახასიათებს, ძირითადად კომპრომისული მოქმედებები. ამ დროს, ერთი მხარეც თმობს და მეორეც, რაც წაგებაზე წასვლას გულისხმობს. ხშირად ისეც ხდება, რომ რომელიმე მხარე საკუთარი განადგურების ხარჯზეც კი ცდილობს, ოპონენტის დამარცხებას.

4. „მოგება-მოგება“- ამ პრინციპით ხელმძღვანელობისას, შესაძლებელი ხდება კონფლიქტური სიტუაციიდან გამოსვლა, რადგანაც მხარეები ურთიერთთანამშრომლობენ და ადგილი აქვს ორმხრივი, ხელსაყრელი გადაწყვეტილებების მიღებას, შედეგად ორივე მხარე გამარჯვებულია.

§ 1.4. კონფლიქტის ტრანსფორმაცია.

არსებობს კონფლიქტის დარეგულირების სხვადასხვა მეთოდები და მიდგომები. მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეულია კონფლიქტის ტრანსფორმაცია.(Creighton, M) მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ორ მხარეს შორის არსებული პროცესი, უნდა გადაიზარდოს არაძალადობრივ ქმედებებში. ამ პროცესის დროს, აქცენტი გადატანილია, მოწინააღმდეგე მხარეების პრობლემებსა და საჭიროებებზე. მას მივყავართ სოციალურ ცვლილებებამდე, რადგანაც ტრანსფორმაციის მთავარი მიზანი, ძალადობრივი კონფლიქტისთვის მიმართულების შეცვლა და მისი, კონსტრუქციულ ძალაზე დაყრდნობაა.

კონფლიქტის ტრანსფორმაცია კონსტრუქციული გზით, არის დინამიური და ხანგრძლივი პროცესი, რაც რადიკალურად ცვლის ურთიერთობებს, ყოველივე კი საფუძვლად ედება სტაბილურობას და მშვიდობას.

არსებობს კონფლიქტის ტრანსფორმაციის სხვადასხვა საშუალებები. მათგან გამორჩეულია **ჩარევა**. ჩარევა - „ინტერვენცია“ - გულისხმობს სხვადასხვა მიდგომებში, გარკვევას იმისა, თუ სად რა არის საჭირო. ჩარევის პროცესი, არა მარტო პროფესიონალების და ფასილიტატორების დონეზე ხორციელდება, არამედ მასში მონაწილეობენ საზოგადოების წევრები, ჯგუფები, ასევე კერძო პირებიც კი.

ჩარევის დროს, გამოიყოფა სამი ძირითადი მოდელი:

1. „ნაბიჯ-ნაბიჯ“ - ნიშნავს უნდობლობის ეტაპობრივად შემცირებას. მნიშვნელოვანია ნდობის ატმოსფეროს და რწმენის ჩამოყალიბება. საფუძველი ეყრება შეთანხმებას, თანხმდებიან ისეთ ძირეულ საკითხებზე, რაც ზოგადად წინგადადგმული ნაბიჯია კონფლიქტში მონაწილე მხარეებისთვის.
2. „პროცედურული სქემების შემუშავება“ - ეს არის საერთო პროცესზე ორიენტაცია, როდესაც მოწინააღმდეგე მხარეები გეგმავენ, მომავალში აწარმოონ მოლაპარაკება.
3. „საბოლოო სურათი“ - ამ დროს მხარეები აღმოჩნდებიან ერთმანეთის პირისპირ, მთავარი საკითხების ჯერ განსახილველად და შემდეგ გადასაჭრელად. ერთობლივად ისახება მომავალი მიზნები, კონფლიქტის საბოლოოდ მოგვარებისთვის.

თავი 2.

მშვიდობის მშენებლობა.

კვლევის სფერო - მშვიდობის მშენებლობა, კონფლიქტების მოგვარების იმ ძირითად პრინციპს ეყრდნობა, რომლის მიხედვით, ორ დაპირისპირებულ მხარეს ყოველთვის შესწევს უნარი, შეაჩეროს კონფლიქტის ესკალაცია და ეფექტური მოლაპარაკებების შედეგად , მიაღწიოს კონფლიქტის მოგვარებას. ეს არის სფერო, რომელიც ამბობს, რომ ომის და ძალადობის გარეშე, მოლაპარაკების გზით, შესაძლებელია საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტა. (international journal of peace)

მშვიდობას აქვს ორი ასპექტი - პოზიტიური და ნეგატიური მშვიდობა. მშვიდობის პოზიტიური და ნეგატიური გაგება პირველად შემოგვთავაზა, მშვიდობის კვლევის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა და ზოგადად, ამ სფეროს მთავარმა ფიგურამ - იოჰან გალტუნგმა 1964 წელს.

პოზიტიური და ნეგატიური მშვიდობის ერთმანეთისგან გამოყოფის ისტორია, სათავეს იღებს 1950-იანი წლებიდან, როდესაც მშვიდობის კვლევა მკვეთრად ორიენტირებული იყო პირდაპირ ძალადობაზე, როგორიცაა ფიზიკური ძალადობა და ომი. ამ სფეროში დომინირებდნენ ჩრდილოეთ ამერიკელები. 1960-იან წლებში გალტუნგმა გააფართოვა მშვიდობისა და ძალადობის კონცეფციები, რათა ამ ცნებების ახლებურ გაგებას მოეცვა არაპირდაპირი და სტრუქტურული ძალადობა. გალტუნგის მიხედვით, მშვიდობის კვლევა ემსახურება ისეთი პირობების კვლევას, რომელიც დაგვაახლოვებს მშვიდობასთან ან, სულ მცირე, უფრო ახლოს არ მიგვიყვანს ძალადობასთან. ამგვარად, ნეგატიური მშვიდობა არის „ძალადობის არარსებობა, ომის არარსებობა“, ხოლო პოზიტიური მშვიდობა კი „ჰუმანური საზოგადოების ინტეგრაციაა“.

§ 2.1. მშვიდობა და ძალადობა

1964 წლის შემდგომ, მშვიდობის თეორიამ საკმაო ცვლილებები განიცადა და გალტუნგის შეხედულებები მშვიდობასა და ძალადობაზე შეცვალა უფრო ფართო კონცენტრაციამ, ძალადობისა და მშვიდობის გამომწვევ მიზეზებსა და შედეგებზე. გალტუნგმა ყურადღების ფოკუსირება მოახდინა მშვიდობისა და ძალადობის არა აქტორებზე ორიენტირებულ განმარტებაზე, არამედ სტრუქტურაზე ორიენტირებულ განმარტებაზე, რომლის ცენტრალური იდეა გახლდათ ის, რომ ძალადობა არსებობს იმის გამო, რომ სტრუქტურა და აქტორები ახორციელებენ მას. გალტუნგი ძალადობას განმარტავს მდგომარეობად, როდესაც ადამიანები არიან გავლენის ქვეშ და მათი რეალური სომატური და გონებრივი რეალიზაცია არის მათ პოტენციურ რეალიზაციაზე დაბლა. ეს განმარტება ბევრად უფრო ფართოა, ვიდრე ძალადობის მხოლოდ სომატური და პირდაპირი გაგება და მოიცავს სტრუქტურულ ძალადობასაც. ძალადობის ამ გაფართოებულმა განმარტებამ გააფართოვა თავად მშვიდობის განმარტებაც და მშვიდობა აღიქმება არა მარტო როგორც პირდაპირი ძალადობის არარსებობა (ნეგატიური მშვიდობა), არამედ როგორც სტრუქტურული ძალადობის არარსებობაც (პოზიტიური მშვიდობა). (international journal of peace). ძალადობის სოციალურ სტრუქტურასთან დაკავშირების შედეგად გალტუნგმა შექმნა კავშირი მშვიდობას, კონფლიქტსა და განვითარების კვლევას შორის. სტრუქტურული ძალადობის ცნება მისი სოციალურ სამართლიანობასთან კონოტაციის გამო ასევე რელევანტურია კონფლიქტის თეორიასა და განვითარების კვლევაში. გალტუნგი მიიჩნევს, რომ პერსონალური და პირდაპირი ძალადობა ხშირად სოციალურ სტრუქტურას ეფუძნება, ამიტომ უმჯობესია ფოკუსირება მოხდეს სტრუქტურული ძალადობის მიერ გამოვლენილ უფრო ფართო სურათზე, რადგან ეს გამოაშკარავებს როგორც ძალადობის გამომწვევ მიზეზებსა და მის შედეგებს, ასევე მშვიდობისათვის საჭირო პირობებს. აქედან მოყოლებული, მშვიდობის კვლევის მიზანია შექმნას საჭირო პირობები მშვიდობის ორივე ტიპის ხელშეწყობისთვის.

§ 2.2. პოზიტიურ და ნეგატიურ მშვიდობას შორის არსებული განსხვავეები

პოზიტიური და ნეგატიური მშვიდობის უმთავრესი მახასიათებლები შემდეგნაირად შეიძლება შევაჯამოთ:

ნეგატიური მშვიდობა: ძალადობის არარსებობა, პესიმისტური, გამოსწორებითი, მშვიდობა ყოველთვის მშვიდობიანი საშუალებებით არ მიიღწევა.

პოზიტიური მშვიდობა: სტრუქტურული ინტეგრაცია, ოპტიმისტური, პრევენციული, მშვიდობა მშვიდობიანი საშუალებებით.

გალტუნგი ნაშრომების უმრავლესობაში ცდილობდა პოზიტიური მშვიდობა ნეგატიურ მშვიდობასთან შედარებით უფრო მაღალ იდეალად წარმოეჩინა. ეს გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ გალტუნგის მიხედვით, მშვიდობის კვლევა არ უნდა ცდილობდეს პირდაპირ და სტრუქტურულ დონეზე უბრალოდ ძალადობის შემცირებას, არამედ უნდა ცდილობდეს მშვიდობის პრევენციისთვის საჭირო პირობების გააზრებას. ეს რომ განხორციელდეს, აუცილებელია მშვიდობისა და ძალადობის მთლიანობაში აღქმა მოხდეს ადამიანთა ორგანიზაციის ყველა დონეზე. კითხვებზე თუ რა არის მშვიდობის საფუძველი და რაზე ახდენს ის გავლენას? პასუხის გასაცემად გალტუნგმა გამოყო ტიპოლოგია, რომელიც მოიცავს ექვს განზომილებას: ბუნება, პიროვნება, სოციუმი, მსოფლიო, კულტურა, დრო. შედეგად ვიღებთ ხუთი სახის ძალადობას: ბუნებითი ძალადობა, აქტორული და პირდაპირი ძალადობა, სტრუქტურული და არაპირდაპირი ძალადობა, კულტურული და დროითი ძალადობა. ნეგატიური მშვიდობა განმარტებულია, როგორც ამ ტიპის ძალადობების არარსებობა. პოზიტიური მშვიდობა კი მოიცავს ბუნებით მშვიდობას, პირდაპირ პოზიტიურ მშვიდობას, სტრუქტურულ პოზიტიურ მშვიდობას და კულტურულ პოზიტიურობას. ამ ყოველივეზე დაყრდნობით, გალტუნგმა დაასკვნა, რომ ძალადობა და მშვიდობა საკუთარ თავებს თავად კვებავენ და პოზიტიური მშვიდობა არის საუკეთესო დაცვა ძალადობისგან.

გალტუნგის თეორიის მიხედვით, ნეგატიური მშვიდობა გამოსადეგია მხოლოდ ხანმოკლე პერიოდისთვის, ხოლო პოზიტიური მშვიდობის არსებობა შესაძლებელია

 და უფრო ხანგრძლივი; დადებითი შედეგი მიიღწევა მხოლოდ პოზიტიური მშვიდობის მეთოდით.

§ 2.3. ძალაუფლების პირამიდა.

მშვიდობის მშენებლობის პროცესში და განსაკუთრებით, ომის შემდგომ საზოგადოებაში, მშვიდობის მშენებლობის პროცესში, მნიშვნელოვანი ფაქტორია - ძალაუფლების პირამიდა, რომელიც ჯონ პოლ ლედერახმა შექმნა. ამ პირამიდაში მთავარია, თუ საზოგადოების რომელი ფენა რას აკეთებს , მშვიდობის მშენებლობისთვის, პოსტკონფლიქტურ სიტუაციაში. (Lederach, J, P. 1998).
პირამიდა იყოფა სამ ნაწილად, მის თავში არის ხელისუფლება, ანუ უმაღლესი დონის ლიდერები, ისინი ქვეყანაში მმართველ ლიდერებს წარმოადგენენ და აქვთ ყველაზე მეტი გავლენა.
პირამიდის შუა ნაწილში, საშუალო დონის ლიდერები იმყოფებიან, რომლებიც სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობენ, იქნება ეს განათლება, კულტურა, ბიზნესი თუ სხვ. ამ ნაწილს წარმოადგენენ, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვადასხვა ინსტიტუტები. ისინი დაკავშირებულნი არიან პირამიდის საწყის და უმაღლეს საფეხურებთან.
პირამიდის საწყის ნაწილში კი, არიან საწყისი დონის ლიდერები, ადგილობრივი ლიდერები, ადგილობრივი არასამთავრობო ინსტიტუტები, არაფორმალური ჯგუფები და სხვ. ეს ნაწილი წარმოადგენს, საზოგადოების ძირითად შემადგენლობას, რომელსაც შეუძლია დაინახოს, ომის შემდგომი, მოვლენების მსხვერპლი ხალხის რეალური მდგომარეობა.
პირამიდის უმაღლეს დონეს - მთავრობას არ გააჩნია კონტაქტი, საწყის დონესთან; საშუალო დონეს, როგორც ზემოთ იქნა ნახსენები, კონტაქტი აქვს საწყის და უმაღლეს დონესთან, ხოლო საწყის დონეს კონტაქტი აქვს საშუალო დონესთან და არა აქვს კონტაქტი უმაღლეს წარმომადგენლობასთან.

19 უმაღლესი დონის ლიდერები, კონფლიქტის მოსაგვარებლად მუშაობენ და მოქმედებენ შემდეგნაირად: ცეცხლის შეწყვეტა; მოლაპარაკება უმაღლეს დონეზე და მედიატორის ჩართვა მოლაპარაკებაში.

საშუალო დონის ლიდერები: პრობლემის გადაწყვეტისკენ მიმართული სამუშაო შეხვედრები, კონფლიქტის მოგვარების ტრენინგები.
საწყისი დონის ლიდერები: ფსიქო-სოციალური სამუშაოები, ომის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობასთან.

§ 2.4 მრავალარხიანი დიპლომატია

სამეცნიერო ლიტერატურაში, განსაკუთრებით კი კონფლიქტოლოგიაში აქტიურად გამოიყენება ტერმინი „მრავალარხიანი დიპლომატია“ . პოლიტოლოგებისა და დიპლომატების დასკვნით, აღმოჩნდა, რომ საერთაშორისო დავების დროს, ოფიციალური ურთიერთობა არ არის ერთადერთი გზა, კონფლიქტების გადაჭრის. ამიტომ „მრავალარხიანი დიპლომატია“ არის საშუალება, რომ განსხვავებულად დავინახოთ პრობლემები და უფრო ადვილად გადავწყვიტოთ ამ პრობლემათა მოგვარების საკითხი. (ზურიკაშვილი ფ., მაღრაძე გ., ჭანიშვილი ნ., ხუციშვილი გ., ჯორბენაძე რ. – „კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა“.).

მრავალარხიან დიპლომატიაში არსებობს ცხრა მთავარი არხი, დავათა ეფექტური გადაჭრისთვის. (Diamond, L; McDonald, J.-Multi-Track Diplomacy) პირველი არის - **ოფიციალური დიპლომატია**, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს, მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმას ფორმალური სტრუქტურების მეშვეობით. ამ დროს მთავარ მოქმედ როლებს ასრულებენ, უმაღლესი დონის ხელისუფლების წარმომადგენლები, როგორც ეს ლედერახის „ძალაუფლების პირამიდაშია“ განხილული. აღნიშნული არხი ხელს უწყობს სხვადასხვა ერებს შორის ურთიერთგაგების დამყარებას, სამომავლო

თანამშრომლობის პერსპექტივით. რაც მთავარია, იგი ასრულებს შუამავლის როლს დაპირისპირებულ მხარეთა შერიგების პროცესში.

მეორე არხი - **არასამთავრობო დონეზე, მშვიდობის მშენებლობის პროცესი**, გულისხმობს არასამთავრობო სექტორის აქტიურ მუშაობას სამშვიდობო მიმართულებით. მათი სამუშაო არეალი მოიცავს ანალიზს, დაგეგმვას, პრევენციას და მოგვარებას. ძირითადი მიზანი აღნიშნული სექტორისა, არის დახმარების გაწევა კონფლიქტის მოგვარების პროცესში, რომელსაც ახორციელებენ არასაჯარო სექტორის პირები.

მესამე არხი - სამშვიდობო საქმიანობა **ბიზნეს-სექტორის** ჩართულობით. ეს არის არხი, რომელსაც აქვს დიდი პოტენციალი, ღირებული ნაბიჯები გადადგას მშვიდობის მშენებლობის პროცესში, ორ ერს შორის ურთიერთობის დამყარების პროცესში. აქ ძირითადად იგულისხმება ეკონომიკური შესაძლებლობები და ასპექტები, რომლის მეშვეობითაც მყარდება ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური თანამშრომლობა, სიღარიბის დაძლევა და იმ ნეგატიური ფაქტორების აღმოფხვრა, რაც ახლავს სიღარიბეს, რომელიც ხშირად გამხდარა კონფლიქტის მიზეზი.

მეოთხე არხი - **კერძო მოქალაქე - პირადი მონაწილეობა**, გულისხმობს თითოეული მოქალაქის აქტიურ მონაწილეობას მშვიდობის მშენებლობაში, ინდივიდუალურად. ეს შესაძლებელია მრავალი გზით: მოქალაქეთა დიპლომატია, გაცვლითი პროგრამები, მოხალისეობრივი საქმიანობა, სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებში და სხვ.

მეხუთე არხი - **კვლევა, ტრენინგი, განათლება**. მშვიდობის მშენებლობა სწავლის მეშვეობით არის ძალიან მნიშვნელოვანი და ეს შესაძლებელია სამი მიმართულებით, კვლევა - სადაც ძირითადად გამოიყოფა სხვადასხვა საუნივერსიტეტო პროგრამები და სპეციალური ინტერესთა კვლევითი ცენტრები; ტრენინგი - ტრენინგ კურსები კონფლიქტის მოგვარებაში, მედიაციაში, მოლაპარაკებაში და ა. შ.

განათლება - რომელიც გულისხმობს სკოლამდელი დროიდან, სადოქტორო საუნივერსიტეტო პერიოდამდე შემუშავებულ, სპეციალურ დისციპლინურ მიმართულებებს, დაკავშირებული კონფლიქტის მოგვარებასთან, მოლაპარაკებასთან, ანალიზთან.

მეექვსე არხი - **აქტივიზმი -** ეს არის აქტიური ჩართულობა სამშვიდობო პროცესებში, აქციების, საჯარო გამოსვლების, ბოიკოტის და ა. შ. მეშვეობით. მისი მთავარი ფუნქციაა პოლიტიკური ცნობიერების შეცვლა, სოციალური, ეკონომიკური, სამართლებრივი ინტეგრაციის გზით. ნებისმიერ მოქალაქეს აქვს მორალური ვალდებულება, გამოხატოს პროტესტი და შეცვალოს არსებული რეალობა.

მეშვიდე არხი - **რელიგია**. ეს კონკრეტული არხი დამყარებულია რწმენასა და მის ძალაზე. სამშვიდობო საქმიანობის ორიენტირი მიმართულია სულიერი ჭეშმარიტებისკენ, სამართლიანობისკენ, პაციფიზმისკენ, თანასწორობისკენ. მშვიდობის დამყარება შესაძლებელია მიტევებით და უანგარო სიყვარულით.

მერვე არხი - **დაფინანსება**. ამ არხის მთავარი არსი არის, სხვადასხვა ფინანსური წრეების ძალისხმევა, რომ ფინანსურად უზრუნველყოს სხვა არხები, მშვიდობის მშენებლობის პროცესში.

მეცხრე არხი - **კომუნიკაცია, მედია, მასობრივი ინფორმაცია -** აღნიშნულ არხში უმთავრესია საზოგადოებრივი აზრი და ის, თუ როგორ მიეწოდება მედიის, მასობრივი ინფორმაციის სხვადასხვა საშუალებით, ინფორმაცია საზოგადოებას. (რამდენად ინფორმირებულია მასა, მსოფლიოში მიმდინარე სამშვიდობო თუ კონფლიქტურ პროცესებზე).

მრავალარხიანი დიპლომატიის თითოეული არხი, ერთნაირი წარმატებით შეიძლება იქნას გამოყენებული მშვიდობის დამყარების პროცესში.

თავი 3.

შერიგება

შერიგება, კონფლიქტების გადაწყვეტის შედარებით ახალი სამეცნიერო დისციპლინის , ახალი კონცეფციაა. უკანასკნელი წლების განმავლობაში შერიგება, ჩამოყალიბდა როგორც ერთ-ერთი ყველაზე მწვავე თემა , კონფლიქტებში. იგი ეხება ისეთ, მასშტაბურ მოქმედებებს, რომელიც ხელს უწყობს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მიღწეული დროებითი სამშვიდობო შეთანხმების ტრანსფორმირებას, კონფლიქტის, როგორც ასეთის, სრულმასშტაბიან გადაწყვეტაში. (Hauss, C.).

შერიგების თემისადმი დიდი ინტერესი, პირველ რიგში უკავშირდება ამერიკელი მკვლევრის - ჯონ პოლ ლედერახის სახელს, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა გაამახვილა ყურადღება შერიგებაზე, როგორც ცალკე ფენომენზე, მშვიდობის მშენებლობისა და კონფლიქტის გადაწყვეტის დარგში. მან გამოყო ოთხი იდენტიფიცირებული კრიტიკული კომპონენტი, რომელიც ქმნის შერიგებისთვის საჭირო სოციალურ გარემოს, ესენია: ჭეშმარიტება, სამართლიანობა, პატიება და მშვიდობა.

ნიკოლ ნეგოვეტი, შერიგების კონცეფციას, ჯონ პაულ ლედერახის კონფლიქტის ტრანსფორმაციის თეორიის ქვაკუთხედად განიხილავს (Negowetti, N.).

მარსია ჰართველი სტატიაში „პატიების როლი კონფლიქტის შემდგომი საზოგადოების რეკონსტრუქციაში“ აღნიშნავს პატიების მნიშვნელობას და განიხილავს მის რელევანტურობას ომის შემდგომ საზოგადოებაში. (Hartwell, M, B.)

ხსენებულ სტატიაში, პატიების მნიშვნელობა, გაანალიზებულია სოციალური შერიგების ასპექტში, რაც თანამშრომლობაზე დაფუძნებულ სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში მონაწილეობას გულისხმობს.

შერიგების პროცესს, როგორც ძველ საზოგადოებაში, ისე ახლა, აქვს სპეციფიური მნიშვნელობა, მოყოლებული ცივი ომის პერიოდიდან. (Lerche, C.)

ორივე, თეორიასა და პრაქტიკაზე ორიენტირებული ლიტერატურა, დამყარებული კონფლიქტის მოგვარებაზე, აღიარებს რომ ამდენი ომის და ძალადობის შემდეგ ,

ადამიანთა გული და გონება არის განადგურებული, ამიტომ მას სჭირდება „რეკონსტრუქცია“. ამგვარად, მშვიდობის მშენებლობის პროცესის წარმატება დამოკიდებულია, ნაწილობრივ იმაზე,რომ ანტაგონისტურად განწყობილმა მხარეებმა უკან, წარსულში დატოვონ ძალადობა და კონფრონტაცია. (Lerche, C.) ბევრი მეცნიერი თანხმდება, რომ შერიგება შეუძლიათ ჯგუფებს, ერებს, ერთნაირი პროცესებით და საშუალებებით, თუმცა ზოგი თვლის, რომ შერიგება შეიცავს მრავალ ფორმას, პოსტ-კონფლიქტურ საზოგადოებაში.

სამეცნიერო ლიტერატურაში, შერიგების , როგორც ტერმინის განმარტება, ბევრ ფორმულირებას მოიცავს. ერთ-ერთი ასეთია: „შერიგება არის ურთიერთობის განვითარების, ორმხრივი პროცესი, ანტაგონისტურ ან ყოფილ ანტაგონისტურ ჯგუფებს შორის.“ (Krisberg. 1998).

სტრატეგიული თვალსაზრისით, შერიგება არაკონფრონტაციული აზროვნების მატერიალიზაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო გზაა. როცა ვსაუბრობთ ეროვნულ შერიგებაზე, ვგულისხმობთ შერიგებას საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დონეზე, ქვეყნის შიგნით, ეთნიკურ თუ სხვა ჯგუფებს შორის.

ეროვნული შერიგების მიზანია, ურთიერთობა აღადგინოს წინააღმდეგობაში მყოფ ეთნიკურ, რელიგიურ და ასევე პოლიტიკურ თემებს შორის და ასევე, უშუალოდ ამ თემებს შიგნითაც, როცა არსებობს კონფლიქტური მდგომარეობა. (National reconciliation and unity). შერიგება ინდივიდებს შორის ურთიერთობას ეხება, ამდენად, მნიშვნელოვანი თავად ინდივიდია კონფლიქტურ სიტუაციაში და როცა საქმე ეხება შერიგებას, სწორედ ინდივიდები წყვეტენ შერიგდნენ თუ არა და თავი დააღწიონ კონფლიქტურ სიტუაციას. ამრიგად, შერიგება ყოფილ მოწინააღმდეგეებს შორის ურთიერთობების ნორმალიზაციის მნიშვნელოვანი მექანიზმია.

კონფლიქტის ტრანსფორმაციის მოდელის მიხედვით, ჯონ პაულ ლედერახის თანახმად, შერიგების ყველაზე მთავარი დანიშნულებაა ურთიერთობების ნეგატიურიდან პოზიტიურისკენ ტრანსფორმირება. ეს ერთგვარი ხიდების მშენებლობაა. (Hauss, Charles. 2003). ტრანსფორმაციული მოდელი გულისხმობს, არასასურველის შეწყვეტას და სასურველის მშენებლობას, ურთიერთობების

ტრანსფორმაციის და მშვიდობის უზრუნველყოფის მეშვეობით. აღნიშნული პროცესის განხორციელების მთავარი გარანტორი, თავად მოწინააღმდეგე მხარეთა ქცევების ცვლილებაა, დადებითი მნიშვნელობით. ნეგატიური ურთიერთობების პოზიტიურში გადაზრდის მთავარი მექანიზმებია: სიმართლის თქმა, განკურნება, სამართლიანობა და კომპენსაციის გადახდა.

უმთავრესი პრინციპი შერიგების პროცესში, არის არსებულ მოთხოვნებთან , მოსახლეობის მოლოდინებსა და კონტექსტთან შესაბამისობა.

კონფლიქტის გადაწყვეტის პროცესში მონაწილე პრაქტიკოსი მეცნიერები, იყენებენ სხვადასხვა საშუალებებს შერიგების უზრუნველსაყოფად. ერთ-ერთი ასეთია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სიმართლისა და შერიგების კომისია, მას შემდეგ ანალოგიური კომისიები ჩამოყალიბდა ოცამდე სხვა ქვეყანაში. ამ კომისიების დანიშნულება არის, კონფლიქტებში ჩართული მოწინააღმდეგე მხარეების დაახლოება, შიშის და სიძულვილის აღმოფხვრა და ნდობის ატმოსფეროს შექმნა. შერიგება ერთის მხრივ განიხილება, როგორც პროცესი და მეორეს მხრივ უკვე არსებული შედეგი. „შერიგება ეს არის ადგილი, რომლის მიღწევისკენაც ჩვენ მივილტვით და ამავე დროს მოგზაურობა, რომელიც ამ ადგილის მისაღწევადაც ჩვენ უნდა განვარხორციელოთ“. (Lederach, J.P. 1997).

ასევე უნდა აღინიშნოს, შერიგებასა და დემოკრატიის პროცესს შორის ურთიერთმიმართება. როცა დემოკრატიული კომპრომისი კონფლიქტის გადაწყვეტის კონკრეტულ ფაქტებს ქმნის, შერიგება მიმართულია მხარეებს შორის, დემოკრატიული კომპრომისის გზით მიღებული გადაწყვეტილებების სისრულეში მოყვანაზე. (Bloomfield, D. Barnes, T. Reconcilation after Violent Conflict). შერიგება საფუძველს უქმნის დემოკრატიას, ავითარებს სამუშაო ვითარებას დაპირისპირებაში მყოფ მხარეებს შორის, რომელიც მისი წარმატებისთვის მნიშვნელოვანია.

ეროვნული შერიგება მოიაზრება ისეთ ცნებებთან, როგორიც არის პატიება, თანხმობა და ბოდიშის მოხდა. ეს უკანასკნელი შეიძლება ჩავთვალოთ პირველ ნაბიჯად , კონფროტაციული სიტუაციის შესაცვლელად. რაც შეეხება პატიებას, იგი შინაარსობრივად სხვა დატვირთვის მატარებელია, ვიდრე შერიგება. პატიება ეს შინაგანი პროცესია, რომელიც პიროვნებაში ხორციელდება ინდივიდუალურად;

შერიგება კი , მხარეთა შორის ურთიერთობას გულისხმობს, რაც ქცევით დაახლოებაში გამოიხატება. (Byrom, M. The Role of Forgiveness in Reconstructing Society after Conflict.).

ეროვნული შერიგება ეფუძნება კონფლიქტის მიზეზების გარკვევას, დაშვებული უსამართლობისა და გადატანილი ტანჯვის აღიარებას, მორალური პასუხისმგებლობის აღებას , ბოდიშის მოხდას, პატიებას. შერიგების პროცესის წარმატებით დასრულებას უზრუნველყოფს: მოწინააღმდეგე მხარის თვალსაზრისის გათვალისწინება, ურთიერთპატივისცემა, ჭეშმარიტი ბოდიშის მოხდა და ქცევის შეცვლა.

შრივერის მოსაზრებით, შერიგების პროცესის წარმატება კიდევ ერთ ფაქტორზეა დამოკიდებული, ეს არის ერთმანეთზე დამოკიდებულების შეგრძნება და ერთმანეთის მიმართ თანასწორ ვალდებულებათა აღება. (Wilmot, W. Interpersonal Conflict. 2001).

შერიგების პროცესს თან ახლავს გარკვეული საფრთხეები, მათ შორის, მოწინააღმდეგე მხარეების მიერ მისი მანიპულაციისთვის გამოყენება. ჯონ პაულ ლედერახი თავის წიგნში „შეხვედრის ადგილი“ ამ საფრთხეზე ამახვილებს ყურადღებას და ამბობს, რომ ყველაზე მეტად საშიშია მანიპულაციის გამოყენების შესაძლებლობა, იმ ადამიანების მიერ, რომლებიც ხშირად სიმართლეს საკუთარი მიზნებისთვის იყენებენ. (Lederach, J.P. The Meeting Place.).

თანამედროვე მკვლევარები, აღნიშნავენ, რომ დღეს მსოფლიოში შერიგების და პატიებისკენ მოწოდებები აქტუალური გახდა, მაგრამ არც თუ იშვიათად შემრიგებლური ლოგიკის მანიპულაციისა და „მჩაგვრელის“ მიერ მისი საკუთარი ინტერესებისთვის გამოყენების შემთხვევები, ერთის მხრივ, ჩადენილ დანაშაულზე პასუხისმგებლობისგან თავის აცილების და მეორეს მხრივ, მოწინააღმდეგე მხარის მიმართ ძველი ურთიერთობების კვლავ გაგრძელების მიზნით. ასეთი ტიპის მანიპულირება, ძალზედ დიდ ზიანს აყენებს შერიგების პროცესს. (Hocker, J. Library of Congress Cataloging . 2001.).

არსებული საფრთხეების გათვალისწინებით, რომელიც შესაძლოა შერიგების პროცესის განხორციელებას თან ახლდეს, სოციალურ მეცნიერებაში დამკვიდრდა

ისეთი ცნებები, როგორიცაა მექანიკური და ორგანული თანხმობა. პირველი არის ისეთი პროცესის შედეგი, რომელშიც შერიგება მანიპულაციის საშუალების სახით გამოიყენება. მის აღსანიშნად, ხშირად იყენებენ ტერმინს „კვაზიკონსესუსი“. რაც შეეხება ორგანულ თანხმობას, იგი ჭეშმარიტი შერიგების პროცესის შედეგს წარმოადგენს.

ამგვარად, ეროვნული შერიგების პოლიტიკა რთულად განსახორციელებელი პროექტია, რომლის მიზანი არის, დაპირისპირებულ მხარეთა შორის ურთიერთობების აღდგენა. იგი მოიცავს რამდენიმე სტადიას, რომელიც განხორციელდება მხოლოდ დიალოგისა და „მჩაგვრელ-ჩაგრულს“ შორის ურთიერთქმედებით. ასევე, ამ პროცესს ხელს უწყობს სიმართლის აღიარება, პასუხისმგებლობის აღება, მომავალი ურთიერთობების გაფრთხილება და გაცნობიერება იმისა, რომ ისინი ერთმანეთზე არიან დამოკიდებულნი.

§ 3.1. ეროვნული შერიგების პირობები და ხელისშემწყობი ფაქტორები.

შერიგების მიღწევა ძალიან რთული პროცესია, ხანგრძლივი და დინამიური, იმიტომ, რომ არსებობს მთელი რიგი ფაქტორები და პირობები, რომელთა გამოც მხარეებმა შესაძლოა უარი განაცხადონ შერიგებაზე. (Hampson, F. O. Nurturing Peace.). მხარეები აღწევენ გარკვეულ შეთანხმებას, შედეგად წყდება საომარი მოქმედება, თუმცა ნაკლებად უზრუნველყოფილია სტაბილური მშვიდობის მიღწევა. იგი მხოლოდ მაშინ მიიღწევა, როცა მთელ რიგ საკითხებზე, რომელიც საფუძველი გახდა კონფლიქტის დაწყების, ორივე მხარე მიიღებს მისთვის დამაკმაყოფილებელ პასუხებს.

შერიგება „ქვევიდან ზევით“ მიმართული პროცესია და გამორიცხულია ის თავსმოხვეულ იქნეს, სახელმწიფოს და სხვადასხვა ინსტიტუტების მიერ. მისი მიზანი არის ადამიანების დაახლოება, რაც რთული მისაღწევია; რადგანაც ემოციურად ძნელია დაჩაგრულმა აპატიოს მჩაგვრელს. არანაკლებ ძნელია მხარეების

მიერ ჩადენილი დანაშაულის აღიარება. ამიტომ მშვიდობის მკვლევარები აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვანია ყურადღება მიმართული იყოს ხანგრძლივი მშვიდობის მშენებლობის პროცესისკენ. წარსულ დანაშაულებებზე ამაღლება და მათი დაძლევა საუკეთესო გარანტიაა მშვიდობის მშენებლობისთვის.
ეროვნული შერიგების პოლიტიკის წინაპირობებზე საუბრისას, აუცილებელია იმ კონფლიქტის ხასიათის განსაზღვრა, რომლის დაძლევის მექანიზმად შერიგება გამოიყენება. რაც უფრო ნაკლებია კონფლიქტის მონაწილეთა კონფრონტაციულობა, მით მეტია ეროვნული შერიგების წარმატებით განხორციელების ალბათობა. ასევე პირიქით, როცა მეტია მხარეთა პოლარიზების ხარისხი, მით მცირდება ეროვნული შერიგების შესაძლებლობა. ეროვნული შერიგების განხორციელების მაღალი ალბათობით, გამოირჩევა სოციალური კონფლიქტი, ვიდრე ვთქვათ, კულტურულ-იდეოლოგიური, თუმცა უნდა გავითვალისწინოთ,რომ კონფლიქტი, რომელშიც ყველა ინტერესი აბსოლუტურად ურთიერთსაწინააღმდეგოა, იშვიათია. ყველა კონფლიქტი შეიძლება მოგვარდეს მშვიდობიანი გზით.
აღსანიშნავია, ეროვნული შერიგების ხელისშემწყობი ფაქტორები, რომელთაგან უნდა გამოვყოთ „თანხმობის მოთხოვნილება“. იგი კონფრონტაციის პირობებში არსებული, არასასურველი ფსიქო-სოციალური ფაქტორების დაძლევის საფუძვლად განიხილება. რაც მხარეთა შორის დიალოგის დაწყების მთავარი მოტივატორია. (The Spirit and Public Reconciliation.).
ამასთანავე, აუცილებელია გამოვყოთ ეროვნული შერიგების უზრუნველყოფისთვის საჭირო დებულებები:
1. დაშვებული შეცდომების გაცნობიერება და პასუხისმგებლობის აღება;
2. ზემოთ ნათქვამის , მასობრივ ცნობიერებამდე აყვანა;
3. მთელი რიგი ღონისძიებების განხორციელება, დაძაბულობის აღმოფხვრის მიზნით;
4. პერმანენტული მუშაობა დაპირისპირების შედეგად დაზარალებულ მხარესთან ერთად, საერთო პრობლემების დასაძლევად;
5. ცხოვრების საერთო მიმართულებით ხედვა;
6. მოწინააღმდეგე მხარეთა შორის ურთიერთობების „გამარჯვებულ-

დამარცხებულის“ პრინციპით აგებაზე უარის თქმა.

სახეზეა, ეროვნული შერიგების პოლიტიკის ხელშემწყობ ფაქტორთა მრავალფეროვნება. ამ ფაქტორთა განხორციელება, მით უფრო წარმატებულია, როცა დემოკრატიული პოლიტიკური კულტურაა ის მთავარი საფუძველი, რაზეც დამოკიდებულია ქვეყანაში ეროვნული შერიგების მიღწევა.

ასევე კარგია განვიხილოთ, ისტორიულ ასპექტში ეროვნული შერიგების პოლიტიკის გატარების სამი ძირითადი პერიოდი: 1. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე შერიგების პროცესები; 2. XX საუკუნის 60 -იანი წლებისა და 70 -იანი წლების დასაწყისში ინდოჩინეთში მიმდინარე მოლაპარაკებები, ვიეტნამში საომარი მოქმედებების შეწყვეტის თაობაზე, რომელიც 1973 წელს პარიზში დადებული შეთანხმებით დასრულდა; 3. XX საუკუნის 80-90 -იან წლებში ლათინური ამერიკის, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის, აფრიკისა და ყოფილი სსრკ-ს ქვეყნებში, დემოკრატიული ტრანზიციის პირობებში გატარებული ეროვნული შერიგების პოლიტიკა.

ასევე შეიძლება გამოვყოთ, იუგოსლავიაში ფართომასშტაბიანი ეროვნული შერიგების პროცესი.

ეროვნული თანხმობის მიღწევის მიხედვით, შეიძლება ორი ჯგუფი გამოვყოთ ქვეყნების: ერთია, აღმოსავლეთ აზიის, ლათინური ამერიკის და აფრიკის ქვეყნები, სადაც ეროვნული შერიგება, დაპირისპირებულ მხარეთა შორის სრული შეუთანხმებლობის პირობებში ხორციელდება. ამიტომ, ეროვნული შერიგების პროცესი, დაპირისპირების შეწყვეტის ეტაპზე ჩერდება. იგი არის შერიგების პროცესის არასრული ვარიანტი. ამის ნათელი მაგალითია, ლათინური ამერიკის ქვეყნები, ავღანეთი და ა. შ.

მეორე ჯგუფში კი იგულისხმება, სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, სადაც შერიგების პროცესი, მოწინააღმდეგე მხარეთა შორის ნაწილობრივი შეუთანხმებლობის პირობებში ხორციელდება. (პორტუგალია, ესპანეთი, პოლონეთი, ჩეხეთი).

ზემოთ ჩამოთვლილი, ქვეყანათა გეოგრაფიული კლასიფიკაცია, მკაფიოს ხდის იმ ფაქტს, რომ ეროვნული შერიგების პოლიტიკის სრულყოფილი განხორციელების

პირობას, დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის არსებობა წარმოადგენს. შესაბამისად, დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის, საწყის ეტაპზე არარსებობის შემთხვევაშიც კი, ვიღებთ ეროვნული თანხმობის მექანიკურ და არა ორგანულ ვარიანტს. ამ დროს, ეროვნული შერიგება მხოლოდ ერთ მიზანს - სტაბილიზაციის დამყარებას უწყობს ხელს.

თავი 4.

აფხაზეთის კონფლიქტი (1992-1993 წ.)

შეიარაღებული კონფლიქტი აფხაზეთში 1992- 93 წლებში, იყო კონფლიქტი საქართველოს სამთავრობო ჯარებსა და სეპარატისტულად განწყობილ ეთნიკურ აფხაზთა ერთ ნაწილს შორის, რომელიც 13 თვეს გაგრძელდა. სეპარატისტთა მხარეს ასევე იბრძოდნენ ადგილობრივი სომხები, დაქირავებული მებრძოლები ჩრდილოეთ კავკასიიდან, კაზაკთა შეიარაღებული მილიციის მეომრები, რომელთაც არაოფიციალურად მხარს უჭერდა რუსეთის სამხედრო ბაზის გარნიზონი გუდაუთაში. (www.civil.ge) დაპირისპირება და საბრძოლო მოქმედებები 1993 წლის 27 სექტემბერს აფხაზი სეპარატისტების მიერ სოხუმის, ხოლო 28-30 სექტემბერს ოჩამჩირის და გალის რაიონების დაკავებით დასრულდა.

კონფლიქტის მოგვარების ხელისშემშლელი ფაქტორები იყო სამოქალაქო ომი ე. წ. „ზვიადისტებთან“ (ექს-პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრეებთან), რომელიც მიახლოებით იმავე პერიოდში განვითარდა დასავლეთ საქართველოში — სამეგრელოსა და აფხაზეთში და ქართულ-ოსური კონფლიქტი.

სამხედრო კონფლიქტის პოლიტიკური შედეგი გამოიხატა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაზე კონტროლის დაკარგვით და საქართველოს შემადგენლობიდან აფხაზეთის დე ფაქტო გასვლით.

კონფლიქტის შედეგად დაიღუპა 20,000-დან 30,000-მდე ეთნიკური ქართველი, ხოლო 250,000-ზე მეტი ადამიანი კი აფხაზეთიდან ლტოლვილი გახდა.

კონფლიქტის განმავლობაში ორივე მხარის მიერ ჩადენილი იქნა უამრავი სამხედრო დანაშაული, მათ შორის ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდა. მოკლული იქნა 2,500-დან 4,000-მდე აფხაზი, 20,000 აფხაზი კი ლტოლვილად იქცა.

პოსტსაბჭოური საქართველოსთვის კონფლიქტის შედეგები ძალიან მძიმე აღმოჩნდა. ქვეყანამ მიიღო უდიდესი მსხვერპლი, უმძიმესი ფინანსური და ფსიქოლოგიური ზიანი. ომმა და ომის შემდგომმა უწესრიგო შეტაკებებმა აფხაზეთის ტერიტორია

მთლიანად გააპარტახა. დღესაც აფხაზეთის რეგიონი, რომელიც საქართველოსგან დე ფაქტო დამოუკიდებლობით სარგებლობს, მძიმე სოციალური და ეკონომიკური პრობლემების წინაშე დგას. მიუხედავად თვითგამოცხადებული დამოუკიდებლობისა, აფხაზეთის რეგიონი მთლიანად დამოკიდებულია რუსეთის ფედერაციაზე.

აღნიშნული ფაქტი (ქართველების ეთნიკური წმენდა), საფუძვლად დაედო ქართული მხარის მიერ საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან აფხაზეთში ქართველების ეთნიკური წმენდის აღიარების მოთხოვნას, რაც გაზიარებულ იქნა ეუთოს სამიტებზე ბუდაპეშტში (1994 წლის 6 დეკემბერი), ლისაბონსა (1996 წლის 3 დეკემბერი) და სტამბოლში (1999 წლის 17-18 ნოემბერი). გარდა ქართველებისა, საბრძოლო მოქმედებების დროს აფხაზეთის ტერიტორია დატოვეს სხვა ეთნიკურმა ჯგუფებმაც - რუსებმა, უკრაინელებმა, ესტონელებმა, სომხებმა და აფხაზებმა.

აფხაზური სეპარატიზმის ისტორიიდან შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე აფხაზური სეპარატიზმი სათავეს მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან, საქართველოს პირველი რესპუბლიკის არსებობის წლებში იღებს. (ხუციშვილი, გ. 2006-13 წ.) აფხაზების საქართველოდან გამოყოფის მცდელობას შემდეგ წლებშიც არაერთხელ ჰქონდა ადგილი. 1957, 1964, 1967 , 1978 წლებში სეპარატისტულად განწყობილმა აფხაზებმა, არაერთხელ მიმართეს მოსკოვს, აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური ავტონომიური რესპუბლიკის, საქართველოს შემადგენლობიდან გამოყვანის თაობაზე. ამ მხრივ, გამორჩეულია 1978 წლის 22 მაისს გამართული აქცია სოხუმის ცენტრში, სადაც აქციის მონაწილეები აპროტესტებდნენ, საბჭოთა კავშირის ახალ კონსტიტუციას; რომელიც აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას არ ანიჭებდა, საბჭოთა საქართველოს შემადგენლობიდან გასვლის უფლებას.

XX საუკუნის 90-იან წლებში, აფხაზური სეპარატიზმის მთავარ ათვლის წერტილად მიჩნეულია „ლიხნის მიმართვა“. იგი 1989 წელს, გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში მიიღეს, აფხაზთა სახალხო ფორუმზე. მიმართვაში ღიად იყო დაფიქსირებული, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საქართველოდან გამოყოფის მოთხოვნა.

„ლიხნის მიმართვამ“ აფხაზებსა და ქართველებს შორის, ეთნიკურ ნიადაგზე

განხეთქილება დააჩქარა. მივიღეთ აფხაზეთის კონფლიქტი 1992-1993 წლებში. 1993 წლის 1 ნოემბერს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც, რუსეთი იქნა აღიარებული კონფლიქტის მხარედ, დადანაშაულებულ იქნა აფხაზეთში ეთნიკური წმენდის ხელშემწყობად. მიმართვაში, რომელიც გაეგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას (გაერო), რუსეთის ქმედებები ცალსახად შეფასებული იყო, როგორც აგრესია და რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის შებღალვას. თუმცა რუსეთმა მიაღწია იმას, რომ იგი შუამავლად იქნა აღიარებული კონფლიქტში.
1994 წლის 14 მაისს, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებსა და აფხაზ სეპარატისტებს შორის გაფორმდა შეთანხმება, ცეცხლის შეწყვეტის და ძალთა დაშორიშორების შესახებ. ამ შეთანხმების თანახმად, რუსეთის სამხედრო ძალებს კონფლიქტის ზონაში, სამშვიდობო მისიის შესრულება დაეკისრა.
იმ პერიოდში, საქართველოს ხელისუფლება იძულებულ იქნა დათანხმებოდა რუსეთის შუამავლად აღიარებას კონფლიქტში, ქვეყნის შემდგომი დეზინტეგრაციის არიდების მიზნით.
შემდგომ წლებში განვითარებულმა მოვლენებმა ნათლად ცხადყო, რომ საქართველოს ტერიტორიებზე რუსი „სამშვიდობოების“ ჩაყენება, მხოლოს რუსეთის ექსპანსიონისტურ მიზნებს ემსახურება და არა კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებას.

§ 4.1. ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის „მძიმე დაღი“

ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები , ზოგადი შეფასებით, ერთ-ერთ უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს მსოფლიოში, სტაბილურობისა და მშვიდობის დამყარებისთვის. სწორედ ამიტომ, მათი მოგვარება, ერთ-ერთ ყველაზე რთულ ამოცანად ითვლება საერთაშორისო დონეზე.

სამწუხაროა ის, რომ უახლოეს ისტორიაში არ გვხვდება , ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მაგალითი. (ხუციშვილი, გ. 2006.) ამის ერთ-ერთი მიზეზი მდგომარეობს , კონფლიქტის ზონებში არსებული ძალთა გავლენის ჯგუფებში; რომლებიც ხშირ შემთხვევაში დაინტერესებულნი არიან კონფლიქტის „მოუგვარებლობით“. ასევე მეორე მიზეზად სახელდება, „გაყინული“ კონფლიქტების სტაბილურობის შთაბეჭდილება, რასაც პოლიტიკაში მონაწილე ჯგუფებისთვის გარკვეული მიმზიდველობა გააჩნია. იგულისხმება ნებისმიერი ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის ზონის გარშემო, სპონტანურად შექმნილი ლობირების და მხარდაჭერის სისტემა, საერთაშორისო დონეზე. სპეციალური სამშვიდობო პროექტები, ინიციატივები, შეხვედრები, პროგრამები, რომლებსაც არ მივყავართ ხელშესახებ შედეგებამდე, რომლებიც მისი შინაარსით არის სტერილური. თუმცა, ეს მომგებიანია გარკვეული ჯგუფებისთვის, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული.

ყოველივე აღნიშნული, შეიძლება ითქვას აფხაზეთზეც. მიუხედავად არსებული მრავალი საერთაშორისო დახმარებისა და წამოწყებული სამშვიდობო პროცესებისა, დღესაც გრძელდება კონფლიქტის შედეგად მიღებული მძიმე შედეგების ასახვა, განსაკუთრებით კი ეს შედეგები დღემდე მძიმე დაღად აზის დევნილ მოსახლეობას. კონფლიქტის არსებობის მანძილზე, რუსეთის როლი განსაკუთრებით დიდი იყო, ამ კონფლიქტის გაღვივებაში. ამიტომ მთელ რიგ საკითხებზე, საქართველოს ხელისუფლებების პასუხიმგებლობის საკითხი, ეტაპობრივად იქნა დასუსტებული, სწორედ ზემოთ განხილული მიზეზებიდან გამომდინარე.

როცა ვსაუბრობთ დევნილ მოსახლეობასა და მათ მძიმე პირობებზე, აქ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ „შერიგების რესურსებისა“ და „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის“ – (CRRC) ერთობლივი კვლევა „იძულებით გადაადგილებული პირები საქართველოში“ (2011 წ.), სადაც რესპონდენტთა 27 % ამბობს, რომ ისინი შევიწროვებულად და მიტოვებულად გრძნობენ თავს, იდენტიფიკაციისა და ინტეგრაციის კუთხით. ხოლო ამდენივე პროცენტმა აღნიშნა, რომ უჭირს კითხვაზე პასუხის გაცემა და რომ დევნილების ინტეგრაციის თვალსაზრისით, ბევრია გამოსასწორებელი. ამას ემატება სერიოზული სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევები, რომლის წინაშეც დგას დევნილი მოსახლეობა.

კონფლიქტის მოგვარების ასპექტში, გამოკითხულთა დიდმა ნაწილმა აღნიშნა, რომ კონფლიქტი არა ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის მიმდინარეა, არამედ კონფლიქტი რუსეთსა და საქართველოს შორის. თუმცა, იძულებით გადაადგილებულ პირთა უმრავლესობა პრაგმატულად უდგება კონფლიქტის პრაქტიკულ გადაჭრას და მშვიდობის შენებას, შერიგებისკენ მიმართულ ქმედებებს. ასევე უმრავლესი ნაწილი გამოკითხულთა, მხარს დაუჭერდა თბილისისა და სოხუმის მიერ კონფლიქტის ორმხრივი გადაწყვეტისკენ მიმართული ქმედებების განხორციელებას. მიუხედავად, არსებული წარსული დანაშაულის ფაქტებისა (ეთნოწმენდა, იძულებით განსახლება და სხვ.) დევნილი მოსახლეობის მიმართ, ისინი მხარს უჭერენ სწორ, პრაგმატულ პოლიტიკას და ხელისუფლებას მოუწოდებენ, ეფექტიანი და ქმედითი ნაბიჯების გადადგმისკენ, საქართველო-აფხაზეთის ურთიერთობაში.

თავი 5.

ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივობები, შერიგების პროცესში

1994 წლიდან მოყოლებული, არასამთავრობო ორგანიზაცია „კონფლიქტების მართვის და მოლაპარაკების საერთაშორისო ცენტრის“ თაოსნობით აქტიურად ტარდებოდა შეხვედრები ქართველ და აფხაზ, ქართველ და ოს ახალგაზრდებს შორის, რომელიც დიალოგის სახით, უწყვეტად მიმდინარეობდა რამოდენიმე წლის განმავლობაში. ხოლო შემდეგ უკვე 2007 წლიდან, ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაციის „შერიგების რესურსების“ ეგიდით, ქართველი და აფხაზი ახალგაზრდები ისევ დიალოგის ფორმატში ერთმანეთს, ნეიტრალურ ტერიტორიაზე ხვდებიან და კონფლიქტის მოგვარების საკითხში, საკუთარ მოსაზრებებს გამოხატავენ. თითოეულ შეხვედრას ქართული, ისე აფხაზური მხრიდან 7 ან 8 ახალგაზრდა წარმოადგენს. აღნიშნული შეხვედრები იმართება შვეიცარიაში, ბელგიაში, ასევე დიდ ბრიტანეთში.

სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორებიცაა: „შერიგების რესურსები“, „ბერგჰოფის ცენტრი“ და „კონფლიქტების და მოლაპარაკების ინსტიტუტი“, მხარს უჭერენ ქართველ და აფხაზ ახალგაზრდებს შორის დიალოგის აღდგენას. ამავე პროცესში ჩართულია ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია: დევნილ ქალთა ასოციაცია - „თანხმობა“. გარდა ამისა, არსებობს რამოდენიმე დამოუკიდებელი ინიციატივა, რომელიც თავად ქართველი და აფხაზი ახალგაზრდების ინიციატივით ტარდება.

ახლა კი დეტალურად განვიხილავთ იმ ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც მშვიდობის მშენებლობასა და შერიგების პროცესში (აფხაზეთის, ცხინვალის მაგალითზე) კონკრეტულ აქტივობებს ახორციელებენ.

„კავკასიური სახლი“ – (caucasianhouse.ge) კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი - მისია და ხედვა: კავკასიური სახლის ხედვა გულისხმობს ისეთი კავკასიის არსებობას,

სადაც სხვადასხვა ხალხები ერთად მშვიდობიანად ცხოვრობენ, თანამშრომლობენ, საერთო პრობლემების აღმოსაფხვრელად და საერთო ინტერესების გამოსანახად. სადაც ხელმძღვანელობენ ეთნიკური, რელიგიური ტოლერანტობის, კულტურული და სოლიდარობის პრინციპით.

კავკასიური სახლის მისიაა შექმნას საქართველოს იდეური, ინტელექტუალური საფუძველი, როგორც მულტიეთნიკური ქვეყნის, კავკასიის მშვიდობიანი განვითარებისა და კულტურული ინტეგრაციისთვის. წაახალისოს კულტურათაშორისი დიალოგი და ამ გზით დააკავშიროს სხვადასხვა რელიგიური და ეთნიკური უმცირესობები.

ორგანიზაცია ეფუძნება შემდეგ ღირებულებებს: კავკასიური სახლი, როგორც საერთო კულტურული სივრცე; ეთნიკური, კულტურული, რელიგიური ტოლერანტობა; რეგიონში კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირება კულტურათა დიალოგის, სამოქალაქო დიპლომატიისა და საგანმანათლებლო პროგრამების მეშვეობით; სამოქალაქო სოლიდარობა; სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა და ადამიანის უფლებები; საზოგადოებრივი ცნობიერების ჰუმანიზაცია, დემოკრატიზაცია, გენდერული თანასწორობის იდეა და ა. შ.

კავკასიური სახლის პროგრამები: გამოიყოფა სამი სამუშაო სტრატეგიული პროგრამა. აღნიშნული პროგრამები, ორგანიზაციის სტრატეგიის თანმიმდევრულ განხორციელებას უზრუნველყოფენ.

კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამა : რაც გულისხმობს მსოფლიო ლიტერატურის და აზროვნების საუკეთესო ნიმუშების თარგმნას ქართულად და ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციას, მხატვრულ თარგმნას. ამ პროგრამის მიზანია კრიტიკული აზროვნებისა და ლიტერატურული პროცესების სტიმულირება, ინოვაციები აღმზრდელობით-საგანმანათლებლო სფეროში, ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის სფეროში. დასავლეთ-აღმოსავლეთის მხატვრული, სამეცნიერო, ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტექსტების თარგმნა.

კავკასიური კვლევის პროგრამა : კავკასიური სახლის მიმართულება, კავკასიელი ხალხების ინტეგრაციისა და კავკასიის რეგიონული განვითარების ხელშემწყობ პროექტებზე. აღნიშნული პროგრამა გულისხმობს ინტერ-კულტურულ

ურთიერთობებს, მხატვრულ თარგმანს, როგორც ხალხებს შორის ეფექტური კომუნიკაციის საშუალებას, საერთო კავკასიურ კონფერენციებს, კავკასიელ მეცნიერთა თუ ახალგაზრდათა არაფორმალურ შეხვედრებს და ა. შ. ორგანიზაციაში სხვადასხვა პერიოდში, ქართველებთან ერთად მუშაობდნენ: აფხაზი, ოსი, სომეხი, აზერბაიჯანელი, ჩეჩენი, ჩერქეზი, რუსი და სხვა ეროვნების წარმომადგენლები. კავკასიური სახლი წარმოადგენს მშვიდობიანი კავკასიის მიკრომოდელს. 2011 წელს, კავკასიური კვლევის პროგრამა, ცალკე სტრატეგიულ მიმართულებად ჩამოყალიბდა. ამ პროგრამის მიზანია, საქართველოს თანმიმდევრული და ეფექტიანი კავკასიური პოლიტიკის ფორმირებაში ხელის შეწყობა - კავკასიაში არსებული ვითარების ანალიზისა და რეკომენდაციების მომზადების საშუალებით.

სამშვიდობო პოლიტიკის და უმცირესობების ინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამა: სამოქალაქო დიპლომატია არის სფერო, რომელშიც ჩართულია „კავკასიური სახლი“ დაფუძნებიდან მოყოლებული. არსებულ კონფლიქტებზე მუშაობასთან ერთად, მნიშვნელოვანია ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობათა ინტეგრაციაზე ზრუნვა. კავკასიური სახლი თავისი პროფილის შესაბამისად, აქტიურად განაგრძობს ამ სფეროში მოღვაწობას. აღნიშნული პროგრამის მიზანი - რეგიონში არსებული კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირებისა და უმცირესობათა ინტეგრაციის ხელშეწყობა, სახალხო დიპლომატიის და კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამების მეშვეობით.

კავკასიური სახლის პროექტები:

კავკასიოლოგიური უნივერსიტეტი : პროექტის მიზანი: 1. საქართველოს ეფექტიანი კავკასიური პოლიტიკის ხელშეწყობა, ახალგაზრდების განათლებისა და ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით. 2. ახალგაზრდობას შორის ინტერ-კულტურული დიალოგის გზით, კავკასიელი ხალხების ინტეგრაციის და რეგიონული განვითარების ხელშეწყობა.

პროექტის ამოცანები: 1. უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროცესი, რომელშიც ქართველი, ჩრდილოკავკასიელი სტუდენტები მიიღებენ ცოდნას შემდეგ სფეროებში: ქართულ-კავკასიური პოლიტიკური ურთიერთობები, კულტუროლოგიის, ადამიანის

უფლებების და ა. შ. საკითხები. 2. უზრუნველყოს მაინტეგრირებელი გარემო ქართველი და საქართველოში მცხოვრები არაქართველი სტუდენტებისთვის. 3. ხელი შეუწყოს, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების და კავკასიის სხვა რესპუბლიკებიდან ჩამოსული ახალგაზრდების სოციალიზაციის პროცესს.

ქართულ-რუსული დიალოგი, მშვიდობისა და თანამშრომლობისთვის: 2012 წლიდან კავკასიური სახლი, დიდი ბრიტანეთის მთავრობის მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს: „ქართულ-რუსული დიალოგი, მშვიდობისა და თანამშრომლობისთვის“. ამ პროექტის მიზანია, ქართველ- რუს ახალგაზრდებს შორის ნდობის მშენებლობა; წვლილის შეტანა ქართულ-რუსული კონფლიქტის ტრანსფორმაციაში. გამოიყოფა ორი კომპონენტი: დიალოგის წახალისება და აქტუალიზაცია ახალგაზრდა მკვლევარებს შორის და მეორე, გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის რეკომენდაციების შემუშავება.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, თბილისში იმყოფებოდა 10 ჯგუფი რუსეთიდან და 2013-2014 წლის თებერვალში, ქართველი ახალგაზრდა მკვლევარების ჯგუფი რუსეთში; სადაც გაიმართა შეხვედრები ოფიციალურ პირებთან და დამოუკიდებელ ექსპერტებთან.

შეხვედრების სტრუქტურა: ინფორმაციული კომპონენტი: პროექტის მონაწილეებს საშუალება აქვთ მიიღონ ინფორმაცია დამოუკიდებელი ექსპერტებისგან, ისე სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებისგან.

ანალიტიკური კომპონენტი: ჯგუფში მუშაობა, ქართველ და რუს ახალგაზრდა მკვლევარებს შორის.

„კონფლიქტებისა და მოლაპარაკების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი“ ICCN- დაარსდა 1994 წელს, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით მიენიჭა საერთაშორისო ორგანიზაციის სტატუსი. (www.iccn.ge) ამ ცენტრის სულისჩამდგმელი და დამაარსებელია გიორგი ხუციშვილი. ICCN-ის მიერ განხორციელებული აქტივობები ვრცელდება კავკასიის რეგიონზე, განსაკუთრებული ყურადღება კი ეთმობა საქართველოში მიმდინარე სიტუაციას, თუმცა ამავდროულად მონაწილეობს ფართო ქსელში და საერთაშორისო

პროექტებში. მისია და ხედვა: კონფლიქტების მშვიდობიანი გადაჭრა და პრევენცია; არაძალადობრივი მიდგომების შემუშავება; უმცირესობათა ჯგუფების ინტეგრირებისადმი პატივისცემა; ღია სივრცე სამოქალაქო საზოგადოებისათვის, ორგანიზაციის განვითარება.

კონფლიქტებისა და მოლაპარაკების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი, სამშვიდობო პროცესის ხელშეწყობის მიზნით, ახორციელებს აქტივობებს, მედიაციის, ფასილიტაციის, მოლაპარაკებისა და დიალოგის გამოყენებით.

ICCN-ის მიერ განხორციელებული დიალოგის **პროგრამები**:

ICCN-ი ცნობილია, როგორც პირველი, ომისშემდგომი ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური და ქართულ-რუსული სამოქალაქო დიალოგების ინიციატორი და განმახორციელებელი.

დიალოგის პროგრამები 1994-2018 წ:

1995 წ. კონფერენცია მოსკოვში, თემა- ყოფილ სსრკ-ს ტერიტორიაზე განვითარებული ეთნოკონფლიქტები. დიალოგის მონაწილეები იყვნენ ქართველები და აფხაზები.

1996 წ. პირველი ქართულ-ოსური შეხვედრა ქ. ოსლოში, კონფლიქტების მართვის ჯგუფისა (ჰარვარდის მოლაპარაკების პროექტი) და კონფლიქტოლოგიის ცენტრის ხელშეწყობით.

1996 წ. პირველი ქართულ-აფხაზური შეხვედრა, არასამთავრობო დონეზე. შეხვედრა ჩატარდა ქ. მოსკოვში, ბრიტანული ორგანიზაცია „საერთაშორისო განგაშის“ ხელშეწყობით.

1997 წ. - ქართულ-აფხაზური შეხვედრა ქ. ერევანში. შეხვედრის მიზანი: ქართულ და აფხაზურ მხარეში სტერეოტიპების მსხვრევა.

1997-1998 წ. - ცხინვალში გამართული ტრენინგ-სემინარები, კონფლიქტის მოგვარების დარგში.

1998 წ. 1-4 აპრილი - ქ. სოჭში, „ქართულ-აფხაზური ნდობის აღდგენის“ პროექტის ფარგლებში შეხვედრა, რომელიც დააფინანსა ევროსაბჭომ. მიზანი: მონაწილეთა იდეების, გამოცდილების გაზიარება.

1998 წ. 19-25 ივლისი, შეხვედრის ადგილი ქ. ნალჩიკი (ჩრდილო კავკასია) გაიმართა სემინარი: „არასამთავრობო ორგანიზაციების კავკასიური ფორუმის შენება“,

ძალადობრივი კონფლიქტების თავიდან არიდებასა და მოგვარებაში მათი როლისა და მონაწილეობის გააქტიურების მიზნით.

2001-2002 წლ. - შეხვედრების ციკლი ქ. მოსკოვში, ქ. სოჭსა და ქ. თბილისში, ბრიტანული ორგანიზაცია „საერთაშორისო განგაშისა“ და ევროკავშირის პარტნიორობით განხორციელდა. შეხვედრები მიმდინარეობდა სამი ძირითადი მიმართულებით: ახალგაზრდების, ექს-კომბატანტებისა და ქალების გააქტიურება მშვიდობისათვის.

2007 წ. ფრიდრიხ ნიუმანის ფონდის ორგანიზებით ქ. სოხუმსა და გაგრაში ჩატარდა სემინარები, კრიზისების დაძლევის მეთოდების შესახებ. სემინარებზე აფხაზეთის საზოგადოების ფართო ჯგუფებმა მიიღეს მონაწილეობა.

2008 წლის შემოდგომიდან განვითარდა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და ექსპერტების მონაწილეობა ქართულ-ოსურ დიალოგში.

2008 წლიდან დაიწო ქართულ-რუსული დიალოგი, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ქართველი და რუსი ექსპერტები და ცნობილი მოღვაწეები. აღნიშნული დიალოგი დღემდე გრძელდება.

2009 წლიდან, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური შეხვედრები ქალაქ კოსოვოში, ბერგჰოფის მშვიდობის ცენტრის ხელშეწყობით. გაიმართა სამი შეხვედრა: 1. ორგანიზატორების (გერმანული, ოსური , ქართული მხარიდან), 2. ქართულ-აფხაზური, 3. ქართულ-ოსური.

2010 წლიდან, ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური შეხვედრების ციკლი დაიწყო, ევროკავშირის დაფინანსებით. პროექტის სათაურია : „ჩართულობა დიალოგის მეშვეობით“. დიალოგი და სასწავლო ვიზიტი - „ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ტრანსფორმირებისთვის“.

2016-2018 წ. ქართულ-სომხური და ქართულ-აზერბაიჯანული დიალოგი - ევროპასთან ასოცირების შეთანხმება - ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცე სამხრეთ კავკასიაში, კონფლიქტების პრევენციის კონტექსტში.

„ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტი“ ISNC :

მისია: კონფლიქტების ბუნების შესწავლა, კონფლიქტების ტრანსფორმაციისთვის რეკომენდაციების შემუშავება, კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირების

გზების მოძიება. ISNC დააფუძნეს სამოქალაქო აქტივისტებმა, რომლებიც მუშაობდნენ კონფლიქტების და კონფლიქტით დაზარალებული საზოგადოების პრობლემებზე. (www.isng.ge)
ორგანიზაციის ძირითადი ყურადღება დათმობილია, ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონფლიქტებზე და მათ ანალიზზე.

პროექტები:

„აქტიური ახალგაზრდობა - წარმატებული თემის საწინდარი“ 2012 წ.
“Empowering grassroots youth negotiators for human security and conflict prevention” 2012 წ.
“New Government, New Strategy – new opportunities for Peace” 2013 წ.
“Increasing Governmant accountability in zones of conflict through public participation in policy making” 2010-2013 წ.
“Reconstruction of Professional Relations and confidance through Science” 2015-2016 წ.
“Revitalizing dialogue processes through engaging young professionals in collaboration with Caucasian.” 2015-2016 წ.

„გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრი“ ICGS :

მიზნები: საქართველოს გეოპოლიტიკური უსაფრთხოების ხელშეწყობა; საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა; დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობა, ქვეყნის შიგნით; საქართველოს პოპულარიზაცია საერთაშორისო ასპარეზზე. (www. Icgs.ge)
საქმიანობის ფორმა: ICGS ახორციელებს საჭირო ინფორმაციის შეგროვებას, კვლევას, ანალიზს, პოლიტიკურ, საგანმანათლებლო, სოციალურ, კულტურულ და სხვა სფეროებში. შეიმუშავებს სპეციალურ პროგრამებს და ახორციელებს შესაბამის პროექტებს; ეწევა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას; თანამშრომლობს მსოფლიო ანალიტიკურ ცენტრებთან.

პროექტები:

„მოლაპარაკებები და სამშვიდობო პროცესის არქიტექტურა“ - ბოსნია და კოსოვოს მაგალითები. 2017 წ. პროექტის მიზანი : პრაქტიკულ მაგალითებზე, კონფლიქტების

ანალიზისა და მოლაპარაკების ინსტრუმენტების შესწავლა. პარტნიორი - „კრიზისების მართვის ინიციატივა“, (ფინეთი).

„ძალები მშვიდობისა და თავდაცვისთვის“ 2016 წ. პროექტის მიზანი: თბილისის და რეგიონის ლიდერი ქალებისთვის ცნობიერების ამაღლება, ნატოს, როგორც რეგიონში მშვიდობისა და უსაფრთხოების გარანტორის შესახებ.

სამშვიდობო პროექტი „Together,“ მიზანი: სამშვიდობო პროცესებში კულტურის, ხელოვნების წარმომადგენლების ჩართვა, საზოგადოებებს შორის ნდობის აღსადგენად. თანამშრომლები: ორგანიზაციები - „ევროპული ინტეგრაცია“ (სომხეთი), „ჰუმანიტარული კვლევების საზოგადოება“ (აზერბაიჯანი), „სახალხო დიპლომატიის ინსტიტუტი“ (მთ. ყარაბაღის რეგიონი).

„მშვიდობის, დემოკარატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი“ CIPDD : დაარსდა 1992 წელს.

მისია : პროცესების წარმართვა, რომელშიც მოქალაქეები პასუხისმგებლობას იღებენ თავიანთ პოლიტიკურ ინსტიტუტებზე; ცოდნის მოპოვება საზოგადოებრივი პრობლემების შესახებ, ანალიზი, შეფასება და გადაწყვეტის ხედვა. (www.cipdd.ge)

სტრატეგია და თემატური პრიორიტეტები: სამოქალაქო აქტორების მონაწილეობის გაფართოება, სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირების პროცესში;

დიალოგის ხარისხის გაუმჯობესება: საჯარო პოლიტიკურ დიალოგში, კრიტიკული მნიშვნელობის მქონე სამიზნე ჯგუფების ჩართვა, როგორებიცაა: სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტები, პოლიტიკური პარტიები, ჟურნალისტები, ახალგაზრდობა.

სამოქალაქო ინტეგრაცია: საზოგადოებრივი გარემოს ხელშეწყობა, სოციალური, ეთნიკური, რელიგიური კუთვნილების მიუხედავად. სამიზნე ჯგუფები: ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები, დევნილები და ა. შ.

პროექტები:

პროექტი „საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მთავრობის ანგარიშვალდებულების ხელშეწყობა საგარეო საქმეების, კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების და ადამიანის უფლებების სფეროში“. 2015-2016 წ.

პროექტი: „სამხრეთ კავკასიელ ექსპერტთა ქსელი, იძულებით გადაადგილებულ

პირთა დაბრუნების საკითხის პოლიტიკის ფასილიტაციისათვის“. დონორი ორგანიზაცია: დანიის დევნილთა საბჭო. მიზანი: იძულებით გადაადგილებულ პირთა ინტერესთა ასახვა, ქონების რესტიტუციის საკითხებზე, გრძელვადიან სტრატეგიულ მიდგომაში.
პროექტი: „კონფლიქტის ეფექტური პრევენციის პირობების შექმნა, 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდგომ პერიოდში“.
პროექტი: „ქვემო ქართლში და სამცხე-ჯავახეთში ახალგაზრდების ინტეგრაცია, საგანმანათლებლო და კულტურული ინიციატივების მეშვეობით“.

„ცვლილებებისა და კონფლიქტების მართვის ცენტრი, პარტნიორები-საქართველო“ : დაარსდა 1996 წელს. თემატური სფეროები: ცვლილებებისა და კონფლიქტის მართვის კულტურის განვითარების ხელშეწყობა, ორგანიზაციული მართვა, ტრენინგები, დემოკრატიის და სამოქალაქო საზოგადოების ხელშეწყობა.
მისია: საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის რეგიონში, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა და ცვლილებებისა და კონფლიქტის მართვის კულტურის განვითარება.

„საქართველოს სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტი“ GISS :
კვლევითი არასამთავრობო ორგანიზაცია, დაფუძნებული 2012 წელს.
მისია: გააშუქოს, გაანალიზოს, საქართველოსა და რეგიონში მიმდინარე პოლიტიკის, უსაფრთხოების, კონფლიქტებთან დაკავშირებული საკითხები; ხელის შეწყობა ახალგაზრდების ლიდერული თვისებების განვითარების, უნარ-ჩვევათა ტრენინგები და პრაქტიკული საქმიანობის განხორციელება. (www.giss.ge)
პროექტები: „ახალგაზრდა ქალები მშვიდობისათვის“ 2017 წ. პარტნიორი : აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო - USAID. პროგრამაში მონაწილეობა მიიღო 10-მა ქართველმა და 9 აფხაზმა ახალგაზრდა ქალბატონმა.
„ახალგაზრდა ლიდერთა ფორუმი“ 2016 წ.
„კონფლიქტთან დაკავშირებული პოლიტიკა, გამოწვევები და პერსპექტივები“ .
მიზანი: კონფლიქტებთან დაკავშირებული სამთავრობო პოლიტიკის ანალიზი.
„ოკუპირებული რეგიონების მიმართ არსებული პოლიტიკის გააზრება“.

„კონფლიქტების და სამშვიდობო პროცესების კვლევის ცენტრი“ :

ცენტრის მიზანი: კონფლიქტების და სამშვიდობო პროცესების, ინოვაციური ტექნოლოგიების შექმნა და გამოყენება პიროვნების დონეზე, პიროვნებებს შორის ურთიერთობებში, ჯგუფებს შორის.

კონფლიქტის საგნის, სტრუქტურის, მიზნების კვლევა; სამშვიდობო პროცესებში მონაწილეობა; კონფლიქტების და სამშვიდობო პროცესების თავსებადობის და ადეკვატურობის ხარისხის კვლევა; საერთაშორისო გამოცდილების კვლევა და რეკომენდაციების შემუშავება; კავკასიური კონფლიქტების მართვის საკითხებში, მშვიდობის კულტურის კვლევა, პოსტკონფლიქტური რეაბილიტაცია; სამშვიდობო კინემატოგრაფიული რესურსების კვლევა; სამშვიდობო საინფორმაციო პოლიტიკა.

„საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი“:

დაარსდა 1998 წელს. - პოლიტიკის ანალიზის ცენტრი. მიზანი: აღზარდოს ახალი თაობის ლიდერები ; ხელი შეუწყოს დიალოგს ხელისუფლებასა და მკვლევარებს შორის; პოლიტიკის დაგეგმვის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ახალგაზრდა სპეციალისტებისთვის ხელის შეწყობა.

პროექტები : „ექსპერტები რუსულ-ქართული ურთიერთობების ნორმალიზაციის გზების ძიებაში“.

„ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნების შესწავლა, ქართულ-აფხაზური დაპირისპირების ხაზის გასწვრივ“.

კონფლიქტები პოსტ-სოციალისტურ სამყაროში - გადალახვის გზები და შედეგები- სერბეთი, მოლდოვა, აზერბაიჯანი და საქართველო - გამოცდილების გაზიარება უკრაინისთვის“.

„ქართულ-ოსური კონფლიქტი: სამშვიდობო გზის ძიება“. მიზანი: ქართულ და ოსურ საზოგადოებებს შორის დიალოგის ხელშეწყობა.

„მშვიდობისა და რეინტეგრაციის რეგიონული ქსელი“ :

მისია: ახალგაზრდებში სამშვიდობო განათლების მნიშვნელობა.

პროექტი: „სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესები“.

„კონფლიქტების მართვის და მშვიდობის მშენებლობის ახალგაზრდული ცენტრი“:
ცენტრი დაარსდა 2012 წელს.
სამუშაო მიმართულებები: „კონფლიქტების პრევენცია სკოლებში“ ;
„კონფლიქტების სოციალურ-ფსიქოლოგიური ანალიზი და მართვის მექანიზმები“.

„ახალგაზრდები, ახალგაზრდობისა და მშვიდობისთვის“ :
მიზანი: ადამიანის ღირსების, უფლებების, ფასეულობების დაცვა; სამოქალაქო საზოგადოების დონის ამაღლება; ქართველი და მეზობელი ქვეყნების ახალგაზრდების დაახლოება, ქართველი ახალგაზრდების კონსოლიდაცია.

თავი 6.

სამთავრობო უწყებების აქტივობები, შერიგების პოლიტიკის პროცესში.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი - (smr.gov.ge) „სახელმწიფო სტრატეგია- ჩართულობა თანამშრომლობის გზით“, არის შემუშავებული დოკუმენტი, შერიგების სამინისტროს მიერ, რომელშიც ნათლად არის გაწერილი სამოქმედო გეგმა და ინ-იციატივები, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის კეთილდღეობისა და საქართველოს სამოქალაქო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობის გაუმჯობესებისთვის. აღნიშნული სტრატეგია მოიცავს ოთხ ძირითად მიმართულებას: ჰუმანიტარული, სოციალური, ეკონომიკური და ადამიანზე ორიენტირებული მიმართულება. ამ უკანასკნელში, მკაფიოდ არის გაწერილი **ახალგაზრდული** აქტივობების მნიშვნელობა. ახალგაზრდული პოლიტიკის ნაწილში, სამოქმედო გეგმა მოიცავს, კულტურულ, სპორტულ , გასართობ ღონისძიებებს, რათა ხელი შეუწყოს გამყოფი ხაზებით დაშორიშორებული ახალგაზრდობის დაახლოებას და ურთიერთგაგების გაზრდას მომავალ თაობებში. მნიშვნელოვანია განათლების სპეციალური მექანიზმის შემუშავება და მისი როლი აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების მომავლისთვის, კერძოდ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობა და საქართველოსთვის განკუთვნილ ახალგაზრდულ საგრანტო პროგრამებში მონაწილეობა. ასევე, სახელმწიფო სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება - სახალხო დიპლომატიის მნიშვნელობა. აღნიშნული დიპლომატიის ფარგლებში, აფხაზი/ოსი და ქართველი ახალგაზრდების და არამარტო ახალგაზრდების დაახლოება.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო - (mes.gov.ge) „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი“ შემუშავდა 2014 წელს, რომელშიც უამრავ, ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვან საკითხთან ერთად,

პრიორიტეტულ მიმართულებად არის გაწერილი „საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ახალგაზრდებთან ურთიერთობის განვითარების პროგრამა“, რაც გულისხმობს შემდეგს: ოკუპაციის შედეგად გამყოფი ხაზებით დაშორიშორებულ ახალგაზრდებს შორის ურთიერთობის, დიალოგისა და ნდობის აღდგენის ხელშეწყობა. იძულებით გადაადგილებული ახალგაზრდების სოციალურ აქტივობებში ჩართულობის მხარდაჭერა. ასევე, საქართველოს იურისდიქციის ქვეშ არსებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ახალგაზრდების დაინტერესება არსებული კონფლიქტებით და მათი ინიციატივებისა და ჩართულობის მხარდაჭერა კონფლიქტების მოგვარებისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესში, რაც საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ახალგაზრდებთან ურთიერთობის განვითარების უპირობო საშუალებაა.
სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში, საქართველოს მთავრობა მხარს უჭერს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ახალგაზრდებისთვის, განათლების მიღების ისეთივე შესაძლებლობას (1+4 პროგრამა), როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდებისთვისაა შესაძლებელი.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა - „წარმატებული ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამა“ - პროგრამის მიზანია, აფხაზეთიდან დევნილი წარმატებული აკადემიური მოსწრების, სამოქალაქო აქტიურობით გამორჩეული და განსაკუთრებული სოციალური საჭიროების ახალგაზრდების დაფინანსება. (Abkhazia.gov.ge)
„დევნილთა პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამა“- პროგრამის მიზანია, ყველა დევნილი ახალგაზრდის ხელშეწყობა ფინანსური სახსრებით (ტრანსპორტირების ხარჯების დაფინანსება) , რომლებიც სწავლას განაგრძობენ პროფესიულ სასწავლებლებში; 2017-2019წწ.

„აფხაზეთის მთავრობასა და რომუალდო დელ ბიანკოს ფონდს შორის გაფორმებული მემორანდუმი“ (2015 წ.) - რომლის ფარგლებშიც გაიმართა ვორქშოფი, იტალიის ქალაქ ფლორენციაში. დელეგაციაში შედიოდნენ აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლები და უმაღლესი საბჭოს წევრები, ასევე ქართველი სტუდენტები.

ინტერკულტურული ვორქშოფი „კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული და ევროპული ასპექტები“ , რომელსაც ქართული მხარე ხელმძღვანელობდა, მასში მონაწილეობას იღებდნენ აფხაზი ახალგაზრდები, ქართველ ახალგაზრდებთან ერთად და ასევე იტალიური ორგანიზაცია „რონდინე“ , რომელიც სხვადასხვა ეროვნების სტუდენტებით იყო წარმოდგენილი, მათ შორის სამხრეთ კავკასიელი სტუდენტებით. ახალგაზრდებმა იმუშავეს შერეულ ჯგუფებში თემაზე „რა გვაერთიანებს და რა გვაშორებს“. წარმოადგინეს ახალი ხედვები ქართულ-აფხაზური ურთიერთობის დარეგულირების მიმართულებით, რომელიც ხელს შეუწყობს ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესებს.

აღნიშნული პროექტის მიზანი იყო საქართველოს აქტიური ჩართულობა ინტერკულტურულ დიალოგში, ქართველ და აფხაზ ახალგაზრდებს შორის ურთიერთობებისა და ნდობის აღდგენა, სახალხო დიპლომატიის ხელშეწყობა, საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების გამახვილება აფხაზეთის პრობლემატიკისადმი.

თავი 7

კვლევის მიზანი

„ახალგაზრდობის და მათი აქტივობების მნიშვნელობის გააზრება და დადგენა, შერიგების პროცესში; ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში.“

კვლევის ობიექტი - ახალგაზრდული აქტივობები და მათი მნიშვნელობა, ახალგაზრდობა, რომელიც მთავარ მოქმედ აქტორს წარმოადგენს შერიგების პროცესში.

კვლევის საგანი - კვლევის ეტაპზე, შერჩეული ახალგაზრდების, ექსპერტების, არასამთავრობო ინსტიტუციების დამოკიდებულება და განწყობა შერიგების საკითხის მიმართ, (აფხაზეთის მაგალითზე).

კვლევის ამოცანები -

- გამოვავლინოთ ახალგაზრდობის როლის მნიშვნელობა;
- ახალგაზრდული აქტივობების დინამიკა;
- საზოგადოების და განსაკუთრებით ახალგაზრდების დამოკიდებულება, შერიგების პროცესში ახალგაზრდობის როლის შესახებ;
- ახალგაზრდული აქტივობების სისტემატიზაციის, სამომავლო შედეგების პროგნოზირება.

§ 7.1. კვლევის მეთოდოლოგია

ახალგაზრდობის როლი შერიგების პროცესში და მათი აქტივობები (აფხაზეთის მაგალითზე) - საკვლევი თემა, არის თვისობრივი ხასიათის. კერძოდ, კვლევის პერიოდში გამოყენებულ იქნა **სიღრმისეული ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა და დოკუმენტების ანალიზი.**

პროცედურა: კვლევაში მონაწილე რესპონდენტები იყვნენ ახალგაზრდები, ასაკობრივი ზღვარი - 20-დან 30 წლამდე. გამოიკითხა და სიღრმისეული ინტერვიუ ჩაუტარდა 20 ახალგაზრდას, რომელთაგან 10 იყო აფხაზეთიდან დევნილ ოჯახთა წარმომადგენელი, ხოლო 10 არადევნილი ახალგაზრდა. ინტერვიუების ჩატარების პერიოდი განისაზღვრა ორი კვირის ხანგრძლივობით. ასევე ჩატარდა ორი ფოკუს-ჯგუფი, თითო ჯგუფში 8 წარმომადგენელი. ერთ ფოკუს-ჯგუფში მონაწილეობდნენ დევნილი ახალგაზრდები. კვლევის პერიოდში, ფოკუს-ჯგუფის ჩატარების საშუალებით, ახალგაზრდებს შესაძლებლობა მიეცათ განსხვავებული დამოკიდებულებების ერთ სივრცეში დაფიქსირებისა, აღნიშნული საკითხის მიმართ. ბუნებრივია, რესპონდენტები წინასწარ იყვნენ საქმის კურსში ჩაყენებულნი, რამაც საშუალება მომცა ნდობა მომეპოვებინა მათ თვალში და თავისუფლად წარმემართა ფოკუს-ჯგუფი. პროცესი ასახულ იქნა აუდიო-მასალაზე. თითო ფოკუს-ჯგუფის ხანგრძლივობამ გასტანა საათ ნახევარს.

ასევე, კვლევის დროს, გამოკითხულ იქნა და სიღრმისეული ინტერვიუ ჩაუტარდა 12 ექსპერტს. ჩატარებული ინტერვიუების პერიოდის ხანგრძლივობაა - ერთი თვიდან და 10 დღემდე.

შერჩევა - როგორც ზემოთ აღვნიშნე, საკვლევი თემისთვის შერჩეულ იქნა, წინასწარ განსაზღვრული ადამიანთა კატეგორია - დევნილი და არადევნილი ახალგაზრდები და საექსპერტო წრის წარმომადგენლები, რომლებიც „თოვლის გუნდას“ პრინციპით იქნენ შერჩეულნი.

თავი 8.

კვლევის შედეგები

ექსპერტთა ძირითადი შეხედულებები :

„ახალგაზრდობის როლი შერიგების პროცესში და მათი აქტივობები“, (აფხაზეთის მაგალითზე) - აღნიშნულ თემაზე, სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა და გამოიკითხა 12 ექსპერტი. ექსპერტები კონფლიქტოლოგიის, პოლიტიკის მეცნიერების, საერთაშორისო ურთიერთობების, ფსიქოლოგიის სპეციალობების მიხედვით იქნენ შერჩეულნი. შედეგად, გამოიკვეთა ძირითადი საკითხები და დამოკიდებულებები. პირველ ყოვლისა, ერთხმად აღინიშნა, რომ უდაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდობას ამ პროცესში და ქართველი , აფხაზი ახალგაზრდების ერთობლივი აქტივობების ზრდა და სისტემატიზაცია არის აუცილებელი. ამ პროცესში კი ექსპერტთა ერთი ნაწილის თქმით, მამოძრავებელი ძალა აქვს სახელმწიფოს და მის რესურსებს. აქვე დაფიქსირდა, რომ სახელმწიფო არ ატარებს შესაბამის პოლიტიკას, ოკუპირებული ტერიტორიების, ზოგადად ამ მიმართულებით, შერიგების პროცესისთვის.

მთავარი რაც შეიძლება სახელმწიფომ გააკეთოს დღევანდელ პირობებში, არის ის, რომ მობილიზება გაუკეთოს ასეთ ერთობლივ ფორმატებს და „გააკონტროლოს“ პროცესის დინამიურობა. სისტემატიურად მოუწოდოს საერთაშორისო საზოგადოებას, რომ აქტიურად ჩაერთონ ამ პროცესში და ხელი შეუწყონ ასეთი ფორმატების ფორმირებას, იქნება ეს ფინანსური მხარე, თუ უშუალოდ ჩართულობა. სახელმწიფომ უნდა შექმნას ისეთი ეფექტური მექანიზმი და სტრატეგია, რომელიც ეფექტური იქნება ორმხრივი პროცესებისთვის, მისაღები იქნება ქართველი , აფხაზი ახალგაზრდებისთვის.

ასევე აღინიშნა, რომ საერთაშორისო საზოგადოება და საერთაშორისო პროგრამებში ჩართულობა არის ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი, ახალგაზრდული პროექტების განხორციელებისა და პოზიტიური ნაბიჯების გადადგმისა. რადგანაც

დღეს როგორც ქართველებისთვის, ისე აფხაზი ახალგაზრდებისთვის ძალიან მიმზიდველია დასავლური პროგრამები და მათთან თანამშრომლობა. ამიტომ დასავლური პროგრამების, როგორც მესამე ძალის როლი, ამ პროცესებში არის ღირებული და მნიშვნელოვანი.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ექსპერტთა სხვა ნაწილმა, აღნიშნა, რომ სახელმწიფო დღეის მდგომარეობით, მეტს ვერ გააკეთებს და რასაც აკეთებს ეს არის თუ მაქსიმალური არა, მნიშვნელოვანი პროცესი. მათი თქმით, სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას შეიძლება ნეგატიური პროცესები მოჰყვეს აფხაზური მხრიდან , უკან დაიხიონ და საერთოდ გაქრეს ის, რაც ახლა არსებობს. აღინიშნა, რომ მეტად მნიშვნელოვანია, არასამთავრობო სექტორი და მათი ძალისხმევა, არაფორმალური აქტივობები და სახალხო დიპლომატიის , რაც შეიძლება მეტად გააქტიურება, რადგან ნდობის აღდგენის კუთხით, ეს საუკეთესო გზაა. შეხვედრა არამარტო ახალგაზრდების, არამედ შეხვედრის წარმოება ვეტერანებთან, ჟურნალისტებთან, ადამიანის უფლებების დამცველებთან და. სხვ. რომლებიც ცხოვრობენ აქ და აფხაზეთში.

ექსპერტთა ნაწილი ,რომლებიც აქტიურად ჩართული იყვნენ ახალგაზრდულ დიალოგებში, აღნიშნეს, რომ ზოგადად არასათანადოდ და არასაკმარისად შუქდება ქართულ საზოგდოებაში, მსგავსი ფორმატების, ერთობლივი დიალოგების, შეხვედრების წარმოება და ეს გარკვეულწილად თავად ამ აქტივობებში ჩართული ადამიანების ბრალია, რადგანაც მომავალში აფხაზური მხრიდან შესაძლო უკან დახევის ფაქტი აიძულებთ მათ, ამის ნაკლებად აფიშირებას. თუმცა ითქვა, რომ ეს არის პრობლემა, რადგანაც როდესაც დღის წესრიგში მუდმივად არ დგება გარკვეული საკითხი , ის მოგვიანებით გადაიწევს მეორე პლანზე. ამიტომ სახელმწიფომაც , არასამთავრობო სექტორმაც, უნდა იმუშაოს ამაზე.

ყველაზე მთავარი პრობლემა, რაც ექსპერტთა გამოკითხვიდან დადგინდა, ის არის, რომ თავად შიდა საზოგადოებაში არის პრობლემა, რადგან ოკუპაციის საკითხის მიმართ არის არაჯეროვანი დამოკიდებულებები, საზოგადოებრივი განწყობები არც თუ მთლად ჩამოყალიბებულია აღნიშნული თემის მიმართ. ამიტომ მათი თქმით,

მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებაში მუდმივად იყოს წინა პლანზე წამოწეული აღნიშნული საკითხი, აუცილებელია ღია, საჯარო დისკუსიების გამართვა. ამ დისკუსიებში უნდა ჩაერთონ და იმსჯელონ, როგორც ახალგაზრდებმა, ისე უფროსი თაობის წარმომადგენლებმა. უნდა მოხდეს გაზიარება დამოკიდებულებების, გამოცდლების და ეს მნიშვნელოვნად წინგადადგმული ნაბიჯი იქნება, საზოგადოებისთვის და სახელმწიფოსთვის. რაც ყველაზე მთავარია, ეს უნდა გაშუქდეს მედია-საშუალებების მიერ აქტიურად, რათა სრულიად მოსახლეობას ჰქონდეს ინფორმაცია და ჩართული იყოს ამ პროცესში.

როცა შეხვედრებსა და ერთობლივ დიალოგებზეა საუბარი, ამ მხრივ განსაკუთრებით აღნიშნეს ექსპერტებმა კავკასიური ფორმატი, სადაც არამარტო აფხაზი და ქართველი წარმომადგენლები ხვდებიან ერთმანეთს, არამედ ოსი, სომეხი, აზერბაიჯანელი ახალგაზრდებიც მონაწილეობენ. ექსპერტების თქმით, ასეთი ფორმატის არსებობა მნიშვნელოვანია, რადგანაც ამ დროს, ყველა და მათ შორის აფხაზებიც ადარებენ საკუთარ მდგომარეობას , სხვა იქ მყოფ მონაწილეებს და ეს საბოლოო ჯამში დადებითად მოქმედებს, იმ თვალსაზრისით, რომ აფხაზები, ოსები ხვდებიან, მთავარს - ისინი არა არიან ყველაზე უარეს მდგომარეობაში. ამიტომ ამ ფორმატის მუდმივობა საჭირო და ღირებულია.

„ყველაზე მთავარი, რაზეც ყურადღება უნდა იქნეს გამახვილებული ასეთ ერთობლივ შეხვედრებზე, ის არის, რომ უნდა ვიცოდეთ რა უნდათ აფხაზებს, როცა პოლიტიკური კონტექსტის ფარგლებს არ ვცდებით და არაფერს ვთავაზობთ , მაშასადამე არანაირ ეფექტს და წინგადადგმულ ნაბიჯს არ აქვს ადგილი.“ - აღინიშნა ერთ-ერთი ექსპერტის მიერ. ამით გამოიკვეთა მნიშვნელოვანი პრობლემა, ქართველ ახალგაზრდებს, არამარტო მათ, ვინც იღებს მონაწილეობას მსგავსი ტიპის აქტივობებში, არამედ სრულიად ქვეყნის მასშტაბით, არ აქვთ საკმარისი ცოდნა აფხაზეთზე, აფხაზი ხალხის საჭიროებებზე, მათ განწყობებზე, ამიტომ საერთო დიალოგის ფორმატები, არ არის ხელშესახები შედეგის მომტანი.

საბოლოოდ რომ დავასკვნათ, რა არის საჭირო, ახალგაზრდული აქტივობების სისტემატიზაციისა და ეფექტურობისთვის , ექსპერტების გამოკითხვის შედეგად ,

გამოიკვეთა : შიდასაზოგადოებრივი განწყობების შესწავლა, ღია განხილვები და დისკუსიები ახალგაზრდების და საზოგადოების დანარჩენი ნაწილის აქტიური ჩართულობით; მედიის როლი, აღნიშნული საკითხის პოპულარიზაციაში; სახელმწიფოს მიერ ეფექტური მექანიზმის შექმნა და მეტი გამბედაობა; საერთაშორისო საზოგადოების აქტიური მხარდაჭერის მოპოვება; არასამთავრობო სექტორის მეტად გააქტიურება და სახალხო დიპლომატიის წინა პლანზე წამოწევა.

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა შეფასებების ანალიზი :

კვლევის პერიოდში, ჩატარდა ორი ფოკუს-ჯგუფი, რომელშიც აქტიურად იყვნენ წარმოდგენილნი 20-დან 30 წლამდე ახალგაზრდები, თითო ფოკუს-ჯგუფში 8 - 8 მონაწილე. ერთ-ერთ ფოკუს-ჯგუფში მონაწილეობას იღებდნენ აფხაზეთიდან დევნილი ოჯახების, ახალგაზრდა წარმომადგენლები.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდული აქტივობების, დიალოგების მნიშვნელობა შერიგების პროცესში, ორივე ფოკუს-ჯგუფში დადებითად იქნა შეფასებული. აღნიშნეს, რომ ახალგაზრდული აქტივობა და ზოგადად ახალგაზრდობის როლი შერიგების პროცესში, აფხაზეთის, ცხინვალის რეგიონის მაგალითზე, არის უმნიშვნელოვანესი. აქტიურად ჩაერთვებოდნენ , მსგავსი შესაძლებლობების შემთხვევაში.

ის, თუ ვინ უნდა უზრუნველყოს ასეთი ტიპის აქტივობები და შეხვედრები, სახელმწიფომ, არასამთავრობო სექტორმა თუ საერთაშორისო დონორმა ორგანიზაციებმა, ერთხმად გამოიკვეთა სამივე სექტორის ჩართულობის აუცილებლობა. თუმცა, განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა არასამთავრობო სექტორს და არაფორმალურ დიპლომატიას. მათი თქმით, აფხაზებთან, განსაკუთრებით ახალგაზრდა წარმომადგენლებთან შეხვედრის ფორმატები, სწორედ არაფორმალურ ფორმატებში უნდა წარიმართოს.

სახელმწიფოს როლი განსაკუთრებით აღსანიშნავია, ასეთი შეხვედრების მხარდაჭერაში, არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობაში, რაც

გამოიხატება კონკრეტული იდეების გენერირებაში, არა როგორც სახელმწიფოს დელეგირებით , არამედ კონკრეტული მექანიზმების შექმნით, რომელსაც აქტიურად გამოიყენებს არასამთავრობო სექტორი მუშაობის რეჟიმში. ამიტომ მათი თქმით, სახელმწიფო მოქმედებს პრაგმატულად, რაც გამოიხატა კიდეც, მშვიდობის მიმართულებით სამთავრობო ინიციატივის წარდგენაში - „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“, თუმცა აუცილებელია მეტი აქტივობების განხორციელება და მეტი ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით და საერთაშორისო საზოგადოებასთან მჭიდრო ურთიერთობით, აღნიშნული საკითხის ირგვლივ.

რაც შეეხება აფხაზი და ქართველი ახალგაზრდების განწყობებს, შერიგების პროცესის მიმართ, ჯგუფში, მონაწილეთა თქმით, ქართველი ახალგაზრდები დადებითად უყურებენ შერიგების პროცესის პოლიტიკას, თუმცა ინტერესი ამ საკითხის მიმართ ნაკლებია, რაც თუნდაც ინფორმაციის ნაკლებობით აიხსნება. ანალოგიურად, აფხაზი ახალგაზრდების, არც თუ მთლად კეთილი განწყობები, სწორედ ინფორმაციული ვაკუუმით არის გამოწვეული, რასაც ემატება რუსული პროპაგანდა. აქედან გამომდინარე, ფოკუს-ჯგუფში ნათლად გამოიკვეთა მედიის მნიშვნელობა, როგორც ინფორმაციის მიწოდების საშუალება. პერმანენტული სატელევიზიო გადაცემები, დისკუსიები, შეფასებები, შერიგების პოლიტიკის აუცილებლობაზე, არის ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორი, საზოგადოების და განსაკუთრებით ახალგაზრდობის დაინტერესებისა, აღნიშნული საკითხის მიმართ.

ახალგაზრდებმა, განსაკუთრებით აღნიშნეს, რომ ერთობლივ დიალოგებსა და შეხვედრებში, რომელსაც ესწრებიან ქართველი და აფხაზი ახალგაზრდები, უნდა გამოირიცხოს **პოლიტიკურ** ჭრილში საუბარი, იგი მხოლოდ ვნებს პროცესებს და აფერხებს სამომავლო ურთიერთობის განვითარების პერსპექტივას. აუცილებელია, საერთო ინტერესების, გადაკვეთის წერტილების მოძებნა, თუნდაც განათლების, კულტურის, გარემოსდაცვითი მიმართულებით. ისეთ საკითხებზე დიალოგი, რომელიც მიგვიყვანს შეთანხმებამდე. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ სწორად მოხდეს ორგანიზება ასეთი შეხვედრების. რესპონდენტების თქმით, მონაწილეობა უნდა მიიღონ ისეთმა ახალგაზრდებმა, რომლებიც არა აგრესიულად, არამედ

პოზიტიურად უდგებიან შერიგების პოლიტიკას, აფხაზეთის მაგალითზე; აქვთ ინფორმაცია და ცოდნა, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი არის გულახდილობა, რომელიც ქართველმა ახალგაზრდებმა, უნდა დაანახონ აფხაზ ახალგაზრდებს; აღნიშნეს რესპონდენტებმა.

სიღრმისეული ინტერვიუების ანალიზი და შედეგები :

კვლევის პერიოდში, ფოკუს-ჯგუფებთან ერთად, სიღრმისეული ინტერვიუ ჩაუტარდა 20 ახალგაზრდას. ასაკობრივი ინტერვალი განისაზღვრა აქაც 20-დან 30 წლამდე ხანგრძლივობით. გამოიკითხა 10 დევნილი და 10 არადევნილი ახალგაზრდა.

ახალგაზრდობის როლი შერიგების პროცესში და მათი აქტივობები, აფხაზეთის მაგალითზე, დადებითად შეაფასეს რესპონდენტებმა. მათი თქმით, ახალგაზრდობა არის ის მთავარი ძალა, რომელსაც აქტიური წვლილის შეტანა შეუძლია მშვიდობის დამყარებაში, ქართველებსა და აფხაზებს შორის. ერთმა ახალგაზრდამ სიღრმისეული ინტერვიუს ჩატარების პერიოდში, აღნიშნა - „ახალგაზრდებს შეუძლიათ ბევრი რამის კეთება, მათ აქვთ დღეს გაცილებით მეტი შესაძლებლობები, ბოლოსდაბოლოს ხვალინდელი დღე არის მათი და სწორედ ისინი განსაზღვრავენ პოლიტიკური თუ სხვა სახის დღის წესრიგს, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში“. ამ ფრაზით, ნათლად გამოიკვეთა ახალგაზრდობის როლი შერიგების პროცესში.

ინტერვიურების პროცესში, ყველამ ერთხმად აღნიშნა, რომ ჩაერთვებოდა ახალგაზრდულ შეხვედრებსა და დიალოგებში და აქტიურ წვლილს შეიტანდა მისი მონაწილეობით, აღნიშნულ პროცესში.

როგორც ფოკუს-ჯგუფში, ისე სიღრმისეული ინტერვიურების დროს, რესპონდენტებმა ცალსახად გამოკვეთეს პოლიტიკური ფაქტორის ნეგატიური მნიშვნელობა, ახალგაზრდულ აქტივობებში. მათი თქმით, რთულია აცდე პოლიტიკურ ელფერს და როდესღაც ეს უნდა მოხდეს, თუმცა არა ახლა. სრულიად

წამგებიანია, როდესაც ქართულ-აფხაზურ ახალგაზრდულ შეხვედრებში, პოლიტიკურ საკითხებს განიხილავენ. ამიტომ მნიშვნელოვანია განათლების, ასევე კულტურული მიმართულებით აქტივობების განხორციელება. რაც მთავარია, მათი სისტემატიზაცია არის მთავარი გარანტორი, სასიკეთო ცვლილებების, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში.
ის, თუ ვინ უნდა მოახდინოს ასეთი პროცესების სისტემატიზაცია, განსხვავებით არადევნილი ახალგაზრდებისგან, დევნილმა ახალგაზრდებმა პრიორიტეტი მიანიჭეს სახელმწიფოს. სწორედ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ისეთი პროგრამების შექმნა, რომელშიც ქართველ, აფხაზ, ოს ახალგაზრდებს შეეძლებათ აქტიურად ჩართვა და მონაწილეობა. მათი შეფასებით, სახელმწიფო დღეს დგამს პოზიტიურ ნაბიჯებს, თუმცა არა საკმარისს და გასაკეთებელი კიდევ უფრო მეტია. ასევე არანაკლები მნიშვნელობა მიანიჭეს საერთაშორისო ორგანიზაციებს და მათ ჩართულობას, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში. მათი თქმით, სახელმწიფომ აქტიურად უნდა ითანამშრომლოს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ეს უნდა იყოს დინამიური.

რაც შეეხება, არადევნილ ახალგაზრდებს, მათ ერთნაირად გამოკვეთეს, სახელმწიფოს, არასამთავრობო სექტორის და საერთაშორისო ორგანიზაციების როლი შერიგების პოლიტიკაში. განსაკუთრებით კი აღნიშნეს არასამთავრობო სექტორის როლი, რადგანაც მათ დამოუკიდებლად ლავირების მეტი შესაძლებლობა აქვთ. რესპონდენტებმა ასევე აღნიშნეს, რომ არასამთავრობო სექტორი მეტად უნდა გააქტიურდეს და სახელმწიფოს უნდა შესთავაზოს კონკრეტული ხედვები და პროექტები, შერიგების პოლიტიკის მიმართულებით, მათ შორის ახალგაზრდული პოლიტიკის ნაწილში.

რესპონდენტებმა, განსაკუთრებით გამოკვეთეს ინფორმაციული მხარე, კერძოდ, ის, რომ ყველაზე დიდი ბარიერი ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში, არის ინფორმაციული ვაკუუმი. მათი თქმით, აუცილებელია ამ მიმართულებით მუშაობა და მედია სივრცის წარმომადგენლების აქტიურობა. ასევე, სოციალური მედიის როლის მნიშვნელობა, სოციალური ქსელების აქტიურად გამოყენება.

შეჯამების სახით, რომ ითქვას როგორც ფოკუს-ჯგუფებში, ისე სიღრმისეული ინტერვიუების ჩატარების შედეგად გამოიკვეთა ახალგაზრდობის როლის უდაოდ დიდი მნიშვნელობა შერიგების პროცესში - გახლეჩილ საზოგადოებებში, საქართველო - აფხაზეთის მაგალითზე. ცალსახად ხაზი გაესვა, სახელმწიფოს, არასამთავრობო სექტორის და საერთაშორისო საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევის აუცილებლობას ამ პროცესში. ზოგ შემთხვევაში სახელმწიფოს, ან არასამთავრობო სექტორის როლის უფრო მეტ ღირებულებას.
აღინიშნა მთავარი პრობლემა - ინფორმაციული ვაკუუმი და ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა, მედიის ჩართულობით; პოლიტიკურ ჭრილში, ახალგაზრდული აქტივობების არაეფექტიანობა და უფრო მეტად ინტენსიური აქტივობები, განათლების, ეკოლოგიის, კულტურის სფეროს მიმართულებით. შედეგად, მივიღებთ მეტად ეფექტიან და პოზიტიურ რეზულტატს ახალგაზრდობის მონაწილეობით, შერიგების პროცესში - აფხაზეთის მაგალითზე.

დასკვნა :

წლების განმავლობაში, ქართულ საზოგადოებრივ რეალობაში, გაჩნდა ასეთი ტენდენცია - საქართველოს კონფლიქტების მიმართ ინტერესის კლება. კონფლიქტებისადმი, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისადმი, შერიგების პოლიტიკისადმი ინტერესი გადაფარა ისეთმა საკითხებმა, როგორიცაა: სოციალურ-ეკონომიკური საკითხები, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრირება, რაც გამოიხატა კიდეც კონკრეტული ნაბიჯებით - უვიზო მიმოსვლა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში (2017 წ.) და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება (2014 წ.). შესაბამისად, გასაგებიც არის კონფლიქტების, როგორც აქტუალური საკითხის უკანა პლანზე გადაწევა. ამ მხრივ, საინტერესოა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) ყოველწლიური კვლევები საქართველოში,

საზოგადოებრივი განწყობების შესახებ. კვლევის შედეგების მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ ტერიტორიული მთლიანობის საკითხი, მოსახლეობისთვის ყოველთვის აქტუალური იყო და პრიორიტეტული თემების ხუთეულში ხვდებოდა, ტენდენცია შეიცვალა. ამჟამად, ამ პრობლემის პრიორიტეტად დამსახელებელთა პროცენტული რაოდენობა კლებადია. (2009 – 2016 წწ.)

სწორედ ამიტომ, ჩემი კვლევის ინტერესი იყო ახალგაზრდობის როლი შერიგების პროცესში და მათი აქტივობები, (აფხაზეთის მაგალითზე); რამდენად ღირებულია ახალგაზრდობის, როგორც მნიშვნელოვანი ძალის როლი აღნიშნულ პროცესში და რა დამოკიდებულებები აქვს ახალგაზრდებს ქართულ-აფხაზური ურთიერთობების, შერიგების პოლიტიკისადმი, რამდენად დიდია ინტერესი სამშვიდობო პროცესებში ჩართვის მიმართ.

კვლევის ჩატარების შედეგად გამოიკვეთა რიგი საკითხები . კერძოდ, უდაოდ პოზიტიური ხედვა, ახალგაზრდების მიმართ, როგორც ერთ-ერთი მონაწილე აქტორებისა შერიგების პროცესში; ახალგაზრდების მიერ პირადი ჩართულობის საჭიროების აღნიშვნა და მზაობა სამშვიდობო პროცესებში, ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მაგალითზე.
კვლევის პერიოდში, მნიშვნელოვნად გამოიკვეთა სახელმწიფოს როლი, როგორც ხელშემწყობი ახალგაზრდული პოლიტიკის წარმოებისა, ასევე აქტიური თანამშრომლობა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან და თავად არასამთავრობო სექტორის მეტად გააქტიურება, კონფლიქტების, შერიგების საკითხების მიმართულებით.

სახელმწიფოს მუდმივი და დაუღალავი მუშაობა, საერთაშორისო საზოგადოებასთან, რათა მათი ყურადღების არეალი მუდმივად ჩვენსკენ იყოს მომართული.

ახალგაზრდების ჩართულობა შერიგების პოლიტიკაში, სწორი მიმართულებით - რაც გამოიხატება, კულტურული, გარემოსდაცვითი, განათლების და ა. შ. აქტივობების განხორციელებაში, პოლიტიკური დისკურსის გამოკლებით.

მნიშვნელოვანი პრობლემა, რაც, როგორც ახალგაზრდების , ისე საექსპერტო წრის წარმომადგენლების გამოკითხვისას გამოვლინდა , არის - შიდასაზოგადოებრივი დამოკიდებულებები. კერძოდ, კლებადი ინტერესი და შეიძლება ითქვას ინდეფერენტული დამოკიდებულება საქართველოს კონფლიქტებისადმი და შერიგების პოლიტიკისადმი, ქართულ სოციუმში. მიზეზად კი, დასახელდა ინფორმაციული სიმწირე და ნაკლები დროის დათმობა ამ თემატიკისადმი, მედია-საშუალებების მხრიდან.

რაც შეეხება, ქართულ-აფხაზური ახალგაზრდული ერთობლივი აქტივობების შეფასების ნაწილს, კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ეფექტიანობა ამ მხრივ ნაკლებია, რაც აისახება ასეთი აქტივობების არაპროფესიონალურად დაგეგმვაში.

სწორედ, კვლევის პროცესიდან მიღებული შედეგების კვალდაკვალ, გამოვყავი ძირითადი პრობლემები და შევიმუშავე რეკომენდაციები, რომელიც მნიშვნელოვანია ახალგაზრდული აქტივობების ეფექტიანობისა და სისტემატიზაციისთვის, შერიგების პროცესში - აფხაზეთის მაგალითზე.

რეკომენდაციები:

- სახელმწიფოს და არასამთავრობო სექტორის თანამშრომლობა, კერძოდ არასამთავრობო ორგანიზაციების, მიერ კონკრეტული იდეების, პროექტების შეთავაზება სახელმწიფო ინსტიტუტებისთვის და სახელმწიფოს მიერ კონკრეტული მექანიზმების, პროგრამების შექმნა, რომლებიც აქტიურად იქნება გამოყენებული არასაჯარო სექტორის მიერ, რაც მეტად ეფექტური იქნება სამშვიდობო პროცესებში და მიმზიდველი აფხაზი ახალგაზრდებისთვის. ჩვენ ვხედავთ, რომ ამ მხრივ არსებობს პრობლემა, როცა სახელმწიფოს და არასამთავრობო სექტორის თანამშრომლობას ეხება საქმე.

- კონკრეტული სახელმწიფო აპარატების მიერ სხვადასხვა პოლიტიკის და მათ შორის შერიგების პოლიტიკის დაგეგმვისას, ახალგაზრდული ხედვების გათვალისწინება და მათი აქტიური ჩართულობა მუშაობის პროცესში; ახალგაზრდული პოლიტიკის ხელშეწყობა. ეს აუცილებელია არა მხოლოდ ჩემი მოსაზრებით, არამედ დასტურდება გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუციითაც, რომლის მიხედვით გაერო მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, აქტიურად ჩართონ ახალგაზრდობა კონფლიქტების პრევენციასა და მოგვარებაში, გაითვალისწინონ მათი ინიციატივები.
- მედია-სივრცის საშუალებით, ღია სადისკუსიო პლატფორმის ფორმირება, ახალგაზრდა და უფროსი თაობის მონაწილეობით.
- ქართულ-აფხაზური ახალგაზრდული ფორმატების, კულტურულ ჭრილში ჩამოყალიბება და სისტემატიზირება.
- ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური ახალგაზრდული ფორმატების და შეხვედრების დოკუმენტაციური აღწერა და მისი არსებობა, რათა მოხდეს ასეთი შეხვედრების ეფექტიანობის გაზომვა (შემუშავდეს მეთოდიკა), შემდგომი პოზიტიური ნაბიჯების გადადგმისთვის და პროცესის დახვეწისთვის.

ახალგაზრდობის როლი შერიგების პროცესში და მათი აქტივობები (აფხაზეთის მაგალითზე) - კვლევის შედეგად მივიღეთ, რომ უდაოდ მნიშვნელოვანია და სასიცოცხლოდ აუცილებელია ასეთი ახალგაზრდული აქტივობების სისტემატიზაცია, სახელმწიფოს და არასაჯარო სექტორის აქტიური ჩართულობის მეშვეობით და რაც მთავარია იმ პრობლემების აღმოფხვრა და მათზე მუშაობა, რომლებიც თან ახლავს ამ პროცესს. ამისთვის კი აუცილებელია, ზემოთ აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინება.

ბიბლიოგრაფია :

ხუციშვილი, გ. *„როგორ მოვაგვაროთ კონფლიქტები.* თბილისი“. (2006-2013).

ზურიკაშვილი, ფ. მაღრაძე, გ. ჭანიშვილი, ნ. ხუციშვილი, გ. ჯორბენაძე, რ. (2003). *„კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა.* თბილისი“: UNIFEM.

მაჭარაშვილი, ნ. *“შერიგება, როგორც პოსტკონფლიქტურ საზოგადოებაში თანხმობის მიღწევისა და მშვიდობის მშენებლობის საშუალება“.* თბილისი. (2007).

ფიშერი, ს. ლ. *კონფლიქტზე მუშაობა : უნარ-ჩვევები და სტრატეგიები .* (2002).

Bloomfield, D. *Dealing with the fast.* (2001)

Bloomfield, D. *Reconciliation after violent conflict.* Sweden. (2003)

Byrom, M. *The Role of Forgiveness in Reconstructing Society after Conflict.* (1999)

Caucasianhouse.ge.

conciliation resources, caucasus research resources centre. (2011). *იძულებით გადაადგილებული პირები საქართველოში.*

consortium, C. r.

Diamond, L. .. *Multi-Track Diplomacy.* (1993)

Fisher.R, U. W. (1991.). *Getting to yes.*

Group, I. C. (2006). *Conflict Resolution In The South Caucasus: The EU's Role.* www.crisisgroup.org.

Hampson, F. O. *Nurturing Peace. .* (1996)

Hartwell, M.

Hauss, C. (2003). *Reconciliation.* Conflict Research Consortium, University of Colorado.

Hocker, J. (2001.). *Library of Congress Cataloging.*

J. Rubin, D. P. (1994). *social conflict : Escalation,stalemate and settlement.* New-York: McGraw-Hill.

J.P., L. (1995). *Preparing for Peace: Conflict transformation Across Culturess.* NY.

Krisberg. (1998).

Lederach, J. *The Meeting Place.* (1999)

Lederach.J.P. (1997). *Building Peace: Sustainable Reconciliation in Divided Societies. .* Washington: Institute of Peace press.

Lerche, C. (2000). *Peace Building through Reconciliation.* International Journal of Peace.

mes.gov.ge.

Negowetti, N. *Reconciliation: Central component of conflict transformation .* Irish Peace Society. (2004)

Regional-Dialogue.com.

smr.gov.ge.

Wilmot, W. (2001). *Interpersonal Conflict.*

www.cipdd.ge.

www.civil.ge.

www.giss.ge.

www.iccn.ge.

www.icgs.ge.

www.isng.ge.

Abkhazia.gov.ge

დანართი

ექსპერტის ინტერვიურება - ტრანსკრიპტი 1

ინტერვიუერი - დავიწყოთ, ზოგადად მაინტერესებს თქვენი აზრით, რა როლი აქვს ახალგაზრდობას შერიგების პროცესში? საქართველო-აფხაზეთის მაგალითზე?

- **რესპონდენტი** ძალიან დიდი როლი აქვს და ამის სისტემატიზაცია თუ მოხდება იქნება ძალიან მნიშვნელოვანი, ამ პროცესის სისტემატიზაცია კი, პირველ რიგში უნდა მოახდინოს სახელმწიფომ. მსგავსი იდეა გაჩნდა 2008 წლის შემდგომ, უნდა შექმნილიყო საკოორდინაციო ცენტრი, სადაც თავს მოიყრიდა ყველა ინფორმაცია, ვის რამდენი გრანტი ჰქონდა და ა. შ. თუმცა ეს ვერ მოხერხდა. დღეს შერიგების სამინისტროს არა აქვს ის ყველა საჭირო რესურსი, რომ ყველაფერს გაუწიოს კოორდინაცია, უფრო დღეს, ყველა თავისას აკეთებს, ყველას თავისი ინტერესი აქვს და ამ მხრივ ქაოსია. არასტრუქტურიზებულია ყველაფერი, არადა სახელმწიფო პოლიტიკაში უნდა ჯდებოდეს ყველაფერი, მაგრამ ორგანიზაციული თვალსაზრისით ცუდი დინამიკა არსებობს. ამიტომ ამის სისტემატიზაცია რომ მოხდეს, ამ ტიპის აქტივობების და მაგალითად გაიმართოს ხუთწლედები, ძალიან კარგი და ეფექტური იქნება. მოხდება გადანაწილება ექსპერტების, ზოგი კარგია ახალგაზრდებთან და ახალგაზრდულ თემებზე კარგად მუშაობს, ზოგისთვის მნიშვნელოვანია მუშაობა ქალთა უფლებებზე და ა. შ.
- **ინტერვიუერი** ერთია სურვილი, მაგრამ რამდენად შესაძლებელია დღეს?
- **რესპონდენტი** -შესაძლებელი არის, როგორ არა, უცხოელი დონორებიც, რომლებიც აფინანსებენ ამ ორგანიზაციას, ანგარიშვალდებულნი არიან თავიანთ სახელმწიფოსთან , მიაწოდონ ინფორმაცია, რა, როგორ მოხდა და ა. შ. პრინციპში მათ აქვს სამინისტროში გამოყოფილი პატარა ბაზა, მაგრამ ესე სტრუქტურიზებული არ არის, არ არის ორმხრივი კონტაქტი, მაგრამ მაინც აწვდიან ინფორმაციას. მაგრამ უფრო მეტად უნდა იყოს ორგანიზებული.
-

- **ინტერვიუერი** - როგორ ფიქრობთ, საერთაშორისო თანამეგობრობის ფაქტორი მნიშვნელოვანია, ამ პროცესში, როგორც მესამე ფაქტორი?
- **რესპონდენტი** - რა საკვირველია, თუმცა პრობლემა ის არის, რომ საერთაშორისო აქტორებს ხშირად არ უნდა გვარების გამჟღავნება, აფიშირება იმდენად, რომ არ დაზიანდეს მათი პირადი უსაფრთხოება, თუმცა თუ მოხდება სისტემურობა ამ ფაქტორის , ძალიან კარგი იქნება. თანაც აფხაზეთში მცხოვრებ ახალგაზრდებს, არა აქვთ ემოციური მახსოვრობა, ომის გავლენა პირდაპირ არ ასახულა მათზე, ამიტომ შეიძლება სწორად წარმართვა პროცესების.
- **ინტერვიუერი** - აი, თქვენ ახსენეთ თაობათა ცვლაზე და ეს მომენტი გარკვეულწილად უარყოფითად არ მოქმედებს? როცა მათ პირდაპირ არ განუცდიათ ომი, არ ჰქონიათ ურთიერთობა, იქნებ მათთვის სულაც არ იყოს პრიორიტეტული აღნიშნული საკითხი?
- **რესპონდენტი** - ხო შეიძლება ბევრმა ასე იფიქროს, მაგრამ მათთვის მაინც აუცილებელი და პრიორიტეტულია დაახლოების პროცესი, რადგანაც აფხაზეთი იმდენად პატარა საზოგადოებისგან შედგება, რომ მათ ყოველდღიურობას განსაზღვრავს კონფლიქტი, მისი შედეგები, იგულისხმება ეკონომიკური, სოციალური ფაქტორები, რაც ასე მნიშვნელოვანია ზოგადად ადამიანისთვის, ამიტომ მათთვის დღესაც დღის წესრიგში დგას, ეს თემა. ამასთანავე შერეული ოჯახების ფაქტორიც დიდ როლს თამაშობს, აფხაზების და ქართველების ურთიერთობაში. ამიტომ ეს უნდა გამოვიყენოთ, მითუმეტეს ახალგაზრდების შემთხვევაში. ჩვენ დღეს ყველა ბერკეტს არ ვიყენებთ, რომ როგორმე შემოვატრიალოთ შერიგების პროცესი, სასიკეთოდ.
- **ინტერვიუერი** - ერთია ვხვდებით აფხაზ ახალგაზრდებს, მაგრამ რაზე უნდა ველაპარაკოთ? ეს ვიცით? უნდა გამოვრიცხოთ პოლიტიკური კონტექსტი?
- **რესპონდენტი** - ხო , ეს დამოკიდებულია სტრატეგიაზე, ბუნებრივია პოლიტიკურ საკითხებს ვერ გავექცევით, მაგრამ მთავარია რომ მივიდეთ საერთო გადაკვეთის წერტილებზე, ყურადღება უნდა გავამახვილოთ განვითარებაზე. ადრე 2000-იან წლებში მუდმივად იყო ხოლმე ერთმანეთზე

- გადაბრალებები, რომ „აი შენი ბრალია, არა შენი ბრალია“, მაგრამ ახლა შეცვლილია სიტუაცია და ეს ორმხრივი მუშაობის დამსახურებაა. არსებობს უამრავი საკითხი, რაც ორივე მხარისთვის მნიშვნელოვანია. მათ შეილება ვესაუბროთ მაგალითად: ქალთა უფლებებზე, ეკონომიკაზე, სოციალურ უფლებებზე, გარემოს დაცვაზე, ახალგაზრდების განათლებაზე, პოლიტიკაზე , შრომით უფლებებზე. ისეთ თემებზე უნდა ელაპარაკო, რაც მათთვის არ არის უცხო და პრობლემატურია მათთვისაც და საქართველოსთვისაც.
- **ინტერვიუერი** - კულტურული ფაქტორი რამდენად მნიშვნელოვანია?
- **რესპონდენტი** - რას გულისხმობთ?
- **ინტერვიუერი** - საერთო კულტურული ხასიათის აქტივობები...
- **რესპონდენტი** - აა გასაგებია, რა თქმა უნდა მნიშვნელოვანია და პლიუსიც, იმიტომ რომ რეალურად აფხაზურ კულტურას თუ ვინმე დაიცავს, ერთადერთი არის საქართველო. რუსეთს ამის ინტერესი არა აქვს და აფხაზებს იმდენი პრობლემები აქვთ, ეკონომიკური სიდუხჭირიდან გამომდინარე , რომ ამისთვის არ სცალიათ და ჩვენ შეგვიძლია რამე გავაკეთოთ, პრინციპში ვაკეთებთ კიდევაც, მაგრამ არასაკმარისია, უფრო აქტიური უნდა ვიყოთ მაგ მხრივ. ანუ ეს კულტურული სიახლოვე რაც არის, საერთო კავკასიური იდეა და ხალხთა სიახლოვე , უნდა გამოვიყენოთ.
- **ინტერვიუერი** -მაგრამ აუცილებელია სისტემატიზაცია და რაღაც გარკვეული ფორმატის შექმნა ხომ?
- **რესპონდენტი** - კი, კი რა თქმა უნდა.
- **ინტერვიუერი** - თქვენ და თქვენს ორგანიზაციას რა აქტივობები აქვს ამ მიმართულებით განხორციელებული?
- **რესპონდენტი** - ზოგადად, რამდენიმე ტიპის აქტივობა არის, ერთ-ერთი ყველაზე ისეთი გავრცელებული არის შეხვედრები , აქედან ირჩევიან ახალგაზრდები და იქიდანაც, კოორდინატორი გვყავს მოკლედ, აფხაზეთში და...
- **ინტერვიუერი** - კომუნიკაცია რამდენად ხშირია?
-

- **რესპონდენტი** - რა ვიცი, როცა ასეთი შეხვედრები იგეგმება ხშირია კომუნიკაცია და ისედაც ყოველდღიურობაში როცა ეცნობი ადამიანებს, მერე ურთიერთობ. მერე როცა ვახვედრებთ ამ ახალგაზრდებს , ქართველებს და აფხაზებს, მერე ისინიც აქტიურად იყენებენ ამ სოციალურ ქსელებს და ძალიან მეგობრდებიან და ა. შ. ეს ადამიანთა შორის კავშირების გაღვივებას და გაღრმავებას უწყობს ხელს; ეს არის აქტივობების ერთ-ერთი ტიპი რასაც ვაკეთებთ.
- **ინტერვიუერი** - ეს შეხვედრები რა სიხშირით ტარდება?
- **რესპონდენტი** - მაგალითად, შეიძლებოდა წელიწადში შეხვედრა 3-4-ჯერ გაგვეკეთებინა და იყო შერეული ჯგუფი, ახალგაზრდების და 30 დან 40 წლამდე ადამიანების. ზოგი სტუდენტი იყო, ზოგი სახელმწიფო სტრუქტურაში მუშაობდა ჩვენთან , ზოგი იქაც ანუ აფხაზეთში და ასე ვმუშაობდით. სექტორულად იმართებოდა ეს შეხედრები, ანუ ვინ, რა თემაზეც მუშაობდა, იმ თემის მიხედვით ვახვედრებით. მეორე აქტივობა რაც არის, ისიც შეხვედრაა, სამხრეთ კავკასიური ფორმატია, ხვდებიან არამარტო ოსები, აფხაზები და ქართველები, მონაწილეობენ ასევე ყარაბაღელები , სომხები, აზერბაიჯანელები. გაერთიანებულ სტილში ვახვედრებდით ყველას.
- **ინტერვიუერი** - ესეთი ტიპის შეხვედრა რამდენად ეფექტურია?
- **რესპონდენტი** - ეს საკმაოდ ეფექტური არის, უფრო ეფექტური მე ვიტყოდი, რადგანაც იქ თავის თავს ადარებენ სხვებს და ხვდებიან ყარაბახი უფრო რთულ მდგომარეობაშია, ვიდრე ისინი არიან. მერე კი სიძულვილი უფრო ნაკლები არის. გარდა ამისა, კიდევ გვქონდა საერთო კვლევები ...
- **ინტერვიუერი** - რასთან დაკავშირებით?
- **რესპონდენტი** - მაგალითად ბოლოს გვქონდა ჩვენ კვლევა, ძალის არგამოყენების შეთანხმებაზე, აქაც ქართველი მკვლევარი და იქ აფხაზი და ოსი მკვლევარები მუშაობდნენ ერთ თემაზე; მეორე კვლევა იყო საერთაშორისო დახმარების ეფექტურობაზე. ანალოგიურად აქ ქართველი აკეთებდა , იქ აფხაზი და ოსი და შემდეგ გამოქვეყნდა ერთობლივად ეს კვლევები. ნუ აი ასეთი ერთობლივი კვლევებიც გვაქვს.
- **ინტერვიუერი** - სხვა ორგანიზაციებთან თუ თანამშრომლობთ?

- **რესპონდენტი** - კი არის ასეთი ორგანიზაციები, მაგალითად „ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტი“. ისედაც ძალიან პატარა სივრცე არის კონფლიქტებზე მუშაობის მიმართულებით და ყველასთან გვიწევს მუშაობა. შეიძლება საერთო პროექტი არ იყოს ესე, თუმცა თუკი იმართება საერთო ღონისძიება, სადაც საჭიროა ექსპერტები , ბუნებრივია ვიღებთ მონაწილეობას. ერთმანეთს ვეპატიჟებით და თუკი სამთავრობო სტრუქტურის წარმომადგენლებიც იღებენ მონაწილეობას , უფრო კარგია, რადგან შეგიძლია გაუზიარო კრიტიკული აზრი. ესეთი თანამშრომლობა ყოველთვის არის.
- **ინტერვიუერი** - აფხაზებსა და ოსებს შორის თუ არის სხვაობა ურთიერთობის სიმარტივის ან სირთულის კუთხით?
- **რესპონდენტი** - პრინციპში განსხვავება არის კი, თვითონ ნაციონალურ პროექტებს შორის აფხაზების და ოსების; აფხაზებს უნდათ დამოუკიდებლობა, ოსებს კი შეერთება ჩრდილოეთ ოსეთთან. გარდა ამისა, ოსების ინტეგრაციის ხარისხი უფრო მაღალი არის ქართველებთან, ძალიან კარგად იციან ქართული, ოსეთში მაცხოვრებლებმაც. მოკლედ უფრო ახლოს არიან, თუმცა რაც უფრო დიდია სიახლოვე, მით მეტია წყენაც, ოსები ნაწყენები არიან ამ ომის გამო და გამოხატავენ კიდევაც. აფხაზები კი ცდილობენ უფრო თავდაჭერილები იყვნენ და ისე წარმოაჩენენ თავს და უნდათ დამოუკიდებლად არსებობა, თუმცა ისინიც ნაწყენები არიან და ქართველებს აბრალებენ ბევრ რამეს. მსხვერპლის როლს უფრო თამაშობენ, მე ვიტყოდი, მაგრამ ადამიანურ ურთიერთობებში, რაც არის კავკასიური ხასიათი და კულტურული სიახლოვე, მაინც გვეხმარება და იგრძნობა კიდეც ეს სიახლოვე.
- **ინტერვიუერი** - აფხაზებთან იფრო იმართება საერთო შეხვედრები?
- **რესპონდენტი** - პრინციპში კი, რადგანაც ცხინვალი უფრო ჩაკეტილი სივრცეა, განსაკუთრებით 2008 წლის შემდეგ , ამიტომ ბარიერი უფრო დიდია. აფხაზეთთან უფრო დარჩა რაღაცის გაკეთების შესაძლებლობა , თუმცა რუსები ზუსტად იგივეს გაკეთებას აპირებენ იქაც, მავთულხლართების გავლება და ანექსიისკენ მიმართული ქმედებები, რაც საშუალებას აძლევთ მათ უფრო გააკონტროლონ იქ ყველაფერი. შექმნეს საკოორდინაციო ცენტრი და კანონების დონეზეც, აპირებენ ჰარმონიზაცია მოხდეს რუსულთან. ამიტომ

- რუსეთს არ აწყობს იმართებოდეს პირდაპირი ქართულ-აფხაზური შეხვედრები ,დიალოგი.
- **ინტერვიუერი** – აქ მცხოვრები აფხაზები იგივე ოსები რამდენად ერთვებიან ასეთ პროცესებში და თუ არის მათი მონაწილეობა ეფექტური?
- **რესპონდენტი** - კი ერთვებიან , როგორ არა, მაგრამ უფრო ნაკლებ როლს თამაშობენ , უფრო მნიშვლელოვანია გალში და ახალგორში მცხოვრები ქართველების გამოყენება, რადგანაც ისინი ერთგვარ ხიდებად არიან გადებული, ჩვენს შორის. მეტია კონტაქტები აფხაზებთანაც, ოსებთანაც და ვაჭრობისა და სხვა ურთიერთობების დონეზე უფრო აქტიურად აქვთ რესურსი. ამიტომ სახელმწიფომ ამ მიმართულებით ცალკე პოლიტიკა უნდა შეიმუშაოს. ძირითადად, ამ რეგიონის მოსახლეობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე აქ მცხოვრები, ეთნიკურად აფხაზი და ოსი მოსახლეობა.
- **ინტერვიუერი** - ერთია ვახსენეთ არაფორმალური ურთიერთობები და აქტივობები, მაგრამ სახელმწიფოს როლი როგორია ამ მიმართულებით, თუნდაც ახალგაზრდული ფორმატების ხელშეწყობაზე როცაა საუბარი? რამდენად დიდია მისი მხრიდან ხელშეწყობა? ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ სახელმწიფო სტრატეგიაშიც, საკმაოდ ნათლად არის გაწერილი, სახალხო დიპლომატიის მნიშვნელობა და მისი ხელშეწყობა.
- **რესპონდენტი** - ნახსენები სტრატეგია 2010 წელს დაიწერა და მის მერე არ შეცვლილა, უბრალოდ ქაღალდის დონეზე არის დაწერილი. ამ ყველაფერს ძაან დიდი რესურსი და ფული სჭირდება , საქართველომ არ გამოიჩინა საკმარისი პოლიტიკური ნება, რომ ამ რესურსების მოძიებაზე დაეხარჯა დრო. რაღაც-რაღაცეები ხორციელდება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, მაგალითად ჯანდაცვის პროგრამა, რომელიც საკმაოდ ეფექტურად მუშაობს. განათლების კუთხითაც აქედან იქნა შეთავაზება, რომ აფხაზ , ოს ახალგაზრდებს მიეცეთ შესაძლებლობა ბრიტანეთში, გერმანიაში განათლების მიღების , ეს კარგია. თუმცა არ არის მაინც საკმარისი. ნეიტრალური დოკუმენტების გაცემაც პრობლემაა, რადგან ეს ნეიტრალური დოკუმენტები აქ იქმნება , შესაბამისად მათთვის ნეიტრალური არ არის. ამიტომ სახელმწიფო არ იჩენს საკმარის პოლიტიკურ ნებას , რომ ახლებური მიდგომით რაიმე ახალი შესთავაზოს,

- თუნდაც საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით მოიძიოს დონორები და მათი შეთავაზებით გაკეთდეს რამე. შერიგების სამინისტროსაც არ აქვს ამდენი რესურსი , ძალიან მცირე შემადგენლობით არიან და დიდი ფინანსებიც არ აქვთ.
- **ინტერვიუერი** - ეხლა ისევ თუ გეგმავთ საერთო შეხვედრას ან აქტივობის განხორციელებას?
- **რესპონდენტი** - კი, ეხლა მაისში ვგეგმავთ ბუდაპეშტში შეხვედრას...
- **ინტერვიუერი** - ეს კონფერენცია იქნება თუ?
- **რესპონდენტი** - კი, იქნება ლექციებიც ,სემინარებიც და იქნებიან ასევე აზერბაიჯანელებიც , არამარტო ოსები და აფხაზები, უფრო სტუდენტებზე გათვლილი შეხვედრა იქნება.
- **ინტერვიუერი** - კონფერენციების გარდა თუ გეგმავთ, მაგალითად კულტურულ ერთობლივ აქტივობებს? ღონისძიებებს?
- **რესპონდენტი** - სხვათაშორის 2008 წლამდე კავკასიურ სახლს ჰქონდა, ასეთი აქტივობები, აქ მუშაობდა აფხაზი ქალბატონი, რომელიც აფხაზურიდან თარგმნიდა წიგნებს, კონტაქტები იყო , ძალიან კარგი, ჯგუფიც ჩავიდა აფხაზეთში, ფილმი გადაიღეს დოკუმენტური, ახლაც იმართება , რაღაც კულტურილი ბანაკები, მაგალითად მოფარიკავეების შეხვედრა, ასეთი პატარ-პატარა რაღაცეები. ჩვენ უფრო პოლიტიკურ დონეზე ვცდილობთ.
- **ინტერვიუერი** - ალბათ კულტურული აქტივობები სახელმწიფოს პრეროგატივაა უფრო?
- **რესპონდენტი** -კი და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებისაც.
- **ინტერვიუერი** - საბოლოოდ რომ შევაჯამოთ, რა არის აუცილებელი?
- **რესპონდენტი** - მნიშვნელოვანია, როგორც ვთქვი, სისტემატიზაცია, პოლიტიკური ნება, აღიარება იმისა, რომ ჩვენ გვაქვს კონფლიქტი, რუსეთის ფაქტორი რომც არ იყოს, ჩვენ მაინც კონფლიქტი გვაქვს და ამიტომ ეს უნდა ვაღიაროთ, ასე რომ საჭიროა პირადაპირი დიალოგი და გამბედაობა, რადგანაც უკან ვიხევთ და გვგონია, რომ პირდაპირი დიალოგი მათ, ანუ აფხაზეთის ლეგიტიმაციას ადასტურებს და ასე არ არის. სინამდვილეში ეს აპრობირებული პროცესია, სხვა ნებისმიერ კონფლიქტებშიც. რუსეთს არ

- აწყობს აფხაზეთთან, ოსეთთან საქართველოს პირდაპირი დიალოგი, ამიტომ მნიშვნელოვანია, სწორედაც რომ გვქონდეს პირდაპირი დიალოგი. ჩვენში არსებული კონიუქტურა, რომ რუსეთს თუ აძაგებ, ყველაფერი კარგად იქნება, არაფრის მომცემია, ეს აფხაზეთთან , ოსეთთან პასუხისმგებლობას სულაც არ გვიხსნის. რაც უფრო ხშირი კონტაქტი გვექნება, ურთიერთობები დამყარდება, ეს მით უფრო კარგია ჩვენთვის, რომ რაც შეილება მეტად ჩამოშორდნენ რუსეთს. ამიტომ მე ვფიქრობ სახელმწიფოს არა აქვს დღეს შესაბამისი სახელმწიფო ხედვა ამ მიმართულებით და გადასახედია პოლიტიკა. სახელმწიფო რესურსები არის ყველაზე მნიშვნელოვანი დღეს , ეკონომიკური ურთიერთობები, რადგანაც მატერიალური საკითხი დღეს ყველა ადამიანისთვის მნიშვნელოვანია. კი, არის ახალგაზრდებში შერიგების სურვილი, დაახლოების პოლიტიკა, თუმცა სახელმწიფო ნების გარეშე ეს ვერ განხორციელდება. სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს ჯერ ქვეყნის შიგნით ერთიანი ხედვა , რადგანაც არსებობს საზოგადოებაში არაჯეროვანი დამოკიდებულებები, აფხაზეთის კონფლიქტზე, რაც ხშირად, სიძულვილის ენაში გამოიხატება, ეს ყველაფერი კი, აფერხებს პროცესებს და სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ფაქტორი და მისი რესურსები გამოყენებული, ერთიანი ხედვის , ჯეროვანი სახელმწიფო სტრატეგიის ჩამოსაყალიბებლად.
- **ინტერვიუერი** - დიდი მადლობა.
- **რესპონდენტი** - არაფრის, გისურვებთ წარმატებებს.

დანართი 2

ფოკუს-ჯგუფი -ტრანსკრიპტი

72 **მოდერატორი**: მოგესალმებით, მოგეხსენებათ, რომ დღეს საქართველოს ტერიტორიები ოკუპირებულია რუსეთის მიერ - აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი.

ამ ტერიტორიებზე განლაგებულია რუსეთის ჯარები.

აფხაზებიც და ოსებიც ამას მხარს უჭერენ.

რუსეთმა აღიარა საქართველოს ეს ორი მხარე დამოუკიდებლად, რომელიც მსოფლოს ქვეყნებმა არ დაუჭირეს მხარი.

აფხაზეთიც და ოსეთიც ფიქრობს რომ დამოუკიდებელია და საქართველოსთან სურს სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულების გაფორმება.

საქართველოს სურს დიპლომატიური გზებით მოაგვაროს ეს კონფლიქტი, რისთვისაც რუსეთს და სეპარატისტულ მხარეებს მოუწოდებს მოლაპარაკებით გადაწყვიტოს კონფლიქტი.

დღეისათვის მხარეებს შორის არ არსებობს კავშირი.

არსებობს სახალხო დიპლომატიის გზაც სერიგების. ეს უკანასკნელი გულისხმობს მოქალაქეთა დონეზე მოლაპარაკებას. პირველ რიგში ასახელებენ ახალგაზრდა თაობას და მათ შეხვედრებს.

ჩვენი კითხვებიც სწორედ ამ საკითხებს შეეხება.

ფოკუს ჯგუფი არის მეთოდი კვლევის, რომელშიც დასმულ კითხვებზე არ არსებობს სწორი და არასწორი პასუხი. აქ ყველა პასუხია მნიშვნელოვანი. გთხოვთ მოუსმინთ ერთმანეთს და ნუ შეაწყვეტინებთ საუბარს ერთმანეთს. ჩვენი შეხვედრა გასტანს მაქსიმუმ ერთ საათს. მოდით დავიწყოთ, რას ფიქრობთ დაპირისპირებულ მხარესთან შეხვედრების გამართვის შესახებ?

რესპონდენტი 1 - კარგი აზრი არის ის, რომ დაპირისპირებულ მხარეს ჩვენ უნდა შევხვდეთ, ვაწარმოოთ მოლაპარაკებები და უმჯობესი იქნებოდა ჩართული იყოს ამ შეხვედრებში არა რამოდენიმე მხარე, არამედ დიალოგი იმართებოდეს ერთი-ერთზე. იმიტომ ,რომ ეს ფორმატები რომელშიც მონაწილეობენ სხვა აქტორები, მაგალითად არასამთავრობო ორგანიზაციები, არ იღებს იმ შედეგს, რომელიც ჩვენ გვინდა

 საბოლოოდ. მოლაპარაკების დროს თუ დადებითი ნაბიჯი გადადგა ერთმა მხარემ ან მეორემ , ეს პროცესი უკვე კონტროლდება მესამე მხარის მიერ და მეტ-ნაკლებად მათ მიერ ხდება ხელის შეშლა ამ პროცესის, მიუხედავად იმისა ,რომ ამ ფორმატით არიან ისინი ამ შეხვედრებში, სულ სხვა მიზეზით იმყოფებიან, ხშირ შემთხვევაში ხოლმე. ამიტომ ერთი-ერთზე შეხვედრას ვემხრობი, რაც უფრო ეფექტურია. მე ვემხრობი ურთიერთობების დაწყებას, იმიტომაც ,რომ ეს არის ჩვენი კონფლიქტი და ჩვენ უნდა ვიყოთ უშუალოდ ერთმანეთს შორის გახსნილები და უნდა ვისაუბროთ პირდაპირ, რა მოხდა, როგორ მოხდა, უნდა ვიყოთ ღია ამ პროცესისთვის.

რესპონდენტი 2 - მე ვიტყვი ესეთ რამეს, როდესაც დაპირისპირებულ მხარეთა შორის მოლაპარაკებაზე და შეხვედრაზე ვსაუბრობთ, მნიშვნელობა აქვს იმას თუ რა ფორმატით ხდება ასეთი მოლაპარაკებები, იმიტომ რომ ჟენევის პროცესი ეხლა, რაც გაიმართა იგივე პრობლემა იყო იქ და იგივე პრობლემაა აქაც, იმიტომ, რომ როდესაც მოდის ერთი მხარე მოლაპარაკებაზე, ის ყოველთვის მოდის პირობით, და თუ ჩემთვის მიუღებელია ეს პირობა, მაშინ მოლაპარაკების მაგიდასთან არ დავდგები. ზუსტად ასეთი პრობლემის წინაშე იდგა საქართველო , არის კიდევაც ეხლაც...

რესპონდენტი 3 - ანუ მათ... რაც არ უნდა გვინდოდეს ორივე მხარეს დაჯდომა და დიალოგი, ვეთანხმები გიორგის, ჩემი აზრით, მათ უნდათ მხოლოდ და მხოლოდ ერთი რამე „აღიარება“, რაც არ მოხდება არც ერთი ხელისუფლების მხრიდან საქართველოს ისტორიაში. პირდაპირ გულახდილადაც გეტყვით, რომელი ხელისუფლებაც ამოისუნთქებს ამ თემასთან დაკავშირებით, ის დაიმარხება თაობების მიერ, როგორც ანტისახელმწიფოებრივი, ასე ,რომ კარგია დიალოგი, თუმცა დიალოგი მათ ისეთი უნდათ, რომელიც ჩვენთვის არის ანტისახელმწიფოებრივი და არა დიალოგი შერიგებისთვის. ჟენევის ფორმატმაც ეს აჩვენა, მათ უნდოდათ მოგვეწერა ხელი ისეთ შეთანხმებაზე , რასაც არასდროს არ მოვაწერთ ხელს. დიალოგი დიალოგისთვის, ამის მომხრე არ ვარ, დიალოგი უნდა იყოს შერიგებისთვის , საქმისთვის.

74 **მოდერატორი**: ჩვენ ცოტა შორს გავედით, ჟენევის მოლაპარაკებებზე და ა. შ. მაგრამ ჩვენი საკითხი რასაც ეხება, უშუალოდ ახალგაზრდობის როლი, მათი შეხვედრები, ამაზე გავმახვილდეთ კარგი იქნება...

რესპონდენტი 4 - მე რასაც დავამატებდი, ვემხრობი დიალოგს, მოლაპარაკებებს , პირდაპირ დიალოგს ვგულისხმობ, ხო ჟენევის მოლაპარაკებებზე გავედით , ეს არის საერთაშორისო პოლიტიკური ფორმატი. აქ ვგულისხმობთ უფრო ორივე მხარე, რომ დაჯდეს დიალოგზე და შეთანხმდეს. ასეთი მექანიზმი რომ შემუშავდეს, უფრო ეფექტური იქნება სახალხო დიპლომატიის ფარგლებში, ქართველი და აფხაზი ახალგაზრდების შეხვედრა...

რესპონდენტი 2 - მთავრობის როლი აქ ნაკლები უნდა იყოს, არ უნდა ჩაერიოს...

რესპონდენტი 4 - დავასრულებ აზრს, უნდა დასხდნენ ეს ახალგაზრდები ერთ მაგიდასთან , ძალიან კარგია და უნდა მიდიოდეს მსჯელობა აპოლიტიკურ საკითხებზე.

მოდერატორი: შემოთავაზება ,რომ იყოს ჩაერთვებით ამ შეხვედრებში?

რესპონდენტი 2 - დიდი სიამოვნებით, მეტსაც გეტყვით, მქონდა ესეთი შემთხვევა, ორგანიზატორი ვიყავი, ოკუპირებული ტერიტორიებიდან წარმომადგენლები და თბილისის იურისდიქციაში მყოფი ახალგაზრდები უნდა შევხვედროდით ერთმანეთს , შევხვდით კიდევაც, მაგრამ საბოლოო ჯამში, ისე მოხდა ,რომ მათ მეილებიც გაუტეხეს და პასპორტებიც ჩამოართვეს და პრობლემა შეექმნათ. ამიტომ ერთ-ერთი ფაქტორი უკვე არის შიში.

მოდერატორი: ამ შემთხვევაში სახელმწიფოს რა როლი აქვს?

რესპონდენტი 2 - სახელმწიფო ვერ ითამაშებს აქ რაიმე როლს...

რესპონდენტი 5 - ხოო, რაც შეეხება სახელმწიფოს, სამწუხაროდ ჩვენი სახელმწიფო ვერ ახერხებს, აი მაგალითად ,სოხუმში მცხოვრები ახალგაზრდის დაცვა ჩვენს სახელმწიფოს ნაკლებად შეუძლია. ადგილობრივი უშიშროების სამსახური, იქ ფუნქციონირებადი, საკმაოდ დიდი ბარიერი არის , ხელოვნური ბარიერი ცხადია, რომ ახალგაზრდების ურთიერთობას ხელი შეუშალონ.

75 **მოდერატორი**: ამ შემთხვევაში, ახალგაზრდების ჩართულობისა და მათი აქტივობების სისტემატიზაციისთვის, სახელმწიფოს ფაქტორი გამორიცხულია? ისევ სახალხო დიპლომატია არის მთავარი ფაქტორი?

რესპონდენტი 5 - რა თქმა უნდა, ჩემი აზრით ბუნებრივია, მაგ ნაწილში, ანუ ახალგაზრდობის როლი შერიგებაში, ეს აქტივობები შეიძლება არაფორმალური, არასახელმწიფოებრივი ეგიდით გაფორმდეს და ჩატარდეს, მაგრამ ამ აქტივობების უკან რა თქმა უნდა სახელმწიფო იდგება; მას შეუძლია გარკვეული ტექნიკური მხარდაჭერა გასწიოს ქართული ჯგუფისთვის ვთქვათ...

რესპონდენტი 2 - ეს არ უნდა იყოს ზედმეტად ღია...

რესპონდენტი 5 - ხო, ეს არ უნდა იყოს ზედმეტად ღია, პირველ ეტაპზე რა თქმა უნდა, მერე ვნახავთ როგორ განვითარდება პროცესები. ამას დრო გვიჩვენებს, მაგრამ სახელმწიფოს როლი ტექნიკურ მხარდაჭერაში არის მნიშვნელოვანი, რას ვგულისხმობ ტექნიკურ ნაწილში ახლა, მაგალითად გადაწყდა შეხვედრა, მსგავსი შეხვედრები ვიცი რო იმართება ნეიტრალურ ტერიტორიებზე, ვთქვათ სტამბოლში, ერევანში ხოლმე, იტალიაში... და აი ვთქვათ დაფინანსება რომ გააკეთოს ქართული ჯგუფის მგზავრობის, ან ვთქვათ , აფხაზებს და მათ ჯგუფს რაღაც საკითხებში შეიძლება დახმარება დასჭირდეთ და მათაც გაუწიოს დახმარება, რა თქმა უნდა ეს უნდა გაკეთდეს ფარულად, რომ იქიდან პოლიტიკური სპეკულაციები არ მოჰყვეს ამას.

მოდერატორი: ფინანსები ახსენეთ და რამდენად მნიშვნელოვანი როლი აქვს ასეთ აქტივობებში საერთაშორისო ორგანიზაციებს? ფინანსური და არამარტო ფინანსური კუთხით?

რესპონდენტი 4 - კონფლიქტების დარეგულირების და მოგვარების მეცნიერულ მიმართულებაში არის ესეთი კონცეფცია რომ , ორი ძირითადი გზა არსებობს , ერთი არის ენდოგენური , მეორე ეგზოგენური , ამ შემთხვევაში საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას არა აქვს ენდოგენური შესაძლებლობა, პირდაპირი წვდომა და დამოკიდებულია ეგზოგენურზე, ანუ საერთაშორისო ორგანიზაციებზე და ა. შ. რომლებიც ეხლა ჩართული არიან აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის

 კონფლიქტში. ასე რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი რაღაცაა და მისი მეშვეობით ახერხებს სახელმწიფო , მის ტერიტორიაზე პროვოცირებულ კონფლიქტში წვლილი შეიტანოს უკეთესობისკენ რა თქმა უნდა. თუმცა, საბოლოო ჯამში რომ გითხრათ, რომ ეს რამეს მოაგვარებს, ან დაგვიბრუნებს ტერიტორიებს, ეს აბსურდია. უნდა მოხდეს შიგნიდან ძვრები , თვითონ აფხაზეთის ტერიტორიაზე.

მოდერატორი: თქვენი აზრით, აფხაზეთში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის არ არის მიმზიდველი საერთაშორისო ორგანიზაციები? მათი ჩართულობის ფაქტორი?

რესპონდენტი 4 - ვერ დაგეთანხმებით, მე პოლონეთში ვსწავლობდი და მაშინ რუსეთის ერთ-ერთი უნივერსიტეტიდან იყო მგონი წამოსული, აფხაზი ახალგაზრდა გაცვლითი პროგრამით. პირდაპირ გეტყვი ,რომ ქართველები უბრალოდ ეზიზღებოდა და საერთაშორისო დამკვირვებლებისა და სხვა ჩართული მხარეების მიმართაც აშკარად ნეგატიურ დამოკიდებულებას იჩენდა. ეს კონფერენციაშიც გამოჩნდა, სადაც თვითონ გამოვიდა სიტყვით, ეს რატომ ხდება? იმიტომ ,რომ იქ იმ ტერიტორიაზე, აფხაზეთში, არის სერიოზული დემოგრაფიული პრობლემა. ის ადამიანები, რომლებმაც რეალურად იცოდნენ ისტორია ამ კონფლიქტისა, ფაქტიურად აღარ არიან და მის შემდეგ თაობა იზრდება რუსული პროპაგანდით, ამიტომ რთულია პროცესების აქეთ მომართვა, თუ შიგნიდან არ მოხდა ძვრა და აფეთქება.

რესპონდენტი 6 - მე ყოველთვის მივესალმები კონფლიქტების დარეგულირებას და მოგვარებას, არსებობს სხვადასხვა ხედვები, როგორ უნდა მოგვარდეს კონფლიქტი, ამ შემთხვევაში ძალიან დიდი როლი ენიჭება ახალგაზრდებს, ისინი უნდა იყვნენ წინა პლანზე და შემდეგ სახელმწიფო, რომ უშუალოდ და მარტივად მოხდეს იმ ვითარების გაცნობა და ახსნა, რაც არის. როდესაც სახელმწიფო იღებს რაღაც გადაწყვეტილებებს, შემდეგ პასუხი და რეაგირება ამაზე არის უფრო მწვავე, დროში იწელება. ახალგაზრდების მოქმედება და ხედვა, მათთვის ანუ მეორე მხრისთვის უფრო მისაღებია, ამიტომ ახალგაზრდები უნდა იყვნენ პრიორიტეტულები ამ მიმართულებით, ისინი უნდა იქყვნენ წინა პლანზე წამოწეულები, ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩემი აზრით.

77 **მოდერატორი:** როდესაც იმართება ასეთი ახალგაზრდული შეხვედრები, აფხაზმა და ქართველმა ახალგაზრდებმა რაზე უნდა ილაპარაკონ? უნდა გამორიცხონ პოლიტიკური ასპექტები?

რესპონდენტი 7 - მთავარი მაინც შეხვედრის ფორმატი და თემაა, თუმცა ასე თუ ისე პოლიტიკურ ასპექტამდე ყოველთვის მივალთ, მაგრამ მთავარი ის არის, როგორ შეგვიძლია ამ ყველაფერს ავუაროთ გვერდი და არ იყოს მტკინვეული არცერთი მხარისთვის. იმიტომ რომ ხშირ შემთხვევაში, რთულია ადამიანისთვის, როდესაც მის ქვეყანას და ხალხს შეურაცხყოფას აყენებენ , მისგანაც მოდის ნეგატიური დამოკიდებულება და რთულია შეკავება თავის და ემოციების დაბალანსება. ასეთ დროს მოლაპარაკებას აზრი არა აქვს, რადგან მხოლოდ აგრესიას დავინახავთ და არა მეგობრობის სურვილს. ამიტომ უნდა ვეცადოთ, რა ფორმატიცაა გაწერილი , იმ ჩარჩოებში ვიყოთ და არ შევეხოთ სენსიტიურ თემებს, ორივე მხარისთვის მნიშვნელოვანს. მე პირადად ვიყავი ასეთ ფორმატში, იყვნენ აფხაზი ახალგაზრდებიც, იქ აზერბაიჯანელებიც, სომხებიც და თემა იყო კონფლიქტების დარეგულირება , არა რომელიმე კონფლიქტს ვეხებოდით კონკრეტულად , არამედ ზოგადად და იქ მერე ისე დაუმეგობრდნენ ერთმანეთს ეს ახალგაზრდები ,რომ ასეთი რამის დაკარგვა არ შეიძლება. მთავარია, რომ ისინი არ წაიყვანო რაღაც სხვა გეზით. თორემ რაღაც კონკრეტულმა სიტყვამ, შეიძლება გარემოს გაუარესებამდე მიგვიყვანოს.

რესპონდენტი 8 - მეც დავამატებ, ახალგაზრდულ შეხვედრებზე უნდა გამოვრიცხოთ, პოლიტიკურ თემებზე საუბარი, იმიტომ რომ , პირველ რიგში არ გამოვიწვიოთ დაპირისპირება ადგილზე, თორემ ისე უნდა ჩავთვალოთ , რომ ჩაიშლება დიალოგი და აზრი აღარ ექნება. მეორე ის ,რომ ამით არ ჩავკეტოთ აფხაზური მხარე და მათ უარი არ თქვან საერთოდ შეხვედრაზე. თუ მათ ეს შეამჩნიეს ჩვენი მხრიდან , რომ პოლიტიკურ ასპექტებზე გავდივართ, ისინი ჩაიკეტებიან. ამიტომ შეგვიძლია ისეთი აპოლიტიკური საკითხები გავაჟღეროთ, როგორიცაა გარემოს დაცვა, შავი ზღვის ეკოსისტემა, რომელიც ქართველ, მაგალითად ფოთელ ახალგაზრდასაც აწუხებს და აწუხებს აფხაზ ახალგაზრდასაც. ორივესთვის საფრთხეა, შავი ზღვის ეკოსისტემა როგორ განვითარდება, ამაზე მსჯელობა სრულიად კარგი და მისაღებია, აპოლიტიკურ ფორმატში.

78 **რესპონდენტი 2** - მეც ვიტყვი, ეხლა იგეგმება ეუთოს მიერ, ავსტრიაში შეხვედრა, ეუთო ხშირად მართავს ამ შეხვედრას, სადაც აპირებენ აფხაზეთიდან აფხაზი ახალგაზრდების დასწრებას, მეც უნდა დავესწრო, ამ აფხაზ ახალგაზრდებს ეუთო ახვედრებს ქართველ ახალგაზრდებს მოკლედ. იქაც ესე არის, უვლიან პოლიტიკურ საკითხებს გვერდით, თემატიკა არის ადამიანის უფლებები და ამ კუთხით იქნება მსჯელობა. ასევე ეს ფორმატი იმის საშუალებას იძლევა, რომ მსჯელობის გარდა იქნება სხვა ღონისძიებებიც, სპორტული, კულტურული და ა. შ. სადაც უფრო დაუახლოვდებიან ერთმანეთს და ესაუბრებიან, აი აქ შეიძლება, მაგრამ მინიშნებების დონეზე, დიდი სიფრთხილით პოლიტიკურ საკითხებზე ყურადღების გამახვილება. არა ის, რომ რაღაც უმტკიცო, არამედ გაიგო რას ფიქრობენ და რა ხდება რეალურად იქ. ეს მინიმუმ , იმის საშუალებას იძლევა, რომ შეიქმნას საფუძველი, ახალგაზრდებისთვის, რომ მათ იცოდნენ რეალური ისტორია.

რესპონდენტი 1 - მთავარი რა არის აქ, ის, რომ ჩვენ უნდა ვანახოთ მათ, ჩვენი რეალური სახე, პოლიტიკის გარეშე, რომ ჩვენ შეგვიძლია ერთმანეთან კულტურის, განათლების, მეცნიერების თემებზე ლაპარაკი. თურმე შეგვიძლია, რომ ერთად სხვა რაღაცაც ვაკეთოთ, გავცვალოთ ერთმანეთის შეხედულებები სხვადასხვა მიმართულებით , რაც ხელს შეუწყობს იმას, რომ ისინი დაფიქრდებიან ჩვენზე და იმაზე ,რომ ესენი მარტო პოლიტიკით არ არიან დაინტერესებულიო. მერე მეტი ნდობაც იქნება, მეტი მეგობრული ჟესტიც გამოიკვეთება, მეტი ინტერესიც იქნება მათი მხრიდან. სამომავლო პერსპექტივისთვის ეს კარგი იქნება.

მოდერატორი: აღინიშნა, რომ პირველ ეტაპზე უნდა გამოვრიცხოთ პოლიტიკურ თემებზე საუბარი, თუმცა გარკვეული ეტაპიდან შესაძლებელია, რომ გადავიდეთ პოლიტიკურ საკითხებზე?

რესპონდენტი 3 - ისევ და ისევ არაფორმალურ დონეზე შეხვედრების, ყოველგვარი მედია-გაშუქების გარეშე, იმიტომ , რომ მათ ექმნებათ საფრთხე და არავინ გარისკავს ასე.

მოდერატორი: რას აკეთებენ დღეს არასამთავრობო ორგანიზაციები ამ მიმართულებით, რამდენად მაქსიმალურად არიან ჩართულნი?

79 **რესპონდენტი 8** - რაც ვიცი, ძირითადად ესეთი აქტივობები რაც კეთდება მათ მიერ არის დახურული, გამომდინარე იმ სიტუაციიდან, რომ საფრთხე არ შეექმნათ. ამიტომ , საზოგადოებას ასეთი ღია წვდომა მათ მიერ გამართულ შეხვედრებსა და აქტივობებზე არ აქვს. სახელმწიფოს აქვს წვდომა და ინფორმაცია, რა აქტივობები ხორციელდება. შედეგითაც ,რომ ვიმსჯელოთ, უფრო სწორად ვერ ვიმსჯელებთ, შედეგებზე, ისევ დაისევ ინფორმაციის არ წვდომით ამ აქტივობებზე, ამიტომაც უნდა მოიძებნოს ისეთი თემა , ისეთი ნიშა, რომ საზოგადოებაშიც გაცხადდეს და არ ჰქონდეს სპეკულაციური ხასიათი ამ ყველაფერს. ალბათ ასეთი ნიშა ვერ მოიძებნა , აი ადამიანის უფლებებიც, რომ ვახსენეთ, ეს თემაც კი საფრთხილოა, რადგანაც ადამიანის უფლებები ყოველთვის მიგვიყვანს სახელმწიფომდე, მიიყვანს აფხაზებსაც, რომელთა მიერ წოდებულ სახელმწიფოს ,ჩვენ სახელმწიფოდ არ ვაღიარებთ. ადამიანის უფლებების მთავარი გარანტორი რა უნდა იყოს ხო, კონსტიტუცია და ამის აღმსრულებელი ხელისუფლება. ძალიან კარგი მოდერატორია ჩართული ეუთო, მაგრამ თემასაც სჭირდება სიფრთხილე. ამიტომ ისევ და ისევ რაც იქნა ნახსენები, ეკოლოგიის ჭრილში საკითხები, ან მეცნიერების, ინოვაციის მიმართულებით თემები უფრო ეფექტური იქნება და უფრო გაშუქდება.

რესპონდენტი 4 - აი მაგალითად, ფაროსანას პრობლემა, შარშანაც და წელსაც აქტიური პრობლემაა ჩვენთვისაც და აფხაზებისთვისაც და თუ ერთად ვილაპარაკებთ ამ თემაზე და შევჯერდებით კარგი იქნება.

რესპონდენტი 1 - ხო ფაროსანას გამო, რუსეთმა აუკრძალა აფხაზეთს ,რუსულ ბაზარზე პროდუქციის შეტანა გარკვეული პერიოდით. ეს მეტყველებს რომ რუსეთი როგორი არატენდენციურია და მე ყოველთვის ვამბობ ,რომ იგი მტერია.

რესპონდენტი 7 - ხო მაგრამ , ასე დაუფარავად თქმა არ შეიძლება, მასე თურქეთიც ჩვენი მტერი იყო ,ირანიც , იმიტომ ,რომ ყველას ჩემი ტერიტორიის მიტაცება და წართმევა უნდა . მაგრამ რომ გამოხვიდე და იძახო რუსეთი ჩემი მტერი მტერია, მასე ყველამ იცის, რომ რუსეთი არის ოკუპანტი, სულ თუ ასე იძახე რომ შენ ხარ ჩემი მტერი , ის არასდროს არ დაგიბრუნებს, შენ ტერიტორიებს. იმიტომ ,რომ თუ ვინმეს შეუძლია შენი ტერიტორიების დაბრუნება არის რუსეთი . შენ ვერავინ სხვა ვერ დაგიბრუნებს ვერც ევროკავშირი, ვერ ნატო და ა. შ. იმიტომ რომ ეს ტერიტორიები

 არის რუსეთის ხელში. თუ რამე დაპირისპირებაზე წახვალ, ისიც წამოვა , თანაც იარაღით, უკრაინა რამხელა ქვეყანაა თუმცა, რუსეთს მისი ტერიტორიების ანექსიაც შერჩა, როგორც არაფერი.

რესპონდენტი 5 - ჩვენ იმას კი არ ვამბობთ, რომ ახალგაზრდული ფორმატებით და აქტივობებით ყველაფერი მოგვარდება და კონფლიქტი გადაწყდება, არა არამედ გვაქვს მიზანი , რომ ამ პროცესებით წინ წავიდეთ. აფხაზეთის ომი რომ მოხდა, ნაწილი იქ დარჩა, ნაწილი კი წამოვიდა და აქ ცხოვრობს, რომელთა უმეტესობას ისევ აქვს კონტაქტები იქ და ეს ძალიან კარგად შეიძლება გამოვიყენოთ. გავიდა ეს აფხაზეთის ომის პერიოდი, გავჩნდით შემდეგი თაობა აქაც და იქაც და ხდება ის, რომ არ გვაქვს კონტაქტები და გვაქვს სრული გაუცხოვება. ჩვენი მიზანი რა იქნება ასეთი დიალოგით და ახალგაზრდული ჩართულობით, რომ ელემენტარულად გავიცნოთ ერთმანეთი , შეიძლება ვერ დავძმაკაცდეთ, მაგრამ გვექნება ადამიანური კავშირები, რასაც კრიზისულ სიტუაციაში გამოვიყენებთ.

რესპონდენტი 3 - კარგი იქნება თუ ახალგაზრდა და უფროსი თაობის წარმომადგენლები შეიკრიბებიან ერთად და შეხვდებიან, აზრთა გაცვლა-გამოცვლაც მოხდება, გამოცდილების გაზიარებაც და სხვ.

რესპონდენტი 2- რაც შეეხება იმ საერთაშორისო ორგანიზაციებს, ეუთო და ა. შ. რომლებიც ასეთ შეხვედრებს მართავენ, ვერ ახერხებენ კონტროლირებას ადამიანების რა კატეგორია ერთვება ამ აქტივობებში. ერთვებიან აფხაზეთიდან, სეპარატისტულად განწყობილი ადამიანები, მათ ძალიან კარგად იციან ამ შეხვედრების არსი და განგებ ერთვებიან ამ დიალოგებში, ამიტომაც ვერ ვიღებთ იმ შედეგს, რაც გვინდა და რასაც ველით ამ შეხვედრებიდან.

რესპონდენტი 6 - ამ შეხვედრებში , მეც მაქ შეხება და ძირითადად მონაწილეობენ გალიდან ახალგაზრდები, რომლებიც ასე თუ ისე ახერხებენ ხოლმე აქ ჩამოსვლას, ყავთ ნათესავები და აქვთ კონტაქტები და არ აქვთ ნეგატიური დამოკიდებულება. ამიტომ ჯობს, რომ იქ ანუ აფხაზეთის სიღრმიდან, სოხუმიდან , ოჩამჩირიდან, გაგრიდან, მოხდეს ახალგაზრდების გააქტიურება , მათთან მუშაობა, რადგანაც მათ აქვთ ნეგატიური დამოკიდებულება ქართველებისადმი, იმიტომ რომ წლების განმავლობაში მხოლოდ ცუდი ჩაესმოდათ, მათ და აი კიდევ, ის ,რომ იქ ძალიან

81 კარგად იყენებენ ისტორიული სიძველის შენახვას რა გაგებით, სოხუმში დღესაც ისევ ისე დანგრეული, დაცხრილული დგას მთავრობის სახლი, რომ არ დაავიწყდეთ ისტორიული წარსული და ის ნეგატიური გამოცდილება რაც გამოიარეს ქართველებთან ურთიერთობით. ამიტომ ამ მხრივ რთულია სიტუაცია და უკეთესია ამ მიმართულებით თუ გავაკეთებთ მეტს.

მოდერატორი: რას ფიქრობთ კავკასიურ ფორმატებზე? სადაც აფხაზი, ოსი, ქართველი ხალხის გარდა ერთვებიან აზერბაიჯანელები, სომხები ...

რესპონდენტი 1 - კარგია ძალიან ვფიქრობ და ეფექტური, სახელმწიფომ ყველანაირი ფორმატი უნდა გამოიყენოს. როცა კავკასიურ ფორმატს ეხება საქმე, სადაც ეთნიკური მრავალფეროვნებაა, უფრო ადვილია თემების გაშლა , რადგანაც ერთ კონფლიქტზე არ არის ორიენტირი აღებული და მარტივად შეიძლება საუბარი, მსჯელობა და ა. შ. ურთიერთობების სიმარტივეც მეტად გამოკვეთილია. ხდება გაზიარება გამოცდილებების ,რაც ეფექტურია.

რესპონდენტი 4 - ზოგადად, კავკასიური ფორმატები ჩვენი ქვეყნისთვის სასიცოცხლო რამ არის, იმიტომ ,რომ ჩვენი ინტერესები კარგად და მკაფიოდ იცოდნენ მათ.

მოდერატორი: კარგი, ახალგაზრდები ,რომლებიც ერთვებიან ასეთ დიალოგებში, რამდენად მზად არიან ამ შეხვედრებისთვის? უნდა გაიარონ თუ არა ტრენინგები , გადასწავლება? რა სახის?

რესპონდენტი 8 - რა თქმა უნდა უნდა იყვნენ მზად, მაგრამ ყველაზე კარგი მაინც არის გულწრფელი საუბარი და არა უკვე მომზადებული და ვინმეს დარიგებულით შეხვედრა მეორე მხარესთან. თუმცა მაინც საჭიროა, რომ გარკვეულ თემებზე მოხდეს შეჯერება, წინაწარ გააზრება, რაზე ილაპარაკო და რაზე არა, რომ არ გართულდეს სიტუაცია, ნუ გააჩნია ისევ და ისევ შეხვედრის ფორმატს. მე ვფიქრობ ორივე მხარე უნდა იყოს მზად.

მოდერატორი: ხომ არ დაამატებდით?

რესპონდენტი 3 - ხო აი ,ვეთანხმები ,რომ ორივე მხრიდან უნდა იყოს მზაობა და უნდა ჰქონდეთ ცოდნა, მაგრამ აფხაზურ მხარეს ამას იმდენად ვერ მოვთხოვთ,

82 რადგანაც ჩვენ ვართ ხოლმე ინიციატორები ასეთი შეხვედრების, ამიტომ ჩვენ ორმაგად მზად უნდა ვიყოთ.

მოდერატორი: შიდასაზოგადოებრივი განწყობები როგორია დღეს საზოგადოებაში, ამ საკითხის მიმართ, რამდენად დიდია ინტერესი შერიგების საკითხებისადმი, განსაკუთრებით ახალგაზრდებში? ან აფხაზ ახალგაზრდებში, როგორ ფიქრობთ?

რესპონდენტი 7 - ხო ეგ ნამდვილად პრობლემაა, რადგან დღეს თითქოს მივიწყებულია და მეორე პლანზეა გადაწეული ეს საკითხი.

რესპონდენტი 8 - კი ნამდვილად ასეა, მოსწავლეეში მითუმეტეს და სახელმწიფოს როლი აქ არის თუ არის მნიშვნელოვანი, რომ ასწავლონ ამ საკითხზე სკოლაში, ახალგაზრდა თაობას უნდა ესმოდეს ეს საკითხი და იყოს აქტუალური მისთვის, ახალგაზრდა თაობაში კი არა ,უფროს თაობაშიც კი არ არის უკვე აქტუალური ეს საკითხი. არც რესურსები აქვთ რომ რამე გააკეთონ. მაგრამ არა , მუდმივად უნდა ვიყოთ დაინტერესებულნი და ყველაფერს უნდა ვეცადოთ და აფხაზეთსაც დავიბრუნებთ, ცხინვალსაც და როცა ეს მოხდება , თანაცხოვრება იქნება მეგობრული, რადგანაც ისინიც უკვე ამისთვის მზად იქნებიან.

რესპონდენტი 6 - მეც დავეთანხმები, რომ არ არის საზოგადოებაში საკმარისი ინტერესი, მათ შორის ახალგაზრდებში, არსებული კონფლიქტები, შერიგების თემატიკა, ძალიან სამწუხაროა. რაღაც ფაქტორებიდან გასაგებია ესეც, სოციალური მდგომარეობა და ა. შ. აიძულებს საზოგადოებას სხვა საჭიროებაზე გადაერთოს, მაგრამ შერიგება არის ჩვენი ეროვნული ინტერესი. სახელმწიფოს როლიც რომ ავიღოთ, განათლების მიმართულებით ამ საკითხში აქვს სერიოზული ჩავარდნა, აი რომ ავიღოთ ისტორიის სახელმძღვანელო მე-9, მე-10 კლასის, სადაც განხილულია აფხაზეთის, ცხინვალის კონფლიქტები, გადატანილია ბოლო გვერდებზე, არის ბოლო გაკვეთილები, ეს ბოლო გვერდები კი ემთხვევა საზაფხულო არდადეგების დაწყებას და ბავშვებს უკვე ნაკლები, კი არა საერთოდ აღარ აქვთ ინტერესი, მაინდამაინც მასწავლებლებიც ამას სერიოზულად არ უდგებიან, ეს კი სერიოზული შეცდომაა მასწავლებლების მხრიდან და განათლების სისტემის მხრიდან. სახელმწიფოს როლი უნდა იყოს აქ დიდი და მნიშვნელოვანი.

83 **რესპონდენტი 3** - მომზადების ნაწილშიც, როცა იმართება ეს შეხვედრები, ახალგაზრდებს არ აქვთ შესწავლილი ისტორიული კონტექსტი და არიან ძირითადად პოლიტიკოსების ჰაერში გასროლილ ფრაზებზე დამოკიდებულნი, რომელიც გულისხმობს იმას რომ ჩვენ დავიბრუნებთ ჩვენ ტერიტორიებს და მეტი არაფერი, აქედან გამომდინარე, ახალგაზრდები, რომლებიც მიდიან შეხვედრებზე ისტორიული რეალობა არ აქვთ შესწავლილი და საბოლოოდ არაფერს ვიღებთ.

მოდერატორი: მედიის როლი, გაშუქების ფაქტორი აქ?

რესპონდენტი 2- მედიის როლი, კი რომ ფართო საზოგადოებისთვის მუდმივად აქტუალური იყოს აღნუშნული თემა, გაიმართოს უნდა ამაზე ხშირი დისკუსიები, საზოგადოების ყველა წარმომადგენლისთვის უნდა იყოს ცნობილი ყველაფერი ამ საკითხზე.

რესპონდენტი 5 - მთავრობის როლი საგანმანათლებლო მიმართულებით უნდა იყოს ყველაზე დიდი, რომ ახალგაზრდების ინფორმირებულობა გაიზარდოს და შერიგების თემატიკა იყოს აქტუალური. აქ აქტიურად უნდა ჩაერთოს ასევე შერიგების და სამოქალაქო ინტეგრაციის სამინისტრო, აქტიურად უნდა აწარმოოს კამპანია საზოგადოებაში.

რესპონდენტი 7 - საზოგადოებაში ისეთი წარმოდგენაა ,რომ ეს კონფლიქტები არის გადაუჭრელი და ვერ მოგვარდება და შესაბამისად ახალგაზრდების ნაწილისთვის არ არის მზაობა საკმარისი, რომ გაიგონ წარსული რეალური ისტორია, რა იყო, როგორ მოხდა და ა. შ. ამიტომ სახელმწიფომ უნდა მიაწოდოს სწორი ინფორმაცია პირველ რიგში და გააღვივოს ინტერესი ამ მიმართულებით.

რესპონდენტი 1 - ნამდვილად ახალგაზრდობაში არ არის საკმარისი ინტერესი, ამიტომ სახელმწიფოზეა დამოკიდებული ყველაფერი. კარგი იქნება თუ გაიმართება ერთკვირიანი ფორუმი ახალგაზრდების მონაწილეობით, სადაც ისინი გამოვლენ და ისაუბრებენ აღნიშნულ თემებზე, რაც ეხება შერიგებას, კონფლიქტების მოგვარებას და ბოლოს დაასრულებენ ამ ფორუმს ექსპერტები და კომპეტენტური ადამიანები. ეს კარგი იქნება ინტერესის გაღვივებისთვის.

84 **მოდერატორი**: რა ტიპის კონფლიქტების გადაწყვეტა შეიძლება, როცა ახალგაზრდობის როლზე ვლაპარაკობთ?

რესპონდენტი 2 - ალბათ, ისევ და ისევ, ბუნებრივია ყველაფერი ვერ მოგვარდება და რეალობაში რომ დავრჩეთ ახალგაზრდობა ბევრს ვერაფერს გადაწყვეტს ამ ეტაპზე, მაგრამ ახალგაზრდობის ჩართულობა და ურთიერთობა ორივე მხრიდან, არის საბაბი ნდობის დამყარების, რაც გულისხმობს დამოკიდებულებების შეცვლას და შეიძლება კონფლიქტი ამ მიმართულებით ტრანსფორმირდეს, ანუ ურთიერთდამოკიდებულებები შეიცვალოს უკეთესობისკენ.

მოდერატორი: ბოლოს რას დაამატებდით? რომ განვითარდეს ეს პროცესი რას ისურვებდით?

რესპონდენტი 4 - ვისურვებდი, რომ იყოს სწორი ინფორმაცია ორივე მხარისთვის, ანუ სწორად იყვნენ ინფორმირებულები, იყოს მეტი კომუნიკაცია და მე მჯერა , რომ ერთ დღეს მართლაც დავიბრუნებთ ჩვენს ხალხს და ტერიტორიებს. შეგვეძლება ერთად თანაცხოვრება. ამიტომ უნდა იყოს რაც შეილება მეტი ასეთი ახალგაზრდული თუ სხვა სახის ბევრი ფორმატი, კულტურული, შემეცნებით და ა. შ. რომ იყოს ურთიერთობა ხშირი და კომუნიკაცია მუდმივი.

მოდერატორი: ხომ არ დაამატებდით?

რესპონდენტი 6 - რა თქმა უნდა ახალგაზრდობა არის დღეს მთავარი იარაღი და ძალა, ცვლილებებისთვის, ამას დასჭირდება წლები , მაგრამ სახელმწიფომაც ხელი უნდა შეუწყოს ახალგაზრდობას , რომ ჰქონდეთ მათ მოტივაცია და ინტერესი , ამ მიმართულებით ჩართულობისთვის.

რესპონდენტი 1- ყველაზე მთავარი არის ის ,რომ არ გვაქვს გათვითცნობიერებული როგორ და რა მივაწოდოთ აფხაზებს, ხშირად არის იქიდან კითხვები, რომ თქვენ თქვენი თავისთვის ვერ მიგიხედავთ და ჩვენ რა უნდა შემოგვთავაზოთ? ამიტომ აქ ბევრი უნდა იმუშაოს სახელმწიფომ, რომ ისეთი პროდუქტი მიაწოდოს, რაც მიმზიდველს გახდის მათთვის ჩვენს ქვეყანას და განსაკუთრებით მიმზიდველს აფხაზი ახალგაზრდებისთვის.

85 **რესპონდენტი 7** - მეც როგორც რიგითი ახალგაზრდა, მზად ვარ აქტიურობისთვის და ჩემი როლის შეტანისთვის შერიგების პროცესში, თუნდაც ახალგაზრდა მრჩველთა საბჭოს შექმნის იდეა, რაც გაჟღერდა ამას წინათ, არის შესანიშნავი იდეა, არამარტო აქ, არამედ აფხაზი ახალგაზრდებისთვისაც ძალიან კარგი უნდა იყოს, დაინახავენ, ქართული სახელმწიფო რამდენად ანიჭებს მნიშვნელობას ახალგაზრდობას და მათ აქტივობას. ფორმატები უნდა იყოს მრავალფეროვანი ახალგაზრდული, უნდა ვეცადოთ მოვძებნოთ ის ნიშები, სადაც შედეგს დავდებთ. მნიშვნელოვანია სახალხო დიპლომატია. სახელმწიფოს კი უნდა ჰქონდეს ერთიანი ხედვა და სტრატეგია, რომელიც არამარტო ქაღალდზე იქნება გაწერილი , არამედ იქნება კიდევაც ამის შესრულება შესაძლებელი. მათ შორის ახალგაზრდული შეხვედრების და დიალოგების კუთხითაც, რაც ქმედითუნარიანი იქნება.

რესპონდენტი 8 - რა თქმა უნდა ისევ გავმეორდები, ახალგაზრდობის როლი კონფლიქტების დარეგულირებაში არის მთავარი, რადგან ჩვენ არ ვართ უშუალო მონაწილე ამ კონფლიქტის და ასე თუ ისე შეგვიძლია სუფთა ფურცლიდან დავიწყოთ ურთიერთობა. გავუზიაროთ ერთმანეთს ხედვები, პერსპექტივები, ინფორმაცია და რაც მთავარია გავიგოთ მათი საჭიროებები და ინტერესები, გულწრფელად მივიღოთ ის სატკივარი , რაც მათ აქვთ.

რესპონდენტი 3 - რაც მთავარია, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ვართ თაობათა ცვლის პროცესში და შემდეგ სწორედ ეს ახალგაზრდები იქნებიან , ისინი რომელთა ხელში იქნება ბევრი რამ, ამიტომ აქედანვე თუ მუდმივად გვექნება კონტაქტის მცდელობა და ურთიერთობა , პოზიტიური გამოცდილებითა და შედეგებით, სამომავლოდ მეტად მარტივი იქნება პროცესების წარმართვა.

მოდერატორი: ძალიან კარგი, დიდი მადლობა თქვენ აქტიურობისთვის. დავასრულოთ შეხვედრა.

დანართი 3

სიღრმისეული ინტერვიუ - ტრანსკრიპტი

ინტერვიუერი - გამარჯობა , იცით, რომ დღეს საქართველოს ტერიტორიები ოკუპირებულია რუსეთის მიერ - აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი. ამ ტერიტორიებზე განლაგებულია რუსეთის ჯარები. აფხაზებიც და ოსებიც ამას მხარს უჭერენ.

რუსეთმა აღიარა საქართველოს ეს ორი მხარე დამოუკიდებლად, რომელსაც მსოფლოს ქვეყნებმა არ დაუჭირეს მხარი.

აფხაზეთიც და ოსეთიც ფიქრობს რომ დამოუკიდებელია და საქართველოსთან სურს სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულების გაფორმება.

საქართველოს სურს დიპლომატიური გზებით მოაგვაროს ეს კონფლიქტი, რისთვისაც რუსეთს და სეპარატისტულ მხარეებს მოუწოდებს მოლაპარაკებით გადაწყვიტოს კონფლიქტი.

დღეისათვის მხარეებს შორის არ არსებობს კავშირი. არსებობს სახალხო დიპლომატიის გზაც შერიგების. ეს უკანასკნელი გულისხმობს მოქალაქეთა დონეზე მოლაპარაკებას. პორველ რიგში ასახელებენ ახალგაზრდა თაობას და მათ შეხვედრებს.

ჩვენი კითხვებიც სწორედ ამ საკითხებს შეეხება, პირველ რიგში მაინტერესებს რას ფიქრობთ დაპირისპირებულ მხარესთან შეხვედრების გამართვის შესახებ?

რესპონდენტი - ჩვენდამი დაპირისპირებულ მხარეს გულისხმობ ?

ინტერვიუერი - დიახ.

რესპონდენტი - ძაან საინტერესოა, იმიტომ , რომ ჩვენ ისეთ გარემოში გავიზარდეთ, ისეთ ეპოქაში, რომ არ გვქონია უშუალო შეხება, არც ისინი ჩამოდიან ჩვენთან , არც ჩვენ ჩავდივართ, მაგიტომ საინტერესოა გავიგოთ, თუ რა აინტერესებთ, რითი ცხოვრობენ, რა მოსწონთ, რა გვაქვს საერთო, იმიტომ, რომ სულ იქმნება ბარიერები ჩვენ შორის, რაც მგონია, რომ ხელოვნურია. იმიტომაც, რომ ჩვენ რომ შეხება არა გვაქვს, სწორედ აქედან იქმნება ხელოვნური და გაზვიადებული წარმოდგენა, ჩვენსა

87 და მათ შორის განსხვავებულობის თვალსაზრისით. მგონია, რომ დღეს ახალგაზრდებს ძალიან ბევრი საერთო უნდა გვქონდეს, განათლების სურვილი, მშვიდობიანი მომავლის სურვილი, კეთილდღეობის სურვილი. ელემენტარულიდან დაწყებული, შეიძლება ბევრი საერთო ვნახოთ და ეს ხელოვნური , რაღაც მხრივ ბუნებრივი ბარიერები, შეიძლება დაინგრეს. ყოველ შემთხვევაში, მე დადებითად და იმედიანად ვარ განწყობილი და ყოველთვის დიდი ინტერესით ვუყურებ ამ საკითხს, სოციალური ქსელითაც ვცდილობ რომ კონტაქტზე გავიდე, ურთიერთობა დავამყარო აფხაზთან, ოს ახალგაზრდასთან და ეს მუდმივი იყოს.

ინტერვიუერი - რომ შემოგთავაზონ, ასეთ შეხვედრებში ჩაერთვებით?, სადაც აფხაზი, ოსი ახალგაზრდები მონაწილეობენ?

რესპონდენტი - დიდი სიამოვნებით, ყოველთვის მზად ვიქნები ...

ინტერვიუერი - თუ ჩაერთვებით, რას შეთავაზებდით თქვენს თანატოლებს, რა საკითხებზე გაამახვილებდით ყურადღებას?

რესპონდენტი - პირველ რიგში, დავინტერესდებოდი, თვითონ იმათ რა აინტერესებთ, იმიტომ, რომ ჩვენი განათლების სისტემა, ზოგადად ცხოვრების სტილი მაინც არის განსხვავებული მათგან, რადგანაც ვიცით, რომ ისინი იზოლირებულ სივრცეში ცხოვრობენ, კი ინტერნეტმა, ტელევიზიამ მაინც რაღაცნაირად გაარღვია ეს იზოლაციონიზმი და მას აღარ შეუძლია ხელი შეუშალოს, თუმცა მაინც სახეზეა განსხვავებული ყოველდღიურობა, ამიტომ მე დამაინტერესებს თუ იმათ რა აინტერესებთ , რა აზრები აქვთ. მე თან მგონია, რომ დღეს საქართველოში ისეთი სიტუაციია, რომ ახალგაზრდებს, ჩვენ ნებისმიერ თემაზე შეგვიძლია საუბარი, არამარტო აფხაზებთან, არამედ ნებისმიერი ეთნოსის წარმომადგენელთან, ინდოელებით დაწყებული, დამთავრებული ისლანდიელებით, ამიტომ არა მგონია ჩვენ ურთიერთობა გაგვიჭირდეს და საერთო ვერ გამოვნახოთ.

ინტერვიუერი - როგორ ფიქრობთ, დღეს ქართველ ახალგაზრდებში რამდენად დიდი ინტერესია ამ საკითხის მიმართ? როგორიცაა შერიგების პროცესი, აფხაზებთან დაახლოება, ოსებთან?

რესპონდენტი - მე ვფიქრობ, რომ ქართველი ახალგაზრდები არ არიან დაინტერესებული ამ საკითხით, ეს ბუნებრივიცაა იმიტომ, რომ ჩვენ გამოკითხვებშიც ვხედავთ, რეიტინგებში სულ უკან იწევს ეს თემა, ნუ აქ ახალგაზრდები არ მინახავს მხოლოდ, მაგრამ სულ უკანა პლანზე გადადის ეს თემა. მერე კი გამოდიან და დრამატულად ამბობენ რომ ეს ცუდია და რატომ არ აქვს ამას საერთაშორისო მასშტაბით ინტერესი და დიდი ყურადღება. ნუ ამას პოლიტიკური მხარეც აქვს. ერთი , რომ ვთქვათ, ის არის, რომ როცა მეტ-ნაკლებად გარკვეულ საკითხში არ ხდება სიახლე, ყველაფერი არის მიწყნარებული, ინტერესიც ნაკლებია ხოლმე საზოგადოების მხრიდან, გარკვეულწილად ჩვენ ნეგატიური მშვიდობის პროცესში ვართ და აქედან გამომდინარე ინტერესი ნაკლებია ამ საკითხის მიმართ. თან ისიც არის, რომ როგორც წეხან ვახსენე, ჩვენ ახალგაზრდებს არ გვქონია უშუალო შეხება იმ მიწა-წყალთან რასაც ჰქვია აფხაზეთი , არ გვქონია შეხება იმ საზოგადოებასთან, ამიტომ ადამიანი პირველ რიგში საკუთარ წინსვლასა და კეთილდღეობაზე ფიქრობს, ვიდრე მშობლებიდან, ბებია-ბაბუიდან მონაყოლ მიწასა და ტერიტორიაზე.

ინტერვიუერი - სახელმწიფო ატარებს შესაბამის პოლიტიკას, შერიგების პროცესისთვის?

რესპონდენტი - ზოგადად, სახელმწიფოს კურსი არის პრაგმატული, პოლიტიკა არის პრაგმატული, მცდელობა არის ნამდვილად და ეს პრაგმატული მოქმედების მცდელობა ძალიან მნიშვნელოვანია კონფლიქტების გადაწყვეტაში. წინა ხელისუფლებები ყოველთვის რადიკალური ქმედებებით გამოირჩეოდნენ , ყოველ შემთხვევაში პირველი და მესამე პრეზიდენტები. ეს მთავრობა კი ცდილობს პრაგმატული პოლიტიკის განხორციელებას და ნაბიჯების გადადგმას, ამაზე მეტყველებს პროგრამები , ეხლა გამოვიდა ინიციატივები ბიზნესის , განათლების მიმართულებით, მანამდე იყო რეფერალური პროგრამები, ასე მცირე ნაბიჯებით ხდება პროცესის წარმართვა და პოლიტიკის განხორციელება. მთავარია, რომ კურსი არის მშვიდობიანი და ეს არის უალტერნატივო. მითუმეტეს საქართველო არ არის ის ქვეყანა, არ აქვს ის ეკონომიკური თუ სამხედრო პოტენციალი, რომ ასეთ ქმედებებში

 ჩაებას და სამხედრო გზით შეძლოს პრობლების გადაწყვეტა; კი შეიძლება სამხედრო გზით, მცირე დროში დაიბრუნო ის რაც გინდა, მაგრამ ასეთი გზა არის ყოველთვის მყიფე და არის რისკები რომ ისევ იგივე , საწყის პოზიციაზე აღმოვჩნდეთ.

ინტერვიუერი - როგორ ფიქრობ, ამ პროცესის წარმართვაში, რასაც ჰქვია ახალგაზრდობის დაახლოება, შერიგება, ზოგადად შერიგების პროცესი, სახელმწიფოს აქვს უფრო დიდი როლი, თუ არასამათავრობო სექტორს ან საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობაა მნიშვნელოვანი?

რესპონდენტი - გასაგებია; ზოგადად ყველას თავისი წილი აქვს ამ თემაში, კონფლიქტის მოგვარებაში, რომელიმე ერთს რომ ავკიდოთ მხოლოდ, ასე არ გამოვა ყველას თავისი წილი აქვს. ყველაზე დიდი წილი მაინც მოდის სახელმწიფოზე, მაგრამ მარტო სახელმწიფოც დღეს ვერაფერს გახდება და რატომ, დღესდღეობით არის ისეთი სიტუაცია, რომ საპირისპირო მხარეს მიწოდებული იდეა და წინადადება, რომელიც არის ჩვენი სახელმწიფოდან, არ მოჰყვება ამას რეაგირება, ამ შემთხვევაში დამპყრობლის მხრიდან. ამიტომ არასამთავრობო სექტორის, ბიზნესის მხრიდან თუ იქნება, რასაც არაოფიციალური სახე აქვს , შეთავაზება და აქტივობა, ეს უფრო ეფექტური იქნება, იმიტომ კი არა, რომ მათ იქ არ სჭირდებათ რასაც ვთავაზობთ, როგორ არა, აფახაზეთში ისეთი რეალობაა დღეს ,რომ ყველაფრის საჭიროებაა , მაგრამ თუ შეთავაზება იქნება ოფიციალური ფორმატით, ისინი უარს იტყვიან, შექმნილი მრავალწლიანი მითების გამო. ახალგაზრდული აქტივობების მხრივაც, შეიძლება ჩარჩოში მოექცნენ სწორედ ამ მიზეზის გამო. ამიტომ მნიშვნელოვანია არაფორმალური ხაზი და საზოგადოების აქტიური ჩართულობა და დღესაც კეთდება ამ მხრივ, ეს ინიციატივებიც მნიშვნელოვანია და ამას ემსახურება. სახელმწიფოს როლი ის იქნება თუ, იმ საკანონმდებლო ფორმის ლიბერალიზება თუ მოხდება სერიოზული წინაწარი გათვლებით, რასაც ჰქვია კანონი ოკუპაციის შესახებ, უფრო ეფექტური იქნება და ჩვენს საზოგადოებასაც შეეძლება მეტი აქტივობის გამოჩენა, ამ კანონის ლიბერალიზების შემთხვევაში და ინიციატივებს ამ დროს უნდა ველოდოთ არასამთავრობო სექტორიდან, ორგანიზაციებიდან.

90 **ინტერვიუერი** - არასამთავრობო სექტორი რამდენად აქტიურია დღეს? იგივე არასამთავრობო ორგანიზაციები? რამდენად აქტიურად მუშაობენ შერიგების პროცესის მიმართულებით?

რესპონდენტი - მუშაობენ კი ნამდვილად მუშაობენ , ყოველ შემთხვევაში რამოდენიმე ორგანიზაცია, მათ უფრო მეტი შესაძლებლობა აქვთ რომ რამე გააკეთონ , იმიტომ რომ ქართული დროშის ქვეშ არ მოქმედებენ და შესაბამისად უფრო ეფექტურად და თამამად დგამენ ნაბიჯებს ამ მიმართულებით. სახელმწიფო კი გამოვიდა ინიციატივებით, მაგრამ სახელმწიფოს მხრიდან იმათთვის შეთავაზება, უარყოფითად აისახება და ამ დროს ჩვენს საზოგადოებას დიდი პასუხისმგებლობა აკისრია, მაგრამ ეს საზოგადოებაც ვერაფერს გააკეთებს თუ არ ექნა ის სწორი ჩარჩო და სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობა, რომ ხელი არ შეეშალოს ამ ინიციატივებს და სახელმწიფო დაეხმაროს , კარგი იქნება. აუცილებელია კოორდინაცია და კოორდინაციას სჭირდება კონსოლიდაცია, ყველა მხრის და მონაწილის ჩართულობა.

ინტერვიუერი - ახალგაზრდულ შეხვედრებზე, რომელიც იმართება ხშირად, რამდენად მიზანშეწონილია პოლიტიკურ საკითხებზე საუბარი?

რესპონდენტი - უახლოეს მომავალში, უახლოესი წლების განმავლობაში უნდა გამოვრიცხოთ პოლიტიკაზე ლაპარაკი, არაოფიციალურ შეხვედრებზე, სადაც ახალგაზრდებიც იკრიბებიან ყველაზე მიზანშეუწონელია ამაზე ლაპარაკი. როცა მივდივართ და სტატუსზე ვუწყებთ ლაპარაკს , იქ მთავრდება ყველაფერი და ამით კვდება ყველა კარგი იდეის რეალიზების შესაძლებლობა. ამიტომ ჩვენი ჩართულობა იქნება ეს ეკონომიკური თუ კულტურული ხასიათის , არის საუკეთესო გზა ჩვენი ჩართულობის და ურთიერთობების გაღრმავების , მთავარი არის ეს და ბოლოს , ყველაზე ბოლოს უნდა გადავიდეთ პოლიტიკაზე.

ინტერვიუერი - ახალგაზრდული აქტივობების სისტემატიზაციას , სადაც ქართველი და აფხაზი ახალგაზრდები მოიაზრებიან, რა დამოკიდებულება შეიძლება მოჰყვეს აფხაზეთის მხრიდან?

რესპონდენტი - ბუნებრივია, ელიტარული ნაწილი აფხაზური საზოგადოების, რომელიც კარგად გრძნობს დღეს აფხაზეთში თავს, არ შეეპუება ასეთი აქტივობების

 სისტემატიზაციას, თუმცა ეს ნაწილი არ წარმოადგენს აბსოლუტურ უმრავლესობას და ამიტომ მაინც მგონია რომ შესაძლებელია ამ აქტივობების განხორციელება და სისტემატიზირება, რა თქმა უნდა თუ ეს იქნება სწორად დაგეგმილი და აპოლიტიკურ საკითხებზე ლაპარაკი. ამ შემთხვევაში არა მგონია აბსოლუტურად უარყოფითი და ხელისშემშლელი რეაქცია მოჰყვეს ამ ყველაფერს, მათი მხრიდან.

ინტერვიუერი - ამ შეხვედრების და არამარტო , რამდენად საჭირო და მისაღებია გაშუქება მედიის მხრიდან?

რესპონდენტი - ხო , კონფლიქტებში ეგ ყოველთვის დილემაა, ერთის მხრივ როცა სახელმწიფო აკეთებს ამას, ეს უნდა გაშუქდეს კიდევაც, რადგან როცა დემოკრატიულ წყობილებაში ვცხოვრობთ , ბუნებრივია სახელმწიფომ საზოგადოებას უნდა ჩააბაროს ანგარიში, როცა საქმე ეხება , ამ საზოგადოების ჩართულობასაც. ამიტომ აუცილებელია ,რადგანაც როცა ამას სახელმწიფო აკეთებს , მას სჭირდება საზოგადოებისგან მხარდაჭერა, ამიტომ საზოგადოება ყველაფრის საქმის კურსში უნდა იყოს. თანაც საზოგადოება ყოველთვის სთხოვს სახელმწიფოს რამე გააკეთოს და ბუნებრივია სახელმწიფო საზოგადოებისგან დამალულად ამას ვერ გააკეთებს. მეორეა როცა არასამთავრობო სექტორი აკეთებს ამას , ჩემი აზრით, არ უნდა გაშუქდეს, რადგან აფხაზური მხრიდან მონაწილეების სურვილია პირველ რიგში ეს, რადგანაც არ უნდათ , რომ საფრთხე შეექმნათ და პასუხები მოსთხოვონ იქ, როცა დაბრუნდებიან და არ უნდათ რომ მოღალატედ გამოჩნდნენ. თუკი მათი სურვილი იქნება , რომ გამოჩნდნენ , ეს ჩვენთვისაც კარგი იქნება, მაგრამ ასე არ არის ხოლმე , ამიტომ ასეთი არაფორმალური შეხვედრები არ უნდა გაშუქდეს ხოლმე, ისევ მათი ინტერესების გათვალისწინებიდან გამომდინარე.

ინტერვიუერი - ფიქრობ რომ ახალგაზრდები რომლებიც მონაწილეობას იღებენ შეხვედრებში , მზად არიან? ხომ არ სჭირდებათ მათ ტრენინგები , წინასწარ გადამზადება , რომ შემდგომ ნაყოფიერი იყოს მათი შეხვედრა აფხაზ ახალგაზრდებთან?

რესპონდენტი - თუ ზოგადად ქართველ ახალგაზრდებს ავიღებთ და შევაფასებთ, ვიტყვი, რომ ისეთი ახალგაზრდებიც არიან ,რომლებიც ფიქრობენ რადიკალური

92 ზომებით კონფლიქტის მოგვარებას, ზოგი საერთოდ ფიქრობს ,რომ აფხაზები სულაც არ არიან ჩვენი თანამოქალაქენი და რა თქმა უნდა ასეთი ახალგაზრდები ასეთ შეხვედრებში, არ უნდა იღებდნენ მონაწილეობას. ისეთი ადამიანები უნდა ჩაერთონ ასეთ პროცესში ,რომლებიც ფიქრობენ რომ მშვიდობიან ქმედებებს ალტერნატივა არა აქვს. თანაც როცა ტრენინგებზეა ლაპარაკი , ამ სფეროში ჩახედული ახალგაზრდები უნდა იყვნენ და უნდა გაეგებოდეთ საკითხი. როცა კონკრეტულ საკითხებზე მიდის თანამშრომლობა, მაგალითად კულტურულ ასპექტში, ეხლა როცა მუსიკოსებს ვახვედრებთ ერთმანეთს, ბუნებრივია მათ არ სჭირდებათ არანაირი მომზადება , ისე გაუგებენ ერთმანეთს მუსიკის ენით, რომ ისე ენაც არ დასჭიდეთ შეიძლება , ამიტომ საჭიროა ის ხალხი ავირჩიოთ , რომლებიც მზად არიან მეგობრობისა და თანამშრომლობისთვის.

ინტერვიუერი - რას ფიქრობთ კავკასიურ ფორმატზე შეხვედრების? რამდენად ეფექტურია?

რესპონდენტი - რას გულისხმობთ ?

ინტერვიუერი - დიახ მოგახსენებთ, კავკასიურ ფორმატში იგულისხმება არამარტო აფხაზების, ოსების, ქართველების მონაწილეობა, არამედ სამხრეთ კავკასიელი ერების ჩართულობაც, თუნდაც აზერბაიჯანელები, სომხები და ა. შ. ისინი ხვდებიან ერთმანეთს ამ ფორმატში, კონფერენციებში იღებენ მონაწილეობას და ხდება აზრთა ურთიერთგაცვლა.

რესპონდენტი - ძალიან კარგია, დადებითად ვუყურებ, როცა დიდ საზოგადოებაში ხვდები, ალბათ უფრო კარგია, რადგანაც აკვირდები მათ, როგორ იქცევიან სხვებთან და როგორები არიან, ამ შემთხვევაში აფხაზებსაც, ოსებსაც შეუძლიათ უკეთ დაინახონ ჩვენ როგორები ვართ და ჩვენც ანალოგიურად შეგვიძლია დავინახოთ ისინი სხვა რაკურსით . თუმცა მე ვამჯობინებდი შეხვედრებს ერთი ერთზე, რადგან ეს ჩვენი თემაა , ჩვენი კონფლიქტია , ჩვენი ისტორიაა და ამიტომ ალბათ უკეთ შევძლებთ ურთიერთობების გაღვივებასა და გარკვევას, როცა უშუალოდ ჩვენ ვიქნებით ერთი-ერთზე.

93 **ინტერვიუერი** - რას ისურვებდით , რომ ეს პროცესი განვითარდეს? რას დაამატებდით?

რესპონდენტი - უნდა განვითარდეს და უფრო და უფრო ხშირი უნდა იყოს ასეთი შეხვედრები და აქტივობები. ეს ჩვენს თაობაზეა დამოკიდებული , დიდწილადაც, რადგან ჩვენი ინტერესი თუ დიდი იქნება , ალბათ სისტემატიზირება უფრო მოხდება ამ ერთობლივი აქტივობების. დანარჩენი უკვე, შემდეგ როგორ განვითარდებით, როგორი პროცესები წავა, როგორი იქნება გეოპოლიტიკური ვითარება , ეს მომავალზეა დამოკიდებული. მთავარია, რომ ჩვენ მუდმივად უნდა ვესწრაფვოდეთ ურთიერთობების დამყარებას , არა აგიტაციას, რა კარგები ვართ ჩვენ, იმიტომ ,რომ ძალიან კარგები არ ვართ ბუნებრივია, ჩვენც გვაქვს პრობლემები, არამედ იმის დანახვას მათთვის, რეალურად ვინც ვართ, რას წარმოვადგენთ და მათ დაკვირვების საშუალება მუდმივად უნდა მივცეთ, სამომავლო ურთიერთობების პერსპექტივისთვის. ისინიც არ არიან კარგ მდგომარეობაში, მითუმეტეს ახალგაზრდები, რადგან მათ უჭირთ, არა აქვთ კარგი განათლების მიღების საშუალება, არ შეუძლიათ უცხოეთში განათლების მიღება, რადგან მათ პასპორტებს არ აღიარებენ, გამონაკლისებს თუ არ ჩავთვლით. მერე მიდიან რუსული პასპორტების მისაღებად , იქაც ვერ აგვარებენ და ასეთი პრობლემები აქვთ, აფხაზეთში მცხოვრები ახალგაზრდები , საერთოდ არ არიან გამცდარნი აფხაზეთს მეტიწილი და ეს მათთვის პრობლემაა, ამიტომ საქართველო მათთვის იქნება ერთგვარი „ფანჯარა“ , რომელიც მათ საშუალებას მისცემს მიიღონ ის აუცილებელი, რაც მათ სჭირდებათ განათლებისთვის, გართობისთვის, შემეცნებისთვის და ა. შ. რასაც ისინი რუსეთისგან ვერ მიიღებენ.

ინტერვიუერი - დიდი მადლობა.

რესპონდენტი - არაფრის, გისურვებთ წარმატებას.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tamta Gobozashvili

The role of youth in the reconciliation process and their activities.

(On the example of Abkhazia.)

Master Program in Conflicts Analysis Management of the Faculty of Social and Political Sciences

The thesis is submitted for obtaining the Master's Degree in Conflict Analysis and Management

Professor: Revaz Jorbenadze

Tbilisi 2018